ზეკარი

მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

N1(11) 2024

ზღვარი
მართლმადიდებლობა და თანამედროვეობა

N1(11) 2024

რედაქტორი:
დეკანოზი გიორგი წეროძე

სარედაქციო საბჭო:
ზურაბ ჭაში
თამარ გრძელიძე
ბექა მინდიაშვილი

ტექსტის რედაქტორი:
ანა ჭაბაშვილი

დიზაინი:
ელენე მინდიაშვილი

ჟურნალი მომზადდა „ლიტერატურული კლუბის“ მიერ, USAID-ის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. ჟურნალში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორებს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის ოფიციალურ პოზიციად.

© 2024, ყველა საავტორო უფლება დაცულია

სარჩევი

5 **მღვდელმსახურებისა და თანადროულობის ერთი ასპექტისათვის**
დეკანოზი მიქაელ გალდავა

9 **მართლმადიდებელი ეკლესიის სამეფო სამღვდელო ერი**
ზურაბ ჯაში

20 **„ქრისტეს მსახურნი და ღვთის საიდუმლოთა მნენი“**
მღდელმონაზონი ეფრემ ლომიძე

26 **მღვდლობა და მღვდლად ხელდასხმა პირველი ათასწლეულის საქართველოში**
მღვდელმონაზონი ლეონიდე ბ. ებრალიძე

35 **უტყუარი სულიერება**
თამარ გრძელიძე

39 **ქრისტიანული სულისკვეთების გაცოცხლება**
ნინო ყანჩაველი

44 **მღვდლობის სხვა, ანუ თავდაპირველი განზომილება**
დეკანოზი გიორგი წეროძე

49 **ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ**
ნუგზარ პაპუაშვილი

65 **ბასილი დიდი – შუამავალი ამქვყნიურსა და ზეციურს შორის**
დემოსთენე სავრამისი

73 **მსახურება**
დიტრიხ ბონჰიოფერი.

87 **ვინ იცავს მცველებს? ვინ ლაპარაკობს ეკლესიის სახელით?**
დეკანოზი ჯონ ბერი

ჟურნალი ზღვარი აგრძელებს თავის ცხოვრებას. ზედმეტი არასდროს არის იმის შეხსენება, რომ ღმერთმა ადამიანსა და სამყაროს ისე მისცა ღვთაებრივად არსებობის შესაძლებლობა, რომ ზღვარი ღმერთსა და ადამიანს შორის მკაფიო დარჩა.

ქალკედონური შეურევნელობისა და განუყოფელობის სიღრმით გატაცება მეორედ მოსვლამდე და მის შემდეგაც არ შეწყდება. ზღვარი და სიცხადე ამ ქვეყნადაც რაც შეიძლება მეტ საკითხს უნდა დავუდოთ და მოვფინოთ, სრულ სიდიადესა და ნათელს კი ღმერთთან შეხვედრისას ვიხილავთ.

თქვენ წინაშეა რამდენიმე ორიგინალური სტატია, რომელთა ავტორები არიან საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მყოფი სამღვდელო პირები, თეოლოგიის პროფესორ-მასწავლებლები.

აქვეა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტექსტის ქართული თარგმანიც. ასევე საგულისხმოა ეკლესიის მრევლის ხმის გაგონებაც, რაც ქრისტიანული ეკლესიის ცხოვრებაში დიდი იშვიათობაა.

საერო პირთა პოზიციების გაცნობა, საეკლესიო ცხოვრებაში მათი როლის ხაზგასმა არსებითია.

მრევლის წევრთა სტატიები ჟურნალის სხვა ნომრებშიც გამოქვეყნდება.

ლიტურგია სწორედ სახალხო საქმეს, საზოგადო მსახურებას ჰქვია. (λαός ხალხი,ἔργον, ergon, მსახურებას ნიშნავს.)

სამღვდელოთა და საეროთა ერთობა პირველი ნაბიჯია იმ ესქატოლოგიური ერთობის გზაზე, რომელსაც „ყოველნი“ აუცილებლად დავადგებით.

ინ 5:28-30: „ნუ გიკვრნ ესე, რამეთუ მოვალს ჟამი, რომელსა ყოველნი, რომელნი ისხნენ საფლავებსა, ისმინონ ჴმისა მისისაჲ. და გამოვიდოდიან კეთილის-მოქმედნი აღდგომასა ცხორებისასა, ხოლო ბოროტის-მოქმედნი აღდგომასა სასჯელისასა. არა ჴელ-მეწიფების მე საქმედ თავით თჳსით არარაჲ, არამედ ვითარცა მესმის, ვსჯი, და სასჯელი ჩემი მართალ არს, რამეთუ არა ვეძიებ ნებასა ჩემსა, არამედ ნებასა მომავლინებელისა ჩემისა მამისასა".

დეკანოზი გიორგი წეროძე

მღვდელმსახურებისა და თანადროულობის ერთი ასპექტისათვის

დეკანოზი მიქაელ გალდავა

მღვდელმსახურება, თავისი შინაარსით, მარად ცოცხალი ფენომენია და, ამის კვალობაზე, თანაბრად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ეპოქისათვის: ეს უკანასკნელი თეიზმით იქნება გამსჭვალული თუ ათეიზმით. არსებითი საღვთისმსახურო მოცემულობა, მღვდელმსახურის სულიერ-ზნეობრივი პოზიციები არ იცვლება და არც შეიძლება შეიცვალოს ამ სოფლის ცვალებადი სულის შესაბამისად, რადგან ერთია საუკუნეთა ჩვეულებრივი მდინარება, თავისი სოციალურ-პოლიტიკური და სულიერ-კულტურული კალაპოტების მსგავსებებითა და სხვაობებით, და, მეორეა არამიწიერი, წარუვალი ღირებულებები, როგორც უზენაესის გამოცხადებითი ნაყოფი, რომელიც განსაზღვრავს მღვდლის პრაქტიკულ გზასა და ორიენტირს.

როცა ვლაპარაკობთ სამღვდელო მისიისა და თანადროულობისადმი მისი მიმართების შესახებ, ერთი რამ უცილობლად იკვეთება: მღვდელი (თავისი მოწოდებით) ყოველთვის თანამედროვეა. ის ქრისტემ კაცთა მებადურად შეამზადა და ისინი, ვინც მღვდელმსახურმა უნდა მოინადიროს, უპირველესად სწორედ ცოცხალი თანამედროვეები არიან. ყველა საუკუნე თავისი განუმეორებელი სულიერ-ზნეობითი პრობლემატიკით ხასიათდება, მაგრამ ამ პრობლემათა ზვაობისას ეკლესიის წიაღში მოიძევება ის ქრისტესმიერი საგზალი, რაც შესაძლებელს ხდის, მღვდელმსახური თანამედროვე იყოს ნებისმიერი ეპოქისათვის.

თუმცა დროის ყოველი მონაკვეთი ერთნაირად უბრალო და მარტივი არ გახლავთ. რაც დრო გადის, ყველაფერი თითქოს რთულდება: რთულდება, ზოგადად, ცხოვრება, ადამიანის ფსიქიკური მოცემულობა, იტოტებიან კონფესიები, მრავლდებიან სრულიად განსხვავებული მიმართულებების ფილოსოფიური სკოლები, ინტელექტუალური და ხელოვნებითი სისტემები, იზრდება მოსახლეობის მიმართ სოციალურ-პოლიტიკური კარნახი, მატერიალური სიღარიბით შეშინებულების სრბოლა გამდიდრებისაკენ, ადამიანები ეჩვევიან ქაოსს და სწავლობენ ქაოსში ცხოვრებას. ის კი არა და, ზოგ შემთხვევაში, ნამდვილი ქაოსი წარმოგვიდგება ჰარმონიად და ჰარმონია უკვე ქაოსადაა მიჩნეული, რომელსაც შედეგად მხოლოდ დისკომფორტი მოაქვს.

მღვდელი კი, თავის მხრივ, ვალდებული და მოწოდებულია ყოველივე ამ საზოგადო წარმატებასა თუ ორომტრიალს ალღო აუღოს, კარგად გაჩხრიკოს, მოვლენათა ფსკერს ჩასწვდეს, ყველას და ყველაფერს თანაუგრძნოს, ემეგობროს, ყმად დაუდგეს. მაგრამ ყოველივე ამას, საღვთო მადლთან ერთად, ბუნებრივია, დიდი შრომა და შინაგანი მღვიძარება სჭირდება. პრაქტიკულად, შეუძლებელია, ყველაფრის ერთნაირი ცოდნითა და სიფრთხილით თვალის მიდევნება. მღვდელმსახური, თუ ერთ პრობლემას გაართმევს თავს, თუ მეორესთან არა, მესამესთან მაინც წაიჩოქებს. და აი, აქ, უკეთეს შემთხვევაში, ღვთისმსახურში, რომელიც მოძღვარი და მასწავლებელია, რომელსაც ევალება, ქრისტეს ნათელს აზიაროს ადამიანი, შემოდის კაცობრივი უძლურების განცდა, მთელი თავისი სიდიადით, და ისიც აცნობიერებს ამ უძლურებას, როგორც შემდგომი მოღვაწეობის ერთადერთ რეალურ პერსპექტივას. მას უკვე უნდა ესმოდეს ის ხმა, რომელიც მისი მღვდელმსახურად დადგენის,კურთხევის დროს გაისმა და რომელსაც, მაშინდელი მღელვარების ჟამს, შესაძლოა,

ყურადღება ვერ მიაქცია: „საღმრთო მადლი, უძლურთა მკურნალი და ნაკლულევანთა აღმავსებელი, ხელდასხმულ-ყოფს ღმრთისმოშიშსა კერძოდიაკონსა დიაკონად“. ამ სიტყვებში იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი სამოძღვრო ასპექტი: ვინც ღვთის მადლმა დაადგინა სხვათა მკურნალად, თვითვეა სხვასთან ერთად ამ კურნებაში, მასაც ეხება ის სულიერი, ზნეობრივი ზრდა, რა მზრდელობითი მადლითაც არის მისი სამოძღვრო სიტყვები გამსჭვალული. უკუიქცა მენტორული, დამრიგებლური, სიყვარულს ამოფარებული, სინამდვილეში კი სიყვარულს მოკლებული, მასწავლებლური ტონი და მღვდელმსახური ნამდვილად იქცა მღვდელმსახურად, ღვთისმსახურად, ადამიანის მსახურად, თანამედროვეთა ჭეშმარიტ მეგობრად, რომელსაც სხვა საშუალება თანადროულობისადმი, ღვთის სიტყვისა და მასში პიროვნული გამოცდილების გარდა, არ გააჩნია. წმ. პავლე მოციქული ამბობს: „რამეთუ ყოველი მღდელთმოძღუარი, კაცთაგან მოყვანებული, კაცთათვის დადგის იგი ღმრთისა მიმართ, რაითა შესწირვიდეს შესაწირავთა და მსხუერპლთა ცოდვათათვის შენდობით და სწორად წყალობად, და შემძლებელ არს უმეცართა მათ და შეცთომილთა, ვინაითგან მასცა ზედა-აც უძლურებაი“ (ებრ.5,1-2).

ეს უძლურება ხელისგულზე დევს. და თუ მის შემჩნევას რაიმე ხელს უშლის, ეს გახლავთ შინაგანი თავდაჯერება საკუთარი დაუცემლობისა. რიტორიკული ხერხები პირადი ცოდვილობისა, ყბადაღებული თეორიები საკუთარი „უკანასკნელობისა“ მხოლოდ მჭევრმეტყველების ზედაპირზე ფარფატებს, რომელიც ერთხელაც შეცდომებისა და დაცემის ნაპირზე გამოირიყება.

ქრისტიან მღვდელმსახურს პრაქტიკულად განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს წმინდა წერილთან, განსაკუთრებით, ახალ აღთქმასთან. ის თვითონ კითხულობს ან ისმენს მას, ქადაგებს მის შესახებ, ასწავლის, სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ საუბრისას მოიხმობს შესაბამის არგუმენტებს, სასულიერო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს წერილებს, აძლევს ინტერვიუებს, თანამშრომლობს შესატყვის მასმედიასთან, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში თუ არა, დროდადრო მაინც, ვერ გაურბის სხვის თვალში ბეწვის ძებნას, რადგან საკუთარ თვალში „დვირეს არსებობა ვერც კი წარმოუდგენია. თითქოს მას არც კი ეხება მაცხოვრის სიტყვები: „ანუ რაისა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი“? (მთ.7,3). ამგვარი დამოკიდებულება სხვათა უძლურებისადმი ნებსით თუ უნებლიეთ აჩანაგებს იმ კურთხეულ ყანობირს, რასაც თანაგრძნობა ჰქვია, რადგან ამ უკანასკნელს მხოლოდ განუკითხველი სიყვარული ჰბადებს.

ანუ მღვდელმსახურს, როგორც აღვნიშნეთ, განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს საღვთო სიტყვასთან, იგი კითხულობს წმინდა წერილს, მაგრამ მხოლოდ წაკითხვა, ბუნებრივია, არ არის საკმარისი მისი გაცნობიერებისათვის. ძველ ქართულში გამიჯნული გახლდათ ტერმინები: „კითხვა“ და „აღმოკითხვა“. „კითხვა“, ანუ წაკითხვა, უფრო მეტად, გვამცნობდა მექანიკურ კითხვას, ხოლო „აღმოკითხვა“ მაუწყებლობდა წაკითხულის რეალურ გაშინაარსებას, გააზრებას, და, შესაბამისად, გაშინაარსებული სიბრძნითა და ჭეშმარიტებით წარმართულ ცხოვრებას.

- კაცობრივი ბუნების უძლურების ცხადმყოფელი, უპირველესად, თვით უფალია, რომელიც თანაეზიარა ამ უძლურებას, შეეწია მას და განკურნა იგი: „რამეთუ რომლითა-იგი ივნო თავადმან და გამოიცადა, ძალ-უც, რომელნი-იგი განიცადებოდიან, მათდა შეწევნად“(ებრ.2,18. შდრ.: „რამეთუ არა ეგევითარი გვივის ჩვენ მღვდელმთავარი, რომელიცა ვერ შემძლებელ იყო შეწყალებად უძლურებათა ჩვენთა, გამოცდილი ყოვლითავე მსგავსებითა, თვინიერ ცოდვისა“, იქვე 4,15). ჩვენდამი თანაგრძნობა ღვთის სიყვარულიდანაა ამოზრდილი, რადგან, სადაც სიყვარულია, მასთან უცილობლად მყოფობს თანაგრძნობა. და მღვდელმსახურებს,

როგორც ღვთისმსახურებს, როგორც მათივე მოძღვრის მოწაფეებს, ევალებათ უძლურთადმი თანაგრძნობა. რადგან სწორედ სხვისადმი ამგვარი მიმართება ცხადყოფს ღვთისადმი რეალურ სიყვარულს, როგორც ამას მოწმობს წმ. იოანე ღვთისმეტყველი: „უკუეთუ ვისმე აქუნდეს საცხორებელი სოფლისაი ამის და იხილოს ძმაი თვისი, რომელსა ეხმარებოდის რაიმე და დაჰხშნეს ნაწლევნი თვისნი მისგან, ვითარ-მე ჰგიეს სიყუარული ღმრთისაი?“ (1 იოან.3,17).

- ადამიანური უძლურება, შესაძლოა, ნებისმიერი ასპექტით გამოვლინდეს. რა თქმა უნდა, ამისათვის წინაპირობად სულაც არ არის აუცილებელი სიღარიბე, სნეულება, ხორციელი მწუხარება, სარწმუნოებრივი, მსოფლმხედველობითი თუ ზნეობრივი ცთომილება და ა. შ უძლურება ზოგადი თვისებაა კაცობრიობის კულტურისა რომელიც გამუდმებით უნდა ახსოვდეს მღვდელმსახურს, რადგან სწორედ ამ უძლურებათა და ნაკლოვანებათა მაკურნებელი მადლმოსილებით არის ის წარმდგარი თანამედროვეთა წინაშე. მისი მსახურება, რასაკვირველია, მისივე შესაძლებლობების კვალობაზე, გულისხმობს სხვათა მსახურებას, სხვათადმი ყურადღებას, მათთვის ლოცვას და მათდამი შეწევნას. რა თქმა უნდა, ის ვერ იქნება ყოველმხრივ თანაბრად წარმატებული, მაგრამ სიყვარულით დაპურებული საღვთო მადლი თანაგრძნობისა მისცემს მას უცთომელ ალღოს, გაიკვლიოს გზა ასერიგ ურთიერთდაპირისპირებულ თანამედროვეთა გულებისაკენ, რომლებიც ამ ბოლო ჟამს განსაკუთრებული აჩქარებით ცემენ.

კეთილსინდისიერ მღვდელმსახურს, მით უფრო, თუ იგი განსწავლულია და მეტად აქცევს ყურადღებას საზოგადოების მაჯისცემას, უჩნდება სურვილი (რაც, იმავდროულად, სავსებით: ბუნებრივია), ინტერნეტრეპლიკებით თუ უფრო საფუძვლიანი გამოხმაურებებით, არ ჩამორჩეს თანამედროვეობის გამოწვევებს: კულტურას, ხელოვნებას, სპორტს, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის პათოსს, ამასთანავე, ტრადიციულ ღირებულებებს (ვინმემ უსამართლოდ რომ არ უკიჟინოს ანტიეროვნულობა, ლიბერალიზმი და გლობალიზმი). იმსჯელოს თეოლოგიურ საკითხებზე, პასუხი გასცეს უამრავ კითხვას, დასახოს სულიერი პერსპექტივები... ამაში თითქოს ცუდი არაფერია, მაგრამ ჩნდება სავსებით ლოგიკური საშიშროება: „ერის მამობის“ შეგრძნება, რაღაც სამოძღვრო აღმატებულობის სულით გამსჭვალვა, თვითდაჯერება, რომლის შედეგადაც ქაოსის „დაყუდების“, დამშვიდების ნაცვლად მღვდელმსახური თვითვეა ამ ქაოსითა და მღელვარებით გარემოცული. მიუხედავად იმისა, რომ მას ნამდვილად ევალება მოძღვრობა-მასწავლებლობა, თანადროულობის გამოწვევებისადმი ღირსეული პასუხის გაცემა, შესაძლოა, თანამედროვე ადამიანის, თანამემამულის გულს მაინც ვერ მიუახლოვდეს, ვერ დაამშვიდოს იგი, ვერ განუსაზღვროს რეალური, ქმედითი სულიერ-ზნეობითი ორიენტირები, რადგან დაავიწყდა ის უცთომელი საურთიერთობო გასაღები, რასაც თანაგრძნობა ჰქვია. მით უფრო, როცა ეს ქვეყანა ასერიგ შეეჩვია ღირებულებათა გადაფასებას, აპოსტასიას. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, რაც მეტად შორდება ადამიანი ღმერთს, რაც მეტად იძირებიან დავიწყების უხილავ ფენებში საუკუნეები, თავიანთი განუმეორებელი სიცოცხლითა და უკვდავებით, მით უფრო მართებთ მღვდელმსახურებს სულგრძელობა, მოთმინება და მეგობრობა გაჯიუტებული, ამბოხებული თანამედროვეობისადმი, რადგან ცოდვილთათვის მოსულ უფალს, რა თქმა უნდა, კვლავ ცთომილთა და წარწყმედულთა მოძიება სურს, რის რეალიზებაც ჩვენი მხრიდან, შეუძლებელია თანაგრძნობის გარეშე, რადგან სადაც არ არის წუხილი მოყვასის უძლურების გამო, იქ არც ქრისტეს მსახურებაა.

ქრისტიან მღვდელმსახურს პრაქტიკულად განუწყვეტელი ურთიერთობა აქვს წმინდა წერილთან, განსაკუთრებით, ახალ აღთქმასთან. ის თვითონ კითხულობს ან ისმენს მას, ქადაგებს მის შესახებ, ასწავლის, სარწმუნოებრივი საკითხების შესახებ საუბრისას მოიხმობს შესაბამის არგუმენტებს, სასულიერო ხასიათის ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებს წერილებს, აძლევს ინტერვიუებს, თანამშრომლობს შესატყვის მასმედიასთან, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში თუ არა, დროდადრო მაინც, ვერ გაურბის სხვის თვალში ბეწვის ძებნას, რადგან საკუთარ თვალში „დვირეს არსებობა ვერც კი წარმოუდგენია. თითქოს მას არც კი ეხება მაცხოვრის სიტყვები: „ანუ რაისა ჰხედავ წუელსა თუალსა შინა ძმისა შენისასა და დვირესა თუალსა შინა შენსა არა განიცდი“? (მთ.7,3). ამგვარი დამოკიდებულება სხვათა უძლურებისადმი ნებსით თუ უნებლიეთ აჩანაგებს იმ კურთხეულ ყანობირს, რასაც თანაგრძნობა ჰქვია, რადგან ამ უკანასკნელს მხოლოდ განუკითხველი სიყვარული ჰბადებს.

დეკანოზი მიქაელ გალდავა

მართლმადიდებელი ეკლესიის სამეფო სამღვდელო ერი

ზურაბ ჯაში

თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ: მაშ მტკიცედ იდექით და ნუღარ დაიდგამთ მონობის უღელს. პავლე მოციქული, გალატელთა მიმართ ეპისტოლე 5:1

ხოლო თქვენა ხართ რჩეული მოდგმა, სამეფო სამღვდელოება, წილხვედრი ხალხი, რათა ყველას აუწყოთ მისი სიქველე, ვინც სიბნელიდან გამოგიხმოთ, რომ გეხილათ მისი საოცარი ნათელი", - ვკითხულობთ პეტრე მოციქულის ეპისტოლეში (1 პეტ. 2:9). ეს ნიშნავს, რომ თითოეული მორწმუნე უგამონაკლისოდ და ყველა ერთად არის სამეფო და სამღვდელო პატივის მატარებელი ამ სიტყვების ქრისტიანული მნიშვნელობით. სამწუხაროდ, ამგვარი წარმოდგენა რიგით მორწმუნე ქრისტიანზე უცხოა თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიაში. დღეს სამღვდელო დასსა და მრევლს შორის მყარი წყალგამყოფია გავლებული, რაც სიმბოლურ დონეზე საკურთხევლის ტაძრის დანარჩენი ნაწილისგან გამომყოფი კანკელითა და კრეტსაბმელით არის გამოხატული: მღვდლის კურთხევის გარეშე მრევლის წევრს აკრძალული აქვს საკურთხეველში შესვლა. პრაქტიკულად ეს ნიშნავს, რომ მრევლი ან საერთოდ არ მონაწილეობს ეკლესიის მართვა-გამგეობაში ან მისი როლი გაცილებით ნაკლებია სამღვდელოების როლთან შედარებით. თავის მხრივ, სამღვდელოება დაყოფილია ლიტურგიკულ-კანონიკურ ხარისხებად: დიაკონი, ხუცესი და ეპისკოპოსი. ამ ხარისხებიდან რომელიმეში პირის აყვანა, ანუ ხელდასხმა ასევე მხოლოდ სამღვდელო დასის საქმეა, რაშიც მრევლს თავისი სიტყვა არ ეთქმის. მოკლედ, მრევლი იმყოფება სრულიად უუფლებო მდგომარეობაში და, შესაბამისად, არც რაიმე პასუხისმგებლობა ეკისრება ეკლესიაში განვითარებულ მოვლენებზე. ის უბრალოდ სტუმარია ეკლესიაში. მრევლის ტიპური წევრი ეკლესიაში ჩვეულებრივ მოდის კვირა დილით ან დღესასწაულებზე, ესწრება წირვას როგორც რამ სპექტაკლის მაყურებელი და დასრულებისთანავე ტოვებს ეკლესიას იმ რწმენით, რომ მან მადლი მიიღო უბრალოდ წირვაზე ასეთი პასიური დასწრებით. მას მეტი არაფერი მოეთხოვება და თვითონაც კმაყოფილია, რომ ასე არაფრის კეთებით შეუძლია მოიპოვოს ღმერთის წყალობა და მისი პირადი საქმეები, სასიკეთოდ წარიმართოს, რამდენადაც შორს არ უნდა იყოს ეს კონკრეტული საქმეები თავისი შინაარსით ქრისტიანული მორალისგან. რამდენად შეესაბამება ამგვარი ვითარება მართლმადიდებელი ეკლესიის მოძღვრებას? ამ სტატიაში მოკლედ ვეცდებით, ვაჩვენოთ, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს.

ძირითადი თეზისი მდგომარეობს იმაში, რომ მართლმადიდებლური დოგმატური სწავლება ადამიანის გამოხსნის, როგორც განღმრთობის შესახებ გულისხმობს საეკლესიო ინსტიტუციის გაგებას თავისი კანონიკურ-ლიტურგიკული წეს-რიგით, როგორც რამ საგზაო ნიშნისა განღმრთობის ამ გზაზე, რომელიც თითოეულმა ჩვენგანმა თავისი ფეხით უნდა გაიაროს და, შესაბამისად, ამ გზაზე სიარულისას თავად აიღოს პასუხისმგებლობა როგორც წარმატებაზე, ასევე მარცხზე. ეს ნიშნავს, რომ საეკლესიო ცხოვრების სიმძიმის ცენტრი მოთავსებულია თითოეული მორწმუნის სულში და არა საეკლესიო ინსტიტუციაში. ამ უკანასკნელს კი ეკისრება ერთგვარი ხარაჩოების ფუნქცია, რომელიც საჭიროა მხოლოდ შენობის აგების პროცესში, ხოლო მისი დასრულებისას ის კარგავს თავის ფუნქციას და უსარგებლო ხდება. აქ შენობა არის თითოეული ადამიანის სული (და მისი გავლით

სხეულიც), ეკლესიის ლიტურგიკულ-კანონიკური წეს-განგება კი მხოლოდ დროებით ემსახურება ამ სულის აღშენებას. მაგრამ აქაც, უსულო შენობისგან განსხვავებით, ადამიანის სულს ეთქმის გადამწყვეტი სიტყვა, რადგან ის ცნობიერად და თავისუფალი ნებით იღებს და ითავისებს უფლისგან ბოძებულ გამომხსნელ მადლს. ინსტიტუცია კი მას მხოლოდ ეხმარება ღმერთისკენ მიმავალი პირველი ნაბიჯების გადადგმაში და სწორი გზის ჩვენებაში და, ასევე, ამ გზაზე წაქცევის შემთხვევაში ხელის გაწვდენით ისევ ფეხზე დადგომაში.

ღმერთისკენ მიმავალი ეს გზა არის თვითონ უფალი იესო ქრისტე, რომელიც ამბობს: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე; ვერავინ მივა მამაჩემთან, თუ არა ჩემს მიერ“ (იოან. 14:6). უფლის გზა შედგება ჯვარცმისა და აღდგომისგან. ამიტომ ჩვენც გავივლით ამ გზას, რომელიც სიმბოლურად მოცემულია ნათლობის საიდუმლოში, როგორც პავლე მოციქული გვმოძღვრავს: „მასთან (ქრისტესთან, ზ.ჯ.) ერთადვე დავიმარხეთ სიკვდილში ნათლისღებით, რათა, როგორც ქრისტე აღდგა მკვდრეთით მამის დიდებით, ჩვენც ასევე ვიარებოდეთ ახალ სიცოცხლეში. რადგან, თუ სიკვდილის მსგავსებით მასთან თანაშეზრდილნი ვართ, აღდგომითაც მავემსგავსებით, რაკიღა ვიცით, რომ ჩვენი ძველი კაცი ჯვარს ეცვა მასთან ერთად, რათა გადაგებულიყო ცოდვის სჯული და აღარასოდეს დავმონებოდით ცოდვას. რადგანაც მკვდარი ცოდვისაგან თავდახსნილია. ხოლო თუ ქრისტესთან ერთად მოვკვდით, გვწამს, რომ სიცოცხლითაც ერთად ვიცოცხლებთ. რადგანაც ვიცით, რომ ქრისტე, მკვდრეთით აღმდგარი, აღარა კვდება: სიკვდილი ვეღარ უფლობს მასზე. რადგანაც, თუ მოკვდა, ცოდვისთვის მოკვდა ერთხელ, ხოლო რაკიღა ცოცხლობს, ღმერთისთვის ცოცხლობს. ასევე თქვენც მკვდრებად შერაცხეთ თავი ცოდვისთვის და ცოცხლებად - ღმრთისთვის ქრისტე იესოს მიერ“ (რომ. 6:4-11).

მართალია, ნათლობა გვეძლევა ეკლესიაში როგორც ღვთისგან ბოძებული უსასყიდლო საჩუქარი, მაგრამ ის თავისთავად ჩვენი ცნობიერი მონაწილეობისა და პიროვნული ძალისხმევის გარეშე არ ასრულებს ჩვენს გასაკეთებელ საქმეს, ანუ ჩვენ ნაცვლად არავინ გაივლის იმ გზას, რომელიც ქრისტემ გაკვალა ჩვენთვის და ის თავად გახდა ჩვენი გზა. მღვდლის მიერ აღსრულებული საეკლესიო საიდუმლო სულაც არ არის საკმარისი, რომ ღვთის გამომხსნელმა მადლმა ჩვენში იმოქმედოს. ამიტომ პავლე მოციქული იქვე შეგვაგონებს:

„მაშ, ნუ იქნება ცოდვის სუფევა თქვენს მოკვდავ სხეულში, ნუ დაემორჩილებით მის ვნებებს. ნუ მისცემთ თქვენს ასოებს ცოდვას უსამართლობის საჭურვლად, არამედ, როგორც მკვდრეთით აღმდგარმა, უძღვენით თავი ღმერთს, ხოლო თქვენი ასოები საჭურვლად - ღმერთის სიმართლეს“ (რომ. 6:12-13).

ჩვენ მიმართ უსაზღვრო სიყვარულით მონიჭებული ღვთის საბოძვარსა და ადამიანის თავისუფალ ნებას შორის ურთიერთქმედება წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველმა ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

„ჭეშმარიტად, ეს იყო უზენაესი სიკეთის ნება, რომ სიკეთე ჩვენთვის განეკუთვნებინა არა მხოლოდ იმით, რომ ის ჩანერგა ჩვენს ბუნებაში, არამედ იმითაც, რომ ის განვითარდა

ჩვენი საკუთარი არჩევანითა და ნებელობის მოძრაობით, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი მიმართულებით მოქმედებისთვის“.[1]

გამოდის, რომ ეკლესიის ინსტიტუციის მიერ აღსრულდება მხოლოდ ნახევარი საქმე და ისიც ფუჭია, თუკი ადამიანი რწმენით არ მიიღებს მისი მეშვეობით გადმოცემულ ღვთის საბოძვარს, ან თვითონ არ იცავს მისთვის ზემოდან დაკისრებულ ვალდებულებებს. ამიტომ წმინდა გრიგოლ ნოსელი გვაფრთხილებს, არ დავკმაყოფილდეთ ნათლობის მხოლოდ რიტუალური მხარის აღსრულებით, არამედ ის უნდა გავიაზროთ და შესაბამისი სულიერი ცხოვრების წარმართვით შევითვისოთ მისი მადლი:

„თუკი ნათლობის საბანელმა განწმინდა მხოლოდ სხეული, მაგრამ სულმა არ განიშორა ვნებების უწმინდურობა, მაშინ ამ საიდუმლოს აღსრულების შემდგომი ცხოვრება მსგავსია ცხოვრებისა მის აღსრულებამდე. თუნდაც თამამად თქმული გამოვიდეს, მაინც ვიტყვი, ასეთისთვის წყალი წყლად რჩება, რადგან მასში შობილს არ მოეპოვება სულიწმიდის მადლი“.[2]

ღვთის მადლის გათავისების საქმეში თითოეული მორწმუნის მიერ შესრულებულმა ამგვარმა აქტიურმა როლმა გამოკვეთა მართლმადიდებელ ეკლესიაში ასკეტურ-მისტიკური ღვაწლის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ადამიანის გამოხსნა დამოკიდებულია უფალი იესო ქრისტეს გამომხსნელი მადლის რწმენით მიღებაზე. მაგრამ თვითონ ეს რწმენა არ არის უბრალოდ გარკვეული წმინდა წერილისეული დებულებების დაჯერება, არამედ ქრისტესადმი, როგორც პიროვნებისადმი, ნდობის გამოცხადებაა. ეს კი გულისხმობს ქრისტესადმი ცოცხალ პიროვნულ ურთიერთობაში შესვლას, ანუ იმას, რასაც პავლე მოციქული უწოდებს „ქრისტეში“ (ἐν Χριστῷ) მყოფობას. როგორც პავლეს მოძღვრების დღემდე ერთ-ერთი საუკეთესო მკვლევარი, ალბერტ შვაიცერი ამტკიცებს, პავლესთვის „რწმენას, აბსტრაქტული მნიშვნელობით, არ გააჩნია ეფექტური მნიშვნელობა: ის მოქმედებს მხოლოდ ქრისტეში მყოფობის მეშვეობით, რისკენაც ის მიგვიძღვის ნათლობიდან მოყოლებული“.[3] ამგვარად, რწმენის ცხოველმყოფელობა დამოკიდებულია ადამიანის ექსისტენციალურ გარდაქმნაზე, ფერისცვალებაზე, რაც არ შეიძლება იყო ერთჯერადი აქტი, არამედ უნდა იყოს მთელი ცხოვრების განმავლობაში განგრძობადი პროცესი. სწორედ რწმენის ამგვარი ტრანსფორმაციული გაგებიდან გამომდინარეობს თითოეული მორწმუნის სულიერი აქტიურობის მნიშვნელობა, რომლის გამოკვეთაც აღმოსავლურ საეკლესიო ტრადიციაში იქამდე მივიდა, რომ ეკლესიის ინსტიტუციური მხარე დაჩრდილა. ამით შეიძლება აიხსნას მართლმადიდებლობაში ეკლესიოლოგიური განაზრებების სიმწირე. სინამდვილეში, აღმოსავლური ქრისტიანული თეოლოგია ეკლესიოლოგიურ სწავლებათა ბირთვს არა ეკლესიის ინსტიტუციაში, არამედ მორწმუნე ქრისტიანის სულში ათავსებდა. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ მეხუთე საუკუნეში მაკარი ეგვიპტელის სახელით ცნობილ ჰომილიებში ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: „ეკლესია ითქმება როგორც მრავალი, ასევე ერთი სულის მიმართ. რამეთუ სული, რომელიც შემოკრებს ღვთის აზრებს, ასევე არის ღვთის ეკლესია ... ასე რომ, ეს სიტყვა (ეკლესია, ზ.ჯ.)

---

1 წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, სიტყვა 2.17.

2 წმ. გრიგოლ ნოსელი, დიდი კატეხიზმო 40.

3 Albert Schweitzer, The Mysticism of Paul the Apostle, trans. W. Montgomery (N.Y.: The Seabury Press, 1968), 206.

აღნიშნავს როგორც მრავალს, ასევე ერთს".[4] კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მაკარი სწორედ ერთი სულის ეკლესიას ანიჭებს უპირატესობას ინსტიტუციურ ეკლესიასთან შედარებით: „ხილული საგნები სახე და აჩრდილია დაფარულთა, და ხილული ტაძარი - გულის ტაძრის სახე, მღვდელი ქრისტეს მადლის მატარებელი ჭეშმარიტი მღვდლის სახეა, ხოლო მთელი ხილული მოწყობის წესრიგი შინაგანი ადამიანის გონისმიერი და დაფარული საგნების ხატი. ამიტომ ჩვენ ვიღებთ ეკლესიის ხილულ მოწყობას და მართვა-გამგეობას, როგორც სიმბოლოს იმისა, რაც ხდება ადამიანის სულში ღვთის მადლით."[5]

არ შეიძლება, არ დავინახოთ, თუ როგორ თავდაყირა არის დაყენებული ამ ტექსტში წინამდებარე სტატიის შესავალში დახატული ვითარება ჩვენი ეკლესიისა, როდესაც კანონიკურად ხელდასხმული სამღვდელოთა დასი ცალმხრივად ფლობს სრულ ძალაუფლებას ეკლესიაში და მრევლი მხოლოდ სტუმრის სტატუსით შემოიფარგლება. ამ დროს მაკარისთვის საერთოდ წარმოუდგენელი ჩანს მღვდლის რაიმე სახის ძალაუფლებაზე საუბარი: ის მხოლოდ სიმბოლურად და ხილულად წარმოგვიდგენს იმ რეალობას, რომელიც თითოეული მორწმუნის სულში უხილავად აღსრულდება ღვთის მადლით. ლიტურგია და ღვთისმსახურების ყველა სახე თავისი არსით მხოლოდ ადამიანის სულში აღსრულდება, რომელიც, თავის მხრივ, რეალურად მონაწილეობს ზეციურ მარადიულ ლიტურგიაში, სადაც უშუალოდ ქრისტეა მღვდელმთავარი.[6]

იმის დასტურად, რომ ამ ჰომილიის ავტორი არ ყოფილა ერთადერთი წმინდა მამა, რომელიც ასე ფიქრობდა, უნდა მოვიყვანოთ ციტატა მართლმადიდებლური საღვთისმეტყველო აზროვნებაში უაღრესად ავტორიტეტული ტექსტიდან „არეოპაგიტული კორპუსი", რომელშიც პირველად ყალიბდება თვითონ ტერმინი „იერარქია". მაკარის მსგავსად ავტორი პარალელს ავლებს ეკლესიის გარეგნული მოწყობის პედაგოგიურ დანიშნულებასა და ადამიანის გონების სულიერ განათლებას შორის:

„შეუძლებელია ადამიანის გონებისთვის ზეციური იერარქიების მიბაძვით მოწყობა, თუ მას არ ექნება ხილული და ნივთიერი წანამძღვარი, რომელიც მისთვის შესაფერისია, გაიაზრებს რა მის ხილულ მშვენიერებას, როგორც ანარეკლს უხილავი ბრწყინვალებისა, გრძნობით კეთილსურნელებას, როგორც გონისმიერი წილმქონეობის ანაბეჭდს, ნივთიერ სინათლეს, როგორც არამატერიალური სინათლის ნიჭის ხატს, წმინდა სწავლებებს, როგორც გონების გონისმიერ სრულყოფას, სასულიერო პირთა გარეგნულ დასებს, როგორც სახეს გონების ჰარმონიული და მოწესრიგებული ჩვეულებისა, რომელიც მოწყობილია საღვთო საგნებისთვის, და ჩვენს ზიარებას უწმინდესი ევქარისტიისა, როგორც იესოსთან ზიარებას".[7]

არეოპაგელის კვალობაზე მეშვიდე საუკუნეში წმინდა მაქსიმე აღმსარებელი თავის ლიტურგიის განმარტების შედეგრში, „მისტაგოგიაში",

---

4 Die 50 geistliche Homilien des Makarios, Hrsg. von E. Klostermann, H. Dörries, Berlin, 1964, 115-116.

5 Makarios/Symeon, Reden und Briefe: Die Sammlung I des Vaticanus Graecus 697 (B), Zweiter Teil, Hrsg. von H. Berthold, Berlin, 1973, 140.

6 ზეციური ლიტურგიის თემა ცალკე ვრცელ განხილვას საჭიროებს, რის საშუალებაც ამჯერად არ გვაქვს.

7 ფსევდოდიონისე არეოპაგელი, ზეციური მღვდელმთავრობის შესახებ, I. 3. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან: Ps.-Dionysius Areopagita,De Coelesti Hierarchia, De Eccle siastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae, 2. Auflage, Hrsg. G. Heil, A. M. Ritter, Berlin, 2012, 8-9.

საგანგებოდ მსჯელობს ტაძრის ლიტურგიულ არქიტექტურასა და ადამიანის სამნაწილედ აგებულებას - სხეული, სული და გონება - შორის პარალელების გავლებას:

„და კვლავ, მეორე ხედვის მიხედვით, ადამიანი ითქმება ღვთის წმინდა ეკლესიად, რომელსაც, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ხატებისა და მსგავსების მქონეს, სულად აქვს საკურთხეველი, გონებად - საღვთო ტრაპეზი, ხოლო სხეულად - ტაძარი. ტაძრის მეშვეობით, როგორც სხეულის მეშვეობით, წარვემატებით ზნეობრივ ფილოსოფიაში, ხოლო საკურთხევლის, როგორც სულის მეშვეობით, სულიერად მიგვიძღვის ბუნებითი ჭვრეტისკენ, ხოლო გონების მეშვეობით, როგორც საღვთო ტრაპეზის მეშვეობით, განგვიცხადებს საიდუმლო ღვთისმეტყველებას."[8] მაქსიმეს ციტატა უაღრესად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ვხედავთ სინთეზს ერთი შეხედვით ისეთი განსხვავებული დისციპლინებისა, როგორებიცაა ეთიკა, ლიტურგიკა და მისტიკა. კვლავ, ეს ყველაფერი თავს იყრის ერთ ადამიანში, მისი სულის, გონებისა და სხეულის ერთობაში. ზნეობრივი და ასკეტური ღვაწლი მიგვიძღვის სამყაროს ესქატოლოგიურ სიდიადეში ჭვრეტისაკენ და, საბოლოოდ, ღმერთთან ერთობის - „საიდუმლო ღვთისმეტყველებისაკენ". მთელი ქრისტიანული ცხოვრება არის საკრამენტული მნიშვნელობისა ამ სიტყვის პირდაპირი და რეალური გაგებით, მაშინ, როცა ხილულ ტაძარში აღსრულებული ინსტიტუციურად დადგენილი მსახურება მხოლოდ და მხოლოდ გზის მაჩვენებელი რუკაა. რა თქმა უნდა, ეს რუკა, როგორც სახარებისეული საფუძვლების მქონე, ასევე არის ღვთისგან ბოძებული და, ამდენად, საკრამენტისგან განუყოფელი, მაგრამ რუკა თავის ფუნქციას მხოლოდ მაშინ ასრულებს სწორად, თუ იმ ტერიტორიაში არ გვეშლება, რომლის რუკაც ის არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკლესიის ინსტიტუციური მხარის საკრამენტული ბუნება ცხადდება და ნამდვილდება რეტროაქტიურად ადამიანის სულის საკრამენტული არსის რეალიზების შედეგად.

წმინდა მამების ამ სწავლებათაგან ბუნებრივად გამომდინარეობდა სამღვდელო ღირსების პიროვნულ დამსახურებაზე დამოკიდებულება. ეს შესანიშნავად ჩანს არეოპაგელის ეპისტოლეში დემოფილესადმი, სწორედ იმ ტექსტში, რომელიც მიიჩნევა კანონიკური იერარქიის ხელშეუხებლობის არგუმენტაციის ნიმუშად. იგი შემდეგი სახით განსაზღვრავს სამღვდელო პირის მოვალეობას:

„ამრიგად, თუკი სამღვდელო დასის მოვალეობა არის განმანათლებლობა (ἡ φωτιστική), ვინც არ გაანათლებს და მით უფრო, თვითონ გაუნათლებელია, სამღვდელო ხარისხისა და ძალისგან სრულებით განვრდომილია (παντελῶς ἀποπέπτωκε τῆς ἱερατικῆς τάξεως καὶ δυνάμεως). და ვფიქრობ, რომ ასეთი პირი თავხედურად ჰკიდებს ხელს სამღვდელო საქმეს, არ ეშინია და არც

---

8 წმ. მაქსიმე აღმსარებელი, მისტაგოგია 4. 264-272. ტექსტი ითარგმნა შემდეგი გამოცემიდან:Maximi confessoris mystagogia, una cum latina interpretatione Anastasii Bibliothecarii, edita a Ch. Boudignon, Corpus Christianorum, Series Graeca, 69, Turnhout: Brepols Publishers, 2011, 18.

რცხვენია, რომ წესის დარღვევით აღასრულებს ღვთისმსახურებას. მას ჰგონია, რომ ღმერთი უმეცარია იმისა, რაც მან თავადაც უწყის საკუთარი თავის შესახებ. ფიქრობს, რომ მას მოატყუებს, როდესაც მას სიცრუით მამას უწოდებს. ის ბედავს, ქრისტეს მიბაძვით საღვთო საიდუმლოებებზე წარმოთქვას მძიმე მკრეხელობები (რადგან მათ არ ვუწოდებ ლოცვებს). ის არ არის მღვდელი, არ არის, არამედ არის მტერი, მატყუარა, საკუთარი თავის მასხარა და ღვთის ერში ბატკნად გადაცმული მგელი".[9]

აქ სიტყვა „განმანათლებლობა" არ გულისხმობს უბრალოდ წიგნიერებას, არამედ სულიერი განვითარების კონკრეტულ საფეხურს. წმინდა მამათა სწავლებით არსებობს სამი საფეხური: განმწმენდელობითი, განმანათლებლობითი და სრულმყოფელობითი. ეს სამი საფეხური ზოგჯერ ზემოთ ციტირებული წმინდა მაქსიმე აღმსარებლის ტერმინოლოგიითაც გამოითქმოდა, როდესაც განმწმენდელობითს შეესატყვისებოდა ზნეობრივი ფილოსოფია, განმანათლებლობითს - ჭვრეტითი ფილოსოფია, ხოლო სრულმყოფელობითს - საიდუმლო ღვთისმეტყველება. თითოეული მათგანი ცალკე განმარტებას საჭიროებს, მაგრამ აქ მხოლოდ ტერმინ „განმანათლებლობაზე" ვიტყვით, რომ ის ნიშნავდა ეგოისტურ ვნებებზე ამაღლების, ანუ „განწმენდის" შედეგად ხილვას მთელი ქმნილებისა, როგორც ღვთის შესაქმისეული განზრახვითა და მადლით გასხივოსნებულის, როდესაც ადამიანი აღარ უყურებს ქმნილებებს - ადამიანებს თუ ცოცხალ ან უსულო საგნებს - როგორც პირადი სარგებლის მომტანს ან საფრთხის შემცველს. რა თქმა უნდა, ასეთი სულიერი მდგომარეობა ხელდასხმის რიტუალით არ მიენიჭება სამღვდელო კანდიდატს, არამედ მას წინ უნდა უსწრებდეს საკმაოდ ხანგრძლივი ასკეტური ღვაწლი და ამ ღვაწლით მიღწეული ღიაობა ღვთისგან დაუმსახურებელი მადლის მისაღებად.

რადგან ასეთი სულიერად წარმატებული სამღვდელო პირები ყოველთვის უმცირესობაში იყვნენ, მეათე საუკუნეში წმინდა სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი ერთმანეთისგან გამოყოფს კანონიკურ ხელდასხმას და სულიწმიდის მიერ მადლისმიერ ხელდასხმას. ასე რომ, შესაძლებელია, ადამიანი საერთოდ არ იყოს რიტუალური წესით ხელდასხმული, მაგრამ ღვთისგან ის ატარებდეს ცოდვათა მიტევების უფლებას:

„ასე რომ, ცოდვათა მიტევების უფლება ღმერთს არ მიუნიჭებია მონაზვნებისთვის მათი სქემის გამო, არც ხელდასხმულთ და სამღვდელო დასში შერაცხილთ ან საეპისკოპოსო ხარისხით პატივდებულთ - ვგულისხმობ პატრიარქებს, მიტროპოლიტებს და ეპისკოპოსებს - უბრალოდ მათი ხელდასხმისა და პატივის გამო. შორს ასეთი აზრისგან! რადგან მათთვის მხოლოდ ღვთისმსახურების აღსრულებაა დაშვებული და, ვფიქრობ, ესეც არა მრავალი მათგანისთვის, რათა ბალახივით არ დაიწვან, არამედ ეპისკოპოსთაგან, მღვდელთაგან და მონაზონთაგან მხოლოდ მათ მიეცათ, ვინც საკუთარი სიწმინდის გამო ირაცხებიან

---

9 ფს.-დიონისე არეოპაგელი, ეპისტოლე 8, 2.3. 1092B 15 - 1092C 9. კრიტიკული ტექსტის გამოცემა: Ps.-Dionysius Areopagita, De Coelesti Hierarchia, De Ecclesiastica Hierarchia, De Mystica Theologia, Epistulae, 2. Auflage, hrsg. G. Heil, A. M. Ritter (Berlin, 2012), 180-181.

ქრისტეს მოწაფეთა კრებულში (τοῖς τῶν μαθητῶν τοῦ Χριστοῦ χοροῖς διὰ τὴν ἁγνότητα)".[10]

წმინდა სვიმონის მოწაფე და ცხოვრების აღმწერელი, ნიკიტა სტითატოსი ასე აგრძელებს თავისი მოძღვრის აზრს:

„სანამ ჩვენი ბუნების ძალები იმყოფება შინაგან უთანხმოებაში და გაფანტულია ურთიერთსაპირისპირო საგნებზე, ჩვენ არ ვეზიარებით ღმერთის ზებუნებრივ საბოძვარს. და თუ არ ვეზიარებით ამ საბოძვარს, მაშინ ჩვენ შორს ვართ ზეციური საკურთხევლის მისტიკური ევქარისტიისგან, რომელსაც აღასრულებს ჩვენი გონება მისი სულიერი მოქმედებით. როდესაც გულმოდგინე ასკეტური ღვაწლის მეშვეობით განვწმინდეთ საკუთარი თავი ბოროტების სიბილწისაგან და დავამყარეთ შინაგანი თანხმობა სულიწმიდის ძალით, მაშინ ვეზიარებით ღმერთის გამოუთქმელ კურთხევებს და ღირსეულად აღვასრულებთ გონების მისტიკური ევქარისტიის საღვთო საიდუმლოებებს ღმერთ-სიტყვასთან ერთად მის ზეციურ და სულიერ საკურთხეველში. რამეთუ ჩვენ გავხდით მისი უკვდავი საიდუმლოებების განდობილები და მღვდლები".[11]

აქ ბევრი რამ საჭიროებს განმარტებას, რის საშუალებაც ახლა არ გვაქვს, მაგრამ ერთი რამ ისედაც ნათელია „გაუნდობელი" მკითხველისთვის: არა აქვს მნიშვნელობა, ვართ თუ არა სამღვდელო ხარისხის მატარებელი ადამიანური ხელდასხმით, მხოლოდ ასკეტურ-მისტიკური ღვაწლის შედეგად შეიძლება ვეზიაროთ საღვთო ევქარისტიის საიდუმლოს და არა უბრალოდ ევქარისტიის ხილულ რიტუალში მონაწილეობით. უფრო მეტიც, ამგვარ ღვაწლში წარმატებული პიროვნების გონება თვითონ არის ღვთის წინაშე ამ საღვთო საიდუმლოს აღმასრულებელი თვით ღვთის სიტყვასთან ერთად ზეციურ საკურთხეველში. სწორედ ასეთი პიროვნება არის ნამდვილი მღვდელი. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ასეთი პიროვნება შეიძლება იყოს როგორც მამაკაცი, ასევე ქალი. ამიტომ ქალთა ხელდასხმის დღეს აქტუალური პრობლემა სამღვდელო მსახურების მიმართ ასეთი მიდგომისას საერთოდ არარელევანტური ხდება.

მოგვიანო საუკუნეებშიც მსგავს სწავლებებს ვხვდებით დიდ ისიქასტ მამებთან, რომელთა ნაშრომები „სათნოებათმოყვარეობის" კრებულში არის შეტანილი. ჩვენი თეზისის წარმოსაჩენად მხოლოდ ორი მათგანის მოხმობით შემოვიფარგლებით. სავარაუდოდ მეთორმეტე საუკუნის მოღვაწე ილია ხუცესი გადმოსცემს შემდეგ სწავლებას:

„გრძნობითი აღქმა არის ღვთის ხატების მატარებელი სულის წინაეზო, განსჯითი აზროვნება არის მისი ტაძარი, ხოლო ინტუიციური გონება - მისი მღვდელმთავარი. გონება იმყოფება წინაეზოში, როდესაც ის დატყვევებულია მავნე აზრების მიერ. ის არის ტაძარში, როდესაც გარშემორტყმულია სასარგებლო აზრებით. როდესაც ის თავისუფალია ერთისგანაც და მეორისგანაც, მაშინ მას აქვს

---

10 წმ. სვიმონ ახალი ღვთისმეტყველი, ეპისტოლე I. 340-345. კრიტიკული ტექსტის გამოცემა: H.J.M. Turner (ed.), The Epistles of St. Symeon the New Theologian (N.Y.: Oxford University Press, 2009), 54-56. რეცეფციის შესახებ უფრო ვრცლად იხ. Alexander Golitzin, „Hierarchy versus Anarchy? Dionysius Areopagita, Symeon the New Theologian, Nicetas Stethatos, and Their Common Roots in Ascetical Tradition", St. Vladimir's Theological Quarterly 38 (1994): 131-179.

11 The Philokalia: The Complete Text: Compiled by St Nikodimos of the Holy Mountain and St Makarios of Corinth, trans. and ed. by G.E.H. Palmer, Ph. Sherrard, K. Ware, Volume IV (London: Faber and Faber, 1995), p. 144.

პატივი, შევიდეს წმინდა საკურთხეველში“.[12]

აქ ჩვენ ვხედავთ წმინდა მაქსიმეს ზემოთ მოყვანილ სწავლების გამოძახილს, სადაც ასევე ცალკეული პიროვნების სულიერი განვითარების სამსაფეხურიანი გზა დაწყვილებულია ტაძრის სამნაწილედ საკრალურ არქიტექტურასთან. მაგრამ ასევე დაზუსტებულია გარკვეული დეტალები. თუკი ადამიანის სულის გარკვეული ძალები და უნარები სიმბოლურად დაკავშირებულია ტაძრის არქიტექტურის სხვადასხვა ნაწილებთან, მაშინ თვითონ მოქმედი სუბიექტი, რომელიც სულიერი მოღვაწეობის სხვადასხვა საფეხურზე თავისი ღვთისმსახურების კვალობაზე გადის ტაძრის სხვადასხვა ნაწილს, უკვე ღიად იწოდება მღვდელმთავრად. ასეთი მღვდელმთავარი კი არის თითოეული ჩვენგანის გონება.

ჩვენს მიერ განხილულ წმინდა მამათა შორის რიგით ბოლო, მეთოთხმეტე საუკუნის სახელგანთქმული ისიქასტი, წმინდა გრიგოლ სინელი პეტრე მოციქულის ზემოთ ციტირებულ მუხლთან თანხმობაში აცხადებს, რომ

„ყველა მორწმუნე არის ჭეშმარიტად ცხებული მღვდელი და მეფე ნათლობის მიერ ბოძებული სულიერი განახლებით, ისევე როგორც ძველად იყვნენ მღვდლები და მეფეები წინასახეობრივად ცხებული. რადგან ეს ცხებულებანი იყო ჩვენს ცხებულებათა ჭეშმარიტების წინასახენი: წინასახეები არათუ ზოგიერთი ჩვენგანის, არამედ ყველა ჩვენგანის. რადგან ჩვენი მეფობა და მღვდლობა არ არის მათი მსგავსი, თუმცა სიმბოლური ქმედებები იგივეა. ჩვენი ცხებულება არ ცნობს რაიმე სახის უპირატესობას ბუნებით, მადლით ან წოდებით, ისე რომ ცხებულნი განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან: ჩვენ გვაქვს ერთი და იგივე მოწოდება, რწმენა და წესი. ამის ჭეშმარიტი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ცხებული პიროვნება არის წმინდა, უვნებო, და ღმერთისადმი სრულად და სამარადისოდ მიძღვნილი“.[13]

საინტერესოა, თუ როგორ უსვამს ხაზს წმინდა გრიგოლი სამეფო და სამღვდელო ხარისხის საყოველთაო ხასიათს, რომ არ იფიქრონ, თითქოს აქ სახელმწიფოს მიწიერი მეფეები, იმპერატორები და კანონიკურად ხელდასხმული მღვდლები და ეპისკოპოსები იგულისხმება. არა, ქრისტეში ყოველი ჩვენგანი, მონათლული ქრისტიანი, არის მეფე და მღვდელი განურჩევლად ეროვნების და სქესისა!

შემდეგ გრიგოლ სინელი განმარტავს, თუ როგორია ასეთი მღვდლის მიერ აღსრულებული მსახურება:

„ყველა, ვინც განახლდა სულიწმიდით და შეინარჩუნა ეს ნიჭი, გარდაიქმნება და განსხეულდება ქრისტეში, განიცდის რა განღმრთობის გამოუთქმელ და ზებუნებრივ მდგომარეობას. მაგრამ, ვინც ამ ცხოვრებაში არ ეზიარა ღვთის მადლს, სულიერ ცოდნას და ჭეშმარიტებას, ის არ შეუერთდება ქრისტეს და არ დაენერგება მის სხეულს. ცათა სასუფეველი არის ღვთის მიერ აგებული საკურთხევლის მსგავსი, რომელიც მან განუცხადა მოსეს როგორც ნიმუში. რადგან ზეციურ საკურთხეველსაც აქვს გარეგანი და შინაგანი ნაწილები. პირველში შევა ყველა, ვინც არის მადლით მღვდელი. მაგრამ მეორეში, რომელიც არის გონისმიერი, მხოლოდ ის, ვინც მოიხვეჭა საღვთისმეტყველო სიბრძნის საღვთო წყვდიადი და აქ როგორც ჭეშმარიტმა იერარქებმა აღასრულეს სამსახოვანი ლიტურგია! თვითონ იესოს მიერ აგებულ კარავში შევლენ, სადაც

12 The Philokalia: The Complete Text: Compiled by St Nikodimos of the Holy Mountain and St Makarios of Corinth, trans. and ed. by G.E.H. Palmer, Ph. Sherrard, K. Ware, Volume III (London: Faber and Faber, 1984), p. 54.

13 იქვე. გვ. 250

ქრისტე მოქმედებს როგორც მათი მაკურთხებელი და მღვდელმთავარი სამების წინაშე, და უხვად განანათლებს მათ საკუთარი ბრწყინვალებით.“[14]

კვლავ ტრადიციული გონისმიერი მსახურება, თითოეული ჩვენგანის მიერ საკუთარ სულში აღსრულებული, რაც გულისხმობს ჩვენი ცნობიერების ფერიცვალებას და განღმრთობას, არის ის, რაც გვაქცევს ქრისტეს ჭეშმარიტ მღვდლებად. მაგრამ გრიგოლი აქაც გამოყოფს გარკვეულ ხარისხებს: ზოგი არის უბრალოდ „მადლით მღვდელი“, რომელიც შედის ზეციური ტაძრის „წმინდაში“, ძველი აღთქმის ტაძრის შედარება რომ გამოვიყენოთ, ხოლო ზოგი უფრო წარმატებულია და იწოდება „გონისმიერ“ მღვდლად, რომელიც წმინდათა წმინდაში შესვლის ღირსი შეიქნა. მაგრამ ორივე მათგანის სულიერი ხარისხი დამოკიდებულია მხოლოდ მათი პიროვნული ღვაწლისა და მადლის ურთიერთქმედებაზე და არა ხელდასხმის რიტუალზე.

მართლმადიდებელი ეკლესიის ამ დიდ მნათობთა სწავლებებიდან გამომდინარეობს ჩვენი დროისათვის უაღრესად აქტუალური დასკვნები. პირველ რიგში, საჭიროა, მკითხველს განვუმარტოთ, რომ ეს სწავლებები არ გვაძლევს მრავალწახნაგიანი მართლმადიდებლური ეკლესიოლოგიის სრულ სურათს, არამედ გამოყოფენ მის ერთ გარკვეულ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან მხარეს. სრული სურათის შესაქმნელად საკმაოდ ვრცელი ნაშრომის დაწერა მოგვიწევდა. ამჯერად შეიძლება ვიკმაროთ ორი ძირითადი პრინციპის გამოკვეთა.

პირველი, ეკლესიის ინსტიტუცია თავისი კანონიკურ-ლიტურგიკული ორგანიზაციით ემსახურება თითოეული მორწმუნის სულის გარდაქმნა-აღშენებას ღვთის ცოცხალ ტაძრად, რომელშიც ქრისტე მარადიულად აღასრულებს ზეციურ ლიტურგიას. ეს ნიშნავს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიკური იერარქიის ავტორიტეტი არათუ თრგუნავს და იქვემდებარებს თითოეული მრევლის წევრის თავისუფლებას, არამედ მიზნად ისახავს სწორედ ამ თავისუფლების განვითარებას და სრულქმნას, რაც არის ქრისტეში ცხოვრების არსი, ანუ ადამიანის ღმერთთან მადლით გათანასწორება, როდესაც ღვთისგან ადამიანს უანგარო ძღვნად ეძლევა ყველა ის თვისება, რაც თვითონ ღმერთს აქვს თავისი ბუნებით, როგორც ამას ყველაზე ნათლად გვასწავლის წმინდა მაქსიმე აღმსარებელი. ანუ „შაბათი არის ადამიანისთვის და არა ადამიანი შაბათისთვის“. წესი ემსახურება თავისუფლების კულტივაციას და არა თავისუფლების გაუქმებას წესისადმი დამონებით. თვითონ სიტყვა „კანონის“ თავდაპირველი მნიშვნელობაც ხომ მშენებლობისას გამოსაყენებელი საზომი ჯოხი იყო. ჩვენს შემთხვევაში ის სულის თავისუფლების აღშენებისათვის საჭირო საზომი ჯოხია, რომელიც გვეხმარება თავისუფლების საზომად ღმერთზე არანაკლები კრიტერიუმის არჩევაში.

მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი პრინციპი არის თანასწორობის პრინციპი. ეკლესიაში არ არსებობს რაიმე სახის პრივილეგიები, „ვინაიდან ყველანი, ვინც ქრისტეში მოინათლეთ, ქრისტეთივე შეიმოსენით. აღარ არის იუდეველი, აღარც ბერძენი, აღარც მონა და აღარც თავისუფალი, აღარც მამრი და აღარც მდედრი, რადგანაც ყველანი ერთი ხართ ქრისტე იესოში“ (გალ. 3:27-28). გზა სულიერი წარმატებისკენ, რაც არის იგივე გზა ქრისტესმიერ მღვდლად და მეფედ გახდომისა

[14] იქვე, გვ. 220

თანაბრად გახსნილია როგორც მამაკაცისთვის, ასევე ქალისთვის, და ყველა ეროვნებისა და კულტურული აღზრდა-განათლების მქონე პიროვნებისთვის. ეკლესიაში უკლებლივ ყველა არის მოწოდებული წმინდანობისკენ, ყველას ეძლევა სათანადო ნიჭი სულიწმიდისგან და ამიტომ ყველა არის თანაბრად უნიკალურად ძვირფასი და საჭირო ეკლესიისთვის, ყველასთვის არის განკუთვნილი მისი წილი მსახურება, „ვინაიდან როგორც ერთია სხეული, მაგრამ მრავალი ასო აქვს, ხოლო ყოველი ასო, მათი სიმრავლის მიუხედავად, ერთი სხეულია, ასევეა ქრისტეც. რადგან ყველანი ერთი სულით მოვინათლეთ ერთ სხეულად, იუდეველნიც და ბერძენნიც, მონებიც და თავისუფალნიც, ასე რომ, ყველას ერთი სული გვაქვს ნასვამი. ხოლო სხეული ერთი ასო კი არ არის, არამედ - მრავალი. და ფეხმა რომ თქვას: რაკი ხელი არა ვარ, სხეულისაც არა ვარო, განა ამიტომ არ ეკუთვნის სხეულს? ან ყურმა რომ თქვას: რაკი თვალი არა ვარ, სხეულისაც არა ვარო, განა ამიტომ არ ეკუთვნის სხეულს? მთელი სხეული რომ თვალი იყოს, სადღა იქნება ყური? ანდა მთლიანად რომ ყური იყოს, სადღა იქნება ყნოსვა? ხოლო აწ ღმერთმა მთელ სხეულში განალაგა ყოველი ასო, როგორც ინება. მაგრამ ყველა რომ ერთი ასო ყოფილიყო, სადღა იქნებოდა სხეული? ხოლო აწ ასო მრავალია, სხეული კი - ერთი“ (1 კორ. 12:12-20).

ახლა უნდა ვიკითხოთ, რამდენად არის ეკლესია მადლმოსილი, თუ ეს პრინციპები არ არის მასში დაცული? ამ და ბევრი სხვა თვალსაზრისით დღევანდელ საქართველოს ეკლესიაში შექმნილი კატასტროფული ვითარება გვავალდებულებს, რომ დროულად დავფიქრდეთ ამ კითხვაზე და შესაბამისად ვიმოქმედოთ ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი ეკლესიის თავის მართლმადიდებლურ საწყისებთან დაბრუნებისთვის.

არეოპაგელის კვალობაზე მეშვიდე საუკუნეში წმინდა მაქსიმე აღმსარებელი თავის ლიტურგიის განმარტების შედეგრში, „მისტაგოგიაში“, საგანგებოდ მსჯელობს ტაძრის ლიტურგიულ არქიტექტურასა და ადამიანის სამნაწილედ აგებულებას - სხეული, სული და გონება - შორის პარალელების გავლებას:

„და კვლავ, მეორე ხედვის მიხედვით, ადამიანი ითქმება ღვთის წმინდა ეკლესიად, რომელსაც, როგორც ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ხატებისა და მსგავსების მქონეს, სულად აქვს საკურთხეველი, გონებად - საღვთო ტრაპეზი, ხოლო სხეულად - ტაძარი. ტაძრის მეშვეობით, როგორც სხეულის მეშვეობით, წარვემატებით ზნეობრივ ფილოსოფიაში, ხოლო საკურთხევლის, როგორც სულის მეშვეობით, სულიერად მიგვიძღვის ბუნებითი ჭვრეტისკენ, ხოლო გონების მეშვეობით, როგორც საღვთო ტრაპეზის მეშვეობით, განგვიცხადებს საიდუმლო ღვთისმეტყველებას.“

მაქსიმეს ციტატა უაღრესად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ აქ ვხედავთ სინთეზს ერთი შეხედვით ისეთი განსხვავებული დისციპლინებისა, როგორებიცაა ეთიკა, ლიტურგიკა და მისტიკა. კვლავ, ეს ყველაფერი თავს იყრის ერთ ადამიანში, მისი სულის, გონებისა და სხეულის ერთობაში. ზნეობრივი და ასკეტური ღვაწლი მიგვიძღვის სამყაროს ესქატოლოგიურ სიდიადეში ჭვრეტისაკენ და, საბოლოოდ, ღმერთთან ერთობის - „საიდუმლო ღვთისმეტყველებისაკენ“. მთელი ქრისტიანული ცხოვრება არის საკრამენტული მნიშვნელობისა ამ სიტყვის პირდაპირი და რეალური გაგებით, მაშინ, როცა ხილულ ტაძარში აღსრულებული ინსტიტუციურად დადგენილი მსახურება მხოლოდ და მხოლოდ გზის მაჩვენებელი რუკაა. რა თქმა უნდა, ეს რუკა, როგორც სახარებისეული საფუძვლების მქონე, ასევე არის ღვთისგან ბოძებული და, ამდენად, საკრამენტისგან განუყოფელი, მაგრამ რუკა თავის ფუნქციას მხოლოდ მაშინ ასრულებს სწორად, თუ იმ ტერიტორიაში არ გვეშლება, რომლის რუკაც ის არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკლესიის ინსტიტუციური მხარის საკრამენტული ბუნება ცხადდება და ნამდვილდება რეტროაქტიურად ადამიანის სულის საკრამენტული არსის რეალიზების შედეგად.

ზურაბ ჯაში

„ქრისტეს მსახურნი და ღვთის საიდუმლოთა მნენი“ (1 კორ 4,1)

მღვდელმონაზონი ეფრემ ლომიძე

ბოლო პერიოდის ქართულ მედიაში ხშირად მოვისმენთ დებატებს სასულიერო პირების შესახებ, რაც, პირველ რიგში, სამღვდელოების მორალური ცხოვრების მხარეებსა და მათ საეკლესიო-პოლიტიკურ შეხედულებებს უკავშირდება. მსგავსი ხასიათის პროცესებს ადგილი აქვს დასავლურ მედიაშიც, სადაც[1] პრესის საშუალებით ცნობილი გახდა სასულიერო პირების მიერ არასრულწლოვან ბავშვებზე ამორალური, სექსუალური ძალადობის (Missbrauchsfälle) მრავალი შემთხვევა. სასულიერო პირების მორალური კრიტიკა და კრიზისის დაძლევა, საბოლოო ჯამში, ეკლესიის მსახურების განახლებას, მის რეფორმას ისახავს მიზნად, რომლის ფუნდამენტური წყარო მხოლოდ დიაგნოზის დასმა კი არ არის, არამედ მღვდელმსახურების შინაარსისა და მისიის, მისი დანიშნულების ხელახლა აღმოჩენა და პრაქტიკული გააზრებაა.

წინამდებარე მცირე გააზრებანი მიზნად ისახავს, ვაჩვენოთ საეკლესიო დასის, მისი იერარქიისა და მთლიანად მღვდელმსახურების თეოცენტრულ-ქრისტოცენტრული კავშირი, რომელიც სცდება იმ დებატების პათოსს, რაც მხოლოდ მათი მორალური და პოლიტიკური განზომილებების ირგვლივ მსჯელობასა და ანალიზსთანაა დაკავშირებული.

ღვთის მიერ დადგენილი მღვდელმსახურება და მისი მისია

მღვდელმსახურების წარმოშობის ისტორიისა და მისი საღვთისმეტყველო განვითარების მხარეებზე მსჯელობა არ წარმოადგეს ჩვენს ამჟამინდელ ამოცანას[2]. არამედ გვსურს დავინახოთ მღვდელმსახურება ადრეული ეკლესიის რწმენის შუქზე, ერთი მხრივ, თუ როგორ ხედავდა მას საეკლესიო ტრადიცია და, მეორე მხრივ, რა შეუძლია მას, მოგვცეს ჩვენ, ქრისტიანებს დღეს. ასე რომ, შეიძლება ვიკითხოთ: გვჭირდება კი დღეს საეკლესიო მღვდელმსახურების გაგება იმ გააზრებით, რომლითაც ის ადრეული ეკლესიის საერთო ტრადიციის სულისკვეთებას წარმოადგენდა, როგორც ეს ჩვენმა წინაპრებმა მიიღეს, იცხოვრეს და გადასცეს, თუ გვინდა მისი ხელახალი განსაზღვრა დღევანდელი სულის, ინტერპრეტაციის Zeitgeist-ის კრიტერიუმების კვალდაკვალ?

კლასიკური საეკლესიო სწავლების (დოქტრინის) თვალსაზრისით, მართლმადიდებელი და კათოლიკე ქრისტიანები თანხმდებიან იმის თაობაზე, რომ საეკლესიო მღვდელმსახურება რაღაც იდეა ანდა ადამიანის ხელით შექმნილი სოციალურ-კარიტატიული ხასიათის დაწესებულება კი არ არის, არამედ ის, წმ. იოანე ოქროპირის სიტყვებით, თავად ღმერთის მიერ დედამიწაზე განწესებული მსახურებაა. იგი წერს: „მღვდელმსახურება, სრულიად სამართლიანად, ზეციური განწესებით აღესრულება ამ სოფელში. რამეთუ კაცმა, ანგელოზმა, მთავარანგელოზმა და რომელიმე ქმნილმა ძალამ კი არა, თავად ნუგეშინისმცემელმა განაწესა ეს ხარისხთა მიმდევრობა.“[3] მიუხედავად ამ გამოთქმისა, იერარქია საკუთარ ვალდებულებას ხედავს ეკლესიის სოციალური მსახურების გზაზე, მაგრამ ის მასზე მაღლა დგას და, უპირველეს ყოვლისა, საიდუმლოებრივ-საკრამენტულ შინაარსს ატარებს. სწორედ სამღვდელო მოღვაწეობის ეს საკრამენტული მხარე აძლევს მღვდელმსახურს უნარს და ძალას, გასცეს ის, რასაც თავად არ ფლობს და შეასრულოს ის, რაც მისგან არ

მოდის. სიტყვა „მისია“, რომელიც მღვდელს მიეცა ხელდასხმის მომენტში მხოლოდ და მხოლოდ დაგვეხმარება, კიდევ ერთხელ აღმოვაჩინოთ ამ საიდუმლოს საღვთისმეტყველო მხარე და მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. კურტ კოხის აზრით, „მისიის ცნება ბიბლიურია და, ამგვარად, ზოგადად ქრისტიანობის გზავნილის ცენტრალური კატეგორიაა“.[4] მისი თქმით, „იესო ქრისტე ღვთის მაცნედ წარმოგვიდგება. მისიის ცნება იმდენად ახასიათებს იესო ქრისტეს პიროვნებას და მოღვაწეობას, რომ მისი მთელი არსებობა ‚გა[მო]გზავნილ[ობა]შია‘.“[5] ამ კონტექსტში იკვეთება ვერტიკალური ხაზი; ღმერთის მიერ გამოგზავნილი იესო ქრისტე თავის მოწაფეებს, ანუ თავის მოციქულებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ მის მისიაში.[6] იოზეფ რაცინგერის თქმით, „პასუხისმგებლობა, რომელიც დაეკისრა მოციქულს, გადადის შეკრებილ პრესვიტერებზე“.[7] ამიტომ ამ მისიაში მყოფი პასუხისმგებელი პიროვნება მოქმედებს არა საკუთარი, „არამედ მისი გამომგზავნის სახელით“. კოხის თქმით, ეს არის „ის წარმომადგენელი, ვისაც ანდობენ მისიას და ამავდროულად ხდება ამ მისიის, ამ გზავნილის დამმოწმებელი“[8]. ამ სულისკვეთებითა და ამ უწყვეტობით საეკლესიო იერარქია უკვე ჩამოყალიბდა და გამოკრისტალდა მოციქულთა მოღვაწეობის ხანაში, რაც დღესაც განაპირობებს საეკლესიო თანამდებობის გაგებას.

სამღვდელო მსახურება არა როგორც პიროვნული საკუთრება, არამედ უფლის მიერ ბოძებული ძალმოსილება

როგორც ხსენებული წმ. მამის, იოანე ოქროპირის, ასევე სხვა პირველი ათასწლეულის ეკლესიის მასწავლებელთათვის სრულიად ცხადი იყო, რომ სამოციქულო უწყვეტი მემკვიდრეობის წევრობა წარმოადგენს არა პიროვნულ საკუთრებას, არამედ უფლის მიერ ბოძებულ ძალმოსილებას. მღვდლობა, სამღვდელო მოღვაწეობა თავის მრავალმხრივ განზომილებაში ნიშნავს არა საკუთარი ინტერესების, საკუთარი სიბრძნის მანიფესტაციას, არამედ თავად იესო ქრისტეში გამოცხადებული ღმერთის ლოგოსის მსახურებას და მის დამოწმებას მოცემულ დროსა და სივრცეში. ნეტარი ავგუსტინე მღვდლის პროტოტიპს – წინასახეს სახავს იოანე ნათლისმცემლისა და იესო ქრისტეს პერსონალურ ურთიერთდამოკიდებულებაში, რითაც ის ხსნის იესო ქრისტესა და მღვდლის ურთიერთობის საიდუმლოს.[9] იოანე ნათლისმცემელი იესო ქრისტეს შესახებ ამბობს: „მისი ჯერ-არს აღორძინებად, ხოლო ჩემდა მოკლებად (იოანე III, 30)“. როგორც ხმა არის სიტყვის მსახური, ასევე მღვდლობის ამოცანას წარმოადგენს სიტყვის ხმად ყოფნა. ხმას თავისთავად არ გააჩნია არანაირი სხვა აზრი გარდა სიტყვის აზრის გაჟღერებისა. ხმა ქრება იქ, სადაც სიტყვა ასრულებს თავის სათქმელს. მღვდელი, როგორც იოანე ნათლისმცემელი უფალთან მიმართებაში, არის მხოლოდ ხმა სიტყვასთან მიმართებაში და, ამდენად, სიტყვის მსახური. მისი ყოფნა მხოლოდ და მხოლოდ სიტყვის მსახურებაში იმყარებს თავის ზებუნებრივ ფესვს, კერძოდ, იესო ქრისტეში განცხადებული ღმერთის – მამის, ძის და სულიწმიდის მსახურებაში, და ეს მსახურება ქმნის მის ზესოციალურ ხასიათს და აქცევს მას საკრამენტად, ანუ საიდუმლოდ. ის ამავდროულად არის საღმრთო ერის ქრისტეს სხეულად მქცეველი წმ. ევქარისტიის გზით და თანაცხოვრობს იესო ქრისტეში. ამ გზით ჩვენ ყველა ერთად ვმონაწილეობთ წმ. ევქარისტიაში და ვხდებით ქრისტეს სხეული.

სამღვდელო მორჩილების ქრისტოლოგიური მოდელი

ზემოთქმულიდან უფრო გასაგები ხდება, თუ რატომ იწოდება მღვდელი მსახურად ქრისტესი, რომელმაც პავლე მოციქულის თანახმად მონის ხატი შეიმოსა (ფილიპ. 2,5-11). იესო ქრისტეს მსახურება და მორჩილება მამა ღმერთის მიმართ არის მღვდლისათვის პირველადი მაგალითი იესო

ქრისტესადმი მისი მორჩილებისათვის ეკლესიის სწავლების და საეკლესიო ავტორიტეტის, მისი იერარქიის მეშვეობით. ამას მოწმობს იესოს ლოცვა გეთსამანიის ბაღში, სადაც ის მამას მიმართავს, რომ აღსრულდეს მამის და არა თავისი ნება: „მამაო ჩემო, უკუეთუ შესაძლებელ არს, თანა-წარმჴედინ ჩემგან სასუმელი ესე; ხოლო არა ვითარ მე მნებავს, არამედ ვითარცა შენ (მათე 26,39)". მორჩილების ეს ქრისტოლოგიური მოდელი წარმოადგეს ერთ-ერთ ავთენტურ მაგალითს სწორი საეკლესიო მორჩილების გაგებისათვის. ნებისმიერი ქრისტიანი, საერო თუ სასულიერო პირი, მყოფობს საეკლესიო მორჩილებაში მამა ღმერთთან მიმართებაში ამ ქრისტოლოგიური, ანუ ქრისტესმიერი მორჩილების მაგალითით. ჩვენ ყველა ვართ ღვთის სიტყვის, ლოგოსის მორჩილნი. სწორედ ეკლესიის წევრთა ეს საერთო მორჩილება ხდის ამ ეკლესიის ყველა წევრს თანაბრად თავისუფალს იესო ქრისტესა და მის ერთ წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაში. სწორედ ეს არღვევს მორჩილების, დღეს ბევრგან, სამწუხაროდ, ფესვგადგმულ არასწორ გაგებას და ბადებს საეკლესიო მორჩილების ქრისტოლოგიურ ხასიათს. ამდენად, ჭეშმარიტად საეკლესიო მორჩილება წარმოადგენს არა ვინმეს ან რაიმეს მონობას, არამედ ყველა ნათელღებულის ერთობლივ თავისუფლებას იესო ქრისტეში, რაც უადრესი ტრადიციით ნაკარნახევი საეკლესიო წესრიგის დაცვით უნდა რეგულირდებოდეს.

საეკლესიო დასის ისტორიული წარმოშობა და მისი საღვთისმეტყველო განზომილება

სამღვდელო მოღვაწეობის საფეხურები და მათი ამოცანები გაჩნდა ჯერ კიდევ ადრეულ ქრისტიანულ თემებში, რომლებიც არსებითად ზრუნავდნენ „ღვთისმსახურების აღსრულებაზე, ჭეშმარიტი მოძღვრების ქადაგებასა და მის შენარჩუნებაზე, აგრეთვე სამრევლო ცხოვრების საქველმოქმედო მსახურების მხარეებზე".[10] ერნსტ დასმანი აღნიშნავს, რომ „საეკლესიო პრაქტიკაში არსებული ეს სტრუქტურული ელემენტები გადმოღებულ იქნა როგორც სინაგოგის თემიდან, ასევე ელინისტური კულტურის სივრციდან იესოს, მისი მოციქულებისა და მათი მოწაფეების პერიოდში".[11] დასმანის თქმით, უკვე ამ დროს ქრისტიანულ თემებში დამკვიდრდა ადმინისტრაციული ერთეული ეპისკოპოსის, პრესვიტერისა და დიაკვნის შემადგენლობით.[12] ადრეულ ეკლესიაში ამ სტრუქტურული რეალობის მიუხედავად, როგორც აგრეთვე ფიდროვიჩმა გაუსვა ხაზი, „პირველ სამ საუკუნეში [...] თითქმის არ არსებობდა რაიმე აშკარა თეოლოგიური ასახვა მღვდელმსახურებაზე, მის საფუძველსა და მის არსზე. მღვდელმსახურების ადრეული ქრისტიანულ-საღვთისმეტყველო გაგება ჩამოყალიბებას იწყებს პატრისტიკულ პერიოდში, ყველაზე გვიან, მე-4 საუკუნიდან, როდესაც, ერთი მხრივ, დონატიზმის კრიზისმა აიძულა, განსაკუთრებით ავგუსტინე, უფრო დეტალურად განეხილა მღვდლის საკრალურ-საიდუმლოებრივი მოღვაწეობა ეკლესიაში და, მეორე მხრივ, როდესაც მრავალი მორალური და ადმინისტრაციული საყვედური გაისმა სასულიერო პირების წინააღმდეგ. ამ ფაქტორმა კი, თავის მხრივ, დასაბამი დაუდო სამღვდელო მსახურების საღვთისმეტყველო გაგებისა და მისი ღრმა კონცეფციის არსებობის აუცილებლობას, რამაც წარმოშვა მოცემული საკითხის ირგვლივ ნაშრომების სერია, რაც საეკლესიო მღვდელმსახურების მისიას, ამოცანას, ბუნებას, შინაგან და გარეგნულ დანიშნულებასა და მსგავს საკითხებს სიღრმისეულად განიხილავდა".[13]

სამღვდელო მსახურების ღმერთთან კავშირის კვლავ აღმოჩენისათვის

ბუნებრივია, ადრეული ეკლესიის ტრადიცია და რწმენა იცნობდა სამღვდელო მსახურების კავშირს ღმერთთან. თავისი ფუნქციიდან გამომდინარე საეკლესიო ღვთისმსახურება არ არსებობდა და ვერც იარსებებდა ღმერთთან კავშირის გარეშე; შესაბამისად, „არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ სამღვდელო დასი [ეპისკოპოსების, მღვდლებისა და დიაკვნებისგან შემდგარი] პირდაპირ ღმერთზე იყო ორიენტირებული,

შეესაბამებოდა ღვთის ნებასა და სამოციქულო ტრადიციას“.[14] ამდენად, უადრესი ეკლესიის მამათა ტრადიცია აჩვენებს, რომ საეკლესიო თანამდებობა არ არის ადამიანის გონების პროდუქტი და მისი კონსტრუქცია ან „ადამიანის მიერ დაფუძნებული ინსტიტუცია“[15] , არამედ მას აქვს თავისი ἀρχή (archḗ), prīncipium, მისი დასაწყისი, მისი პრინციპი და მისი წარმოშობა მამა ღმერთში, როგორც წყაროში, რაც ჩვენ, როგორც ეკლესიამ, დღეს ხელახლა უნდა აღმოვაჩინოთ. ეკლესიის მამების ცნობიერებაში სამღვდელო მსახურების შესახებ საღვთისმეტყველო და სულიერი საკითხების ღრმა შესწავლის შემდეგ ფიდროვიჩი წერს, რომ „ძირითადი რწმენა, რომელიც აშკარად გამოვლინდა ეკლესიის დასაბამიდან, არის ის, რომ საეკლესიო თანამდებობა არ წარმოქმნილა ადამიანური ინიციატივით, არამედ ის ღვთის გეგმის ნაწილია ჩვენი გამოხსნის ისტორიაში“.[16] ამდენად, საეკლესიო მსახურებას თავისი ფესვები აქვს ღმერთში, ვინც თავისი სახე იესო ქრისტეში განგვიცხადა, და, შესაბამისად, არ უნდა დავიყვანოთ ის ადამიანურ კონსტრუქციამდე. არც ისაა საჭირო, რომ შევეცადოთ, ამ მსახურებას ახლებური განსაზღვრება მივცეთ ყოველ ეპოქის სულის, Zeitgeist-ს კარნახით. უფრო მეტიც, ეს მშვენიერი მსახურება ახლიდან კი არ უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ ეპოქაში, არამედ საჭიროა მისი ხელახლა აღმოჩენა, აღმოჩენა იმისა, რაც და როგორც ის დასაბამითვე იყო განსაზღვრული. სწორედ საკითხისადმი მიდგომის ეს მეთოდი და პრინციპი დაგვეხმარება საეკლესიო მღვდელმსახურების ჭეშმარიტი რეფორმის გზაზე, რეფორმისა, რომელიც თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით სწორედაც საწყისებთან მიბრუნებას ნიშნავს: ლათინურიდან მომდინარე re - უკან, formare - ფორმისკენ. მივუბრუნდეთ საწყის ფორმას და აღმოვაჩინოთ ის თავიდან ჩვენში და ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში. ფიდროვიჩმა გააერთიანა ეს პატრისტიკული შეხედულება საეკლესიო სამღვდელო მსახურებაზე პავლე მოციქულის ღვთისმეტყველებაში და შეაჯამა იგი: ეკლესიის მამები მღვდლებს ხედავენ, როგორც ხსნის ამ ღვთაებრივი განგებულების მსახურებს, როგორც „ღვთის საიდუმლოების მცველებს“ (1 კორ. 4:1), როგორც „ღვთის თანამშრომლებს“ (synergoí theoū: 1 კორ 3:9) და ისინი წარმოადგენენ „ღვთის დიდ საქმეებს“ ადამიანთა გამოხსნის ისტორიაში, რომელიც ახლაც ასევე უნდა იყოს გამოცხადებული და საკრამენტულად წარდგენილი ეკლესიის ცხოვრებაში.

1. იგულისხმება გერმანია, ასევე ირლანდა დ.ს.
2. ამის შესახებ იხ. შემდეგი ნაშრომები: Jochen Wagner, Die Anfänge des Amtes in der Kirche. Presbyter und Episkopen in der frühchristlichen Literatur (Texte und Arbeiten zum neutestamentlichen Zeitalter 53), Tübingen 2011; Ernst Dassmann, Ämter und Dienste in den frühchristlichen Gemeinden, Bonn 1994; Joseph Ysebaert, Die Amtsterminologie im Neuen Testament und in der Alten Kirche. Eine lexikographische Untersuchung, Breda 1994; Johannes Hofmann, Zentrale Aspekte der Alten Kirchengeschichte (Theologische Lehr- und Lernbücher 4/1), Würzburg 2012, აქ განსაკუთრებით: 29-58 (Die Entstehung und Entwicklung der kirchlichen Ämter und Dienste in den ersten drei Jahrhunderten).
3. Johannes Chrysostomus, sac. III, 4; ციტატა იხ.: De Sacerdotio. Über das Priestertum. Mit einer Studie zu Werk und Rezeption herausgegeben und kommentiert von Michael Fiedrowicz. Übersetzt von Ingo Scharf (Buch 1-3) und Claudia Barthold (Buch 4-6), Fohren-Linden 2013, 185. – სამღვდელო მსახურების საღვთო წარმომავლობის შესახებ იხ. Michael Fiedrowicz, Einleitung, in: Johannes Chrysostomus, De Sacerdotio. Über das Priestertum. Mit einer Studie zu Werk und Rezeption herausgegeben und kommentiert von ders. Übersetzt von Ingo Scharf (Buch 1-3) und Claudia Barthold (Buch 4-6), Fohren-Linden 2013, 9-119, აქ 78-81.
4. Kurt Kardinal Koch, Die apostolische Dimension der Kirche im ökumenischen Gespräch, in: ders. Erneuerung und Einheit. Ein Plädoyer für mehr Ökumene, Ostfildern 2018, 151-184, აქ 152.
5. Koch, Apostolische Dimension der Kirche, 152, wie auch im Folgenden.
6. იხ. Koch, Apostolische Dimension der Kirche, 153.
7. Joseph Kardinal Ratzinger, Der Bischof – Künder und Hüter des Glaubens, in: Communio. Internationale katholische Zeitschrift 31 (2002), 456-467, აქ 456.
8. Koch, Apostolische Dimension der Kirche, 154.
9. იხ. Augustinus, Sermo 293, 1-3 (PL 38, 1327).
10. Ernst Dassmann, Kirchengesichte I. Ausbreitung, Leben und Lehre der Kirche in den ersten drei Jahrhunderten, Stuttgart, Berlin, Köln 22000, 161-162.
11. Dassmann, Kirchengesichte, 162.
12. Dassmann, Kirchengesichte, 162.
13. Michael Fiedrowicz, Einführung, in: Priestertum und Kirchenväter. Quellentexte zur Theologie und Spiritualität des priesterlichen Amtes. Herausgegeben, eingeleitet und kommentiert von ders., Fohren-Linden 2013, 7-10, აქ 7.
14. Dassmann, Kirchengeschichte, 162.
15. Joseph Ratzinger, Jesus von Nazareth. Vom Einzug in Jerusalem bis zur Auferstehung, in: JRGS 6/1, 417-635, აქ 493.
16. Fiedrowicz, Einführung, 8.

არც ისაა საჭირო, რომ შევეცადოთ, ამ მსახურებას ახლებური განსაზღვრება მივცეთ ყოველ ეპოქის სულის, Zeitgeist-ს კარნახით. უფრო მეტიც, ეს მშვენიერი მსახურება ახლიდან კი არ უნდა განისაზღვროს ამა თუ იმ ეპოქაში, არამედ საჭიროა მისი ხელახლა აღმოჩენა, აღმოჩენა იმისა, რაც და როგორც ის დასაბამითვე იყო განსაზღვრული. სწორედ საკითხისადმი მიდგომის ეს მეთოდი და პრინციპი დაგვეხმარება საეკლესიო მღვდელმსახურების ჭეშმარიტი რეფორმის გზაზე, რეფორმისა, რომელიც თავისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით სწორედაც საწყისებთან მიბრუნებას ნიშნავს: ლათინურიდან მომდინარე re - უკან, formare - ფორმისკენ. მივუბრუნდეთ საწყის ფორმას და აღმოვაჩინოთ ის თავიდან ჩვენში და ჩვენი ეკლესიის ცხოვრებაში.

მღვდელმონაზონი ეფრემ ლომიძე

მღვდლობა და მღვდლად ხელდასხმა პირველი ათასწლეულის საქართველოში

მღვდელმონაზონი ლეონიდე ბ. ებრალიძე

ძველ ქართულ წყაროებში, ეკლესიის სამსაფეხუროვანი იერარქიის მეორე საფეხური ძირითადად ორი სახელით მოიხსენიება: „ხუცესი“ [1], რომელიც ზუსტი შესატყვისია ბერძნული **πρεσβύτερος**-ისა და „მღდელი“ [2], რომელიც კონვენციონალურად ესატყვისება ბერძნულ **Ἱερεύς** (ლათ. Sacerdos) [3]. ამასთანავე, არ შეიმჩნევა რაიმე კონკრეტული წესი ხსენებული ორი ტერმინის გამოყენებაში. ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ისინი ხშირად სინონიმებად იხმარებოდა, რის ნათელი მაგალითიც არის ნათარგმნ ლიტერატურაში ერთი და იმავე ბერძნული ტერმინის განსხვავებულად ასახვა ქართულში. მაგ. **κατὰ τὴν παράδοσιν τῶν πρεσβυτέρω** (მკ. 7:5) შატბერდული წარმოშობის ადიშის ოთხთავში (897 წ.) ითარგმნება როგორც: „მსგავსად მოძღურებისა მის მღდელთაჲსა“ ხოლო ასევე შატბერდული წარმოშობის ჯრუჭის (936 წ.) და პარხლის (973 წ.) ოთხთავებში როგორც: „მოძღურებისაებრ ხუცესთაჲსა“ [4].

იმის შესახებ, თუ რაოდენ საპატიო საქმიანობად მიიჩნეოდა მღვდლობა ძველ საქართველოში, წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრებიდან ვიგებთ. ჭაბუკი გრიგოლი, მისი აღმზრდელების მოწმობით ყოფილა „უბრალოჲ ჴელითა და წმიდაჲ გულითა“ (ფს. 23:4) და მიუხედავად იმისა, რომ „აქუნდა სიყუარული მღდელობისაჲ“, დედისა და აღმზრდელების სურვილს, მღვდლად კურთხეულიყო, დიდი კრძალვით შეხვდა. ხელდასხმის შეთავაზებაზე მისი პასუხი, რომელიც ხშირად ყველაზე ცნობილ ფრაზამდე - „აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“ - დაიყვანება, სინამდვილეში წარმოადგენს ერთგვარ კომპენდიუმს იმ სწავლებისა, რომელიც ძველ საქართველოში არსებობდა სამღვდელო მსახურების შესახებ, ზოგად ქრისტიანულ მოძღვრებასთან შესაბამისობაში:

„თქუენ იცით ძალი საღმრთოთა წიგნთაჲ. გულისხმა-გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელთ-მოძღუართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ, თუ ვითარნი კრძალვანი უჴმან მღდელობასა და ყოვლად უბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყჳთა. ხოლო დაღაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უდებიეს დათმენაჲ უწესოთა კაცთა მღდელობაჲ, უმჯობჱს არს მათა, უკუეთუმცა ყოვლადვე რიცხუსა კაცთასა არა შერთულ იყვნეს, ვიდრე საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა. ხოლო სარწმუნოთა მღდელთათჳს ესე უწყოდეთ თქუენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჴორციელთა, რამეთუ ქრისტჱს ნაცვალობაჲ არს ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ, რომელმანცა ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ ‘ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაჲსწარმეტყუელთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუენ და გესმის და ვერ მიემთხჳნეს’ (მთ. 13:17), რომელსა ღირს იქმნენით თქუენ. და თჳსისა მის მღდელობისა ნაცვალად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად. და შემდგომითი შედგომად ყოველნი სარწმუნონი მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა და სასწაულთა ყოველთა და წინაჲსწარმეტყუელთა ჩუენებასა და ღმრთის-მხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა დაჰბეჭდა. და აწ არაჲ ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თჳნიერ მღდელობისა, რომლისათჳს პავლე იტყჳს, ვითარმედ: ‘ქრისტჱს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქუენ’ (1კორ. 4:15). და უფალი ბრძანებს: ‘უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა’ (ინ. 3:3-5). და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“ [5].

საბოლოოდ გრიგოლი დათანხმდება ხუცესად კურთხევას „და ესრჱთ მხიარულ იქმნა სიმრავლჱ იგი ერისაჲ, რაჟამს წმიდითა ჴელითა მისითა ღირს იქმნნეს მიღებად ჴორცსა და სისხლსა ქრისტჱსსა“.

ცხადია, ჰაგიოგრაფიული წყარო არის ნარატიული შინაარსისა და იგი სრულყოფილად არ გადმოსცემს არც ლიტურგიულ და არც სისტემური ღვთისმეტყველების დეტალებს. როგორც გასული საუკუნის ცნობილი ბიზანტინოლოგი, ალექსანდრე კაჟდანი წერდა: „თუ ევქოლოგიონი აღწერს იდეალურ სისტემას, ლიტურგიის თეორიას, ჰაგიოგრაფები ნათელს ჰფენენ ინდივიდუალურ, ცვალებად ფენომენს, როგორსაც ისინი ხედავდნენ რეალურ ცხოვრებაში“ [6] . ამიტომ, იმის უცხადესად გასარკვევად, თუ როგორ ხდებოდა პირველი ათასწლეულის საქართველოში პიროვნების სამღვდელო ხარისხში აყვანა და რა შინაარსი იდო მასში, უნდა მივმართოთ ლიტურგიულ ტექსტებს.

სტრუქტურა

პირველი ათასწლეულის ლიტურგიული პრაქტიკის (რომელიც ქართველ მკვლევართა შორის ხშირად მოიხსენიება როგორც „წინარებიზანტიური ლიტურგია“) ამსახველ დოკუმენტთაგან, სამწუხაროდ ერთადერთმა შემოგვინახა ხელდასხმათა წეს-განგებანი. საუბარი გვაქვს „არქიერატიკონად“ წოდებულ, XI საუკუნის დასაწყისით დათარიღებული ხელნაწერზე A 86 (ყოფილი საეკლესიო მუზეუმის კოლექციიდან), რომელიც კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული [7] . ხელნაწერი შეიცავს იაკობ მოციქულის სახელით ცნობილ ჟამისწირვას, ქვედა საფეხურის სასულიერო დასის, მათ შორის მღვდლად კურთხევის ფორმულებს, ზედა საფეხურის სასულიერო დასის ხელდასხმებს და ოდიკის კურთხევის წესს. ხელნაწერის ტექსტი პირველად კორნელი კეკელიძემ გამოაქვეყნა რუსული თარგმანით 1908 წელს[8], მისი აზრით, A 86-ში დაცული ლიტურგიული განგებები ბერძნულიდან არის ქართულად ნათარგმნი. მან მალევე, 1912 წელს, „არქიერატიკონის“ ქართული ორიგინალიც გამოსცა[9] . 1913-1914 წლებში კი ტექსტი ინგლისურადაც ითარგმნა[10].

სტრუქტურული თვალსაზრისით მღვდლად ხელდასხმა სამ ნაწილად იყოფა. პირველი და მესამე ნაწილები ზოგადია ყველა უმაღლესი საეკლესიო საფეხურისათვის (დიაკვნობა, მღვდლობა, ეპისკოპოსობა)[11] , მეორე ნაწილი კი უშუალოდ მღვდლად დადგინების რიტუალია[12] :

- I.1. შესავალი ნაწილი: „კუერექსი კურთხევასა ებიზკოპოსისასა, ხუცისასა, დიაკონისასა“;
- I.2. ხელდასხმის გამოცხადება დიაკვნის მიერ: „ებისკოპოსმან მადლი მისცეს და ქადაგმან მაღლად თქუას: წყალობითა მამისაჲთა, ძისაჲთა და და სულისა წმიდისაჲთა...“
- I.3. ერის მოწმობა ხელდასხმადზე ხელდასხმის საზოგადო ლოცვა: „და რაჟამს ჴელნი დაესხმოდიან [...] პირველად ეპისკოპოსმან ესე ლოცვაჲ წართქუას: მადლი ღმრთისა, უძლურთა განკურნებს და ნაკლულევანთა აღავსებს, ჴელნი დაესხმიან შვილსა ამას ჩუენსა...“
- I.4. სამღვდელო კანდიდატის მოწმეებისა და გამომრჩევლებისათვის პასუხისმგებლობის შეხსენება: „და თქუას [ეპისკოპოსმა] საშჯელი მათ ზედა, რომელთა გამოირჩიეს და ეწამნეს“;
- II.1. კურთხევაჲ ხუცობისაჲ ა: „შენ, რომელსა გმსახურებენ ზეცისანი, უფალო, ათასეულნი და ბევრეულნი...“
- II.2. კურთხევაჲ ხუცობისაჲ ბ: „ღმერთო და მამაო, უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტჱსო, გამოუთქმელო ნათელო...“
- II.3. კურთხევაჲ ხუცობისაჲ გ: „უფალო, ყოვლისა

მპყრობელო, წმიდაო დიდებულო, რომელმან შეჰქმენ ცაჲ და ქუეყანაჲ...“

- III.1. საზოგადო, შემაჯამებელი ლოცვა: „უფალო ღმერთო ძალთაო, რომელმან წმიდაჲ შენი ეკლესიაჲ...“

საღვთისმეტყველო შინაარსი

ხელდასხმის საზოგადო (I) ნაწილში ყურადსაღებია რამდენიმე დეტალი, რომლებიც, შესაძლოა, დახარისხდეს როგორც სულიერი, მორალური და კანონიკური ხასიათის მოთხოვნები.

დასაწყისშივე, კვერექსის წარმოთქმისას (I.1.) დიაკვანი შესთხოვს ღმერთს ხელდასხმადისათვის მტკიცე რწმენას, წმინდა, უბიწო და შეუგინებელ მსახურებას. ხელდასხმის გამოცხადებაში (I.2), რომელსაც წარმოთქვამს ქადაგი, ანუ დიაკვანი,[13] ასევე სახელდება ის სულიერი თვისებები, რომელთა მატარებელიც უნდა იყოს კანდიდატი: „მსახურად წმიდათა ეკლესიათა“ და „მლოცველად ყოველთა ქრისტიანეთა“.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის რუბრიკა[14] , რომელიც წინ უძღვის უშუალოდ სამღვდელო და საეპისკოპოსო ხელდასხმებს და ჩამოთვლის კანდიდატისათვის საჭირო ქრისტიანულ სათნოებებს, რომლებიც დიდწილად ეხმიანება პავლესეულ კრიტერიუმებს (1ტიმ. 3:1-13): ერთი ცოლის ქმრობას, გარშემო მყოფთაგან კეთილ მოწმობას, გაჭირვებულთა მსახურებაში გამოცდილებას[15] .

ხსენებულ მოწმობასთან დაკავშირებით ხელდასხმის საზოგადო ლოცვის შემდეგ (I.3) ეპისკოპოსი წარმოთქვამს ერთგვარ შეხსენებას, რომელიც ამ აქტთან დაკავშირებულ მაღალ პასუხისმგებლობაზე მიგვანიშნებს: „და თქუას საშჯელი მათ ზედა, რომელთა გამოირჩიეს და ეწამნეს“.

კანონიკური თვალსაზრისით ყურადსაღებია რუბრიკები, რომლებიც მიგვითითებს იმაზე, რომ ხელდასხმა აღესრულება რომელიმე კონკრეტული ეკლესიის საჭიროებიდან გამომდინარე და რომ კანდიდატი წინდაწინ არის გათვლილი შერჩეული კონკრეტულ ადგილზე სამსახურებლად. როგორც ქადაგის მიერ ხელდასხმის გამოცხადებაში (I.2.), ასევე ეპისკოპოსის მიერ წარმოთქმულ საზოგადო ლოცვაში (I.3), მოთხოვნილია დაზუსტება ხელდასხმადის შესახებ: „სახელ სდვას, რომლისა ეკლესიისაჲ იყოს“. ხსენებული მოთხოვნა პირდაპირ ეხმიანება ქალკედონის კრების (451 წ.) მე-6 კანონს, რომელიც კრძალავს კონკრეტულ ადგილზე დანიშვნის გარეშე სასულიერო პირის კურთხევას[16] .

ხელდასხმის პირველ ლოცვაში (II.1) მღვდლობა დაკავშირებულია მოციქულებრივ მსახურებასთან, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ჭეშმარიტ მოძღვრებასა და ეკლესიის შემოკრებას. ეს თემები ირეკლავენ უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის შტრიხებს. III საუკუნის ქრისტიანული ძეგლი, სირიული Didascalia Apostolorum, მაშინ, როდესაც ეპისკოპოსს განუკუთვნებს მამა ღმერთის ტიპოლოგიურ სახეს, დიაკვნებს ძე ღმერთისა, ხოლო დიაკონესებს სული წმინდისა, მღვდლებისათვის სწორედ მოციქულთა ტიპოლოგიას განაწესებს[17] . ასევე, უძველესი ლიტურგიული თემაა გაბნეული ეკლესიის შემოკრებაც, რომელიც ისეთი მნიშვნელობის ძეგლებში გვხდება, როგორიც არის „დიდაქე“ და სერაპიონ თმუელის ევქოლოგიონი[18] .

ხელდასხმის მეორე ლოცვა (II.2) საინტერესო პარონომაზიით წარმოადგენს ღვთის სულის იმ ნიჭს, რომელსაც ეპისკოპოსი მოიწვევს ხელდასხმადზე: „მოეც ამას [...] სული მოხუცებულობისა დაუბერებელი“. ცხადია აქ საქმე გვაქვს ზემოთ ნახსენებ ტერმინთან „πρεσβύτερος“. ამ თემასვე აგრძელებს ტექსტშიw სამღვდელო მსახურების წინასახედ მოსეს მიერ ისრაელისათვის უხუცესების დადგენის მოხმობაც (რიცხ. 11:16-25). გარდა სამწყემსო ქარიზმისა, ტექსტი ხაზს უსვამს სამღვდელო მსახურების დოქსოლოგიურ ფუნქციასაც: „ღირს ყავ ესე [...] ქებად, გალობად, მადლობად, დიდებად [...] სახელისა შენისა“. ლოცვის თანახმად, ეს ფუნქცია პერმანენტულია:

„დღე და ღამე“.

ხელდასხმის მეორე ლოცვა (II.2) საინტერესო პარონომაზიით წარმოადგენს ღვთის სულის იმ ნიჭს, რომელსაც ეპისკოპოსი მოიწვევს ხელდასხმადზე: „მოეც ამას [...] სული მოხუცებულობისა დაუბერებელი“. ცხადია აქ საქმე გვაქვს ზემოთ ნახსენებ ტერმინთან „πρεσβύτερος“. ამ თემასვე აგრძელებს ტექსტშიw სამღვდელო მსახურების წინასახედ მოსეს მიერ ისრაელისათვის უხუცესების დადგენის მოხმობაც (რიცხ. 11:16-25). გარდა სამწყემსო ქარიზმისა, ტექსტი ხაზს უსვამს სამღვდელო მსახურების დოქსოლოგიურ ფუნქციასაც: „ღირს ყავ ესე [...] ქებად, გალობად, მადლობად, დიდებად [...] სახელისა შენისა“. ლოცვის თანახმად, ეს ფუნქცია პერმანენტულია: „დღე და ღამე“.

ხელდასხმის მესამე ლოცვა (II.3), წინა ორისაგან განსხვავებით, პირველად იყენებს სამღვდელო მსახურების აღსაწერად მემსხვერპლეობის, საკურთხევლის მსახურების ენას: „რაჲთა ჰმსახურებდეს საკურთხეველსა შენსა წმიდითა და ღირსითა გულითა და გონებითა შეწირვად შენდა უსისხლოჲ და მეტყუელი ესე მსხუერპლი“. ამ შემთხვევაში „მეტყველი მსხვერპლი“ პირდაპირი გამოძახილია პავლე მოციქულისეული **λογικὴν λατρείαν**-ისა, რომელიც ძველ ქართულ ბიბლიაში ითარგმნა, როგორც „მეტყუელი მსახურებაჲ“ (რომ. 12:1) და რომელსაც იოანე ოქროპირის ანაფორაც იყენებს[19] . მართალია საკურთხევლის მსახურების თემა, როგორც ინსტიტუციური ელემენტი, ამ ლოცვაში წამყვან ადგილს იკავებს, მაგრამ არც ქარიზმატული ელემენტი აკლია მას. მაგ., ერთ-ერთი ნიჭი, რომელსაც ეპისკოპოსი ითხოვს მღვდლისათვის, არის კურნებათა ნიჭი: „დასდვას ჴელი სნეულსა ზედა და განიკურნენ“ (შდრ. ლკ. 4:40).

შემაჯამებელი საზოგადო ლოცვა (III.1) საბოლოოდ კიდევ ერთხელ ითხოვს ახლად ხელდასხმულისათვის კეთილად შუენიერებითა შემკობას, რომლითაც შემკულია ეკლესია და მის მიერ ღვთისმსახურნიც.

ლიტურგიული ისტორია

A 86-ის ტექსტის შესწავლის ისტორია, როგორც უკვე ითქვა, კორნელი კეკელიძის სახელს უკავშირდება და, მიუხედავად იმისა, რომ მისი შესწავლა საუკუნეზე მეტს ითვლის, ის დღემდე არ კარგავს ინტერესს მკვლევართა შორის.

კორნელი კეკელიძე მიიჩნევდა, რომ ხელნაწერი ასახავს იერუსალიმის ეკლესიის უძველეს პრაქტიკას [20] , მის აზრს მიჰყვებოდნენ ხელნაწერის ტექსტის ინგლისურად მთარგმნელები უორდროპი და კონიბეარიც [21] . მოგვიანებით გრიგოლ ფერაძე[22] და პიერ მარიე გიც[23] გაიზიარებენ ამ აზრს და ნაწილობრივ ყველა შემდეგი მკვლევარიც, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი მეცნიერებიც, როგორებიც არიან პოლ ბრედშოუ[24] და ჰაინცგერდ ბრაქმანი[25] . თუმცა, როგორც ვნახავთ, ბრედშოუმ და განსაკუთრებით, ბრაქმანმა არქეოლოგიური ფენების დივერსიფიკაციის გზით შეძლეს ხელდასხმის ლოცვებში ავთენტური იერუსალიმური ფენის დადგენა.

ხელდასხმათა პირველი, ზოგადი ნაწილი, თითქმის სრულად ასახავს აღმოსავლეთის ეკლესიებში არსებულ უძველესი ხელდასხმის პრაქტიკის ვარიაციებს, რომელიც პოლ ბრედშოუს კლასიფიკაციით[26] მოიცავს შემდეგ დეტალებს:

- ხელდასხმის გამოცხადება და შერჩეულ კანდიდატზე მოწმობა ერის მიერ („ქადაგმან მაღლად თქუას: წყალობითა მამისაჲთა, ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა [...] იკურთხევის ძმაიჲ ესე ჩუენი...“ I.2)
- ერის ლოცვა კანდიდატისთვის, რომელიც ქართულ ხელნაწერში დიაკვანს მიეწერება („ესე გ-ჯერ თქუას: უფალო, შეიწყალე და ღირს ყავ“), მაგრამ ბრედშოუს შენიშვნით სინამდვილეში უნდა იყოს შეკრებილი ერის პასუხი ქადაგის მიერ ხელდასხმის გამოცხადებაზე (I.2) [27].
- ჯვრის ნიშანი („ეტვრთოს ჯუარი მხოლოდშობილისა ძისა ღმრთისაჲ იესუ

ქრისტესი“, I.3)), რომელიც ხელდასხმის უძველესი ქრისტიანული სიმბოლოა. ქიროტონიისას ამ სიმბოლოს გამოყენებას უხვად მოწმობენ პატრისტიკული ნაწერები, იპოლიტე რომაელიდან მოყოლებული[28].

- ხელთა დასხმა („მოიყვანენ წინაშე წმიდისა საკურთხეველსა და დაასხნეს ებისკოპოსმან ჴელნი“ II.3), რომელიც ფართო მნიშვნელობის ბიბლიური ჟესტია და, მე-3 საუკუნიდან მოყოლებული, ნელ-ნელა იქცა სასულიერო პირის კურთხევასთან ასოცირებულ ექსკლუზიურ ნიშნად[29] . ამასთანავე, ის ფაქტი, რომ არ არის დაკონკრეტებული ხელდასხმის ლიტურგიული გარემოება და ჟამი (წირვაში თუ წირვის მიღმა), კიდევ ერთი არგუმენტია ჩვენი წესის არქაულობის სასარგებლოდ.
- ე) უშუალოდ კურთხევის ლოცვები (II.1, II.2, II.3 დაწვრილებით იხ. ქვემოთ).
- შემაჯამებელი რიტუალი, შესაძლოა, გულისხმობდეს ამბორის გაცვლას, სამღვდელმსახურო სიმბოლოს, ან ინსიგნიის გადაცემას, ან აღსრულებული ხელდასხმის გამოცხადებას. ჩვენს შემთხვევაში სწორედ ამ უკანასკნელთან გვაქვს საქმე („შემდგომად ხელთა დასხმისა [...] ლოცუაჲ ესე წართქუას და მისცეს პატივი ესე...“ III.1). საეკლესიო სამოსის, როგორც ინსიგნიის არარსებობა სასულიერო ხარისხში აღყვანებისას, შესაძლოა, აიხსნას როგორც ძველი ლიტურგიული ტექსტებისათვის ერთობ სახასიათო რუბრიკების სიმწირით, მეორე მხრივ კი, შესაძლოა, მიგვანიშნებდეს იმ უძველეს ტრადიციაზე, რომლის შესახებაც საუბარია გიორგი ათონელის ცხოვრებაში, როდესაც მთაწმინდელ მამას ანტიოქიის საპატრიარქოში მოუწია დაეცვა ქართველების მართლმადიდებლობა, რომელსაც ადგილობრივი ბერები ეჭვქვეშ აყენებდნენ, რადგან საქართველოდან ახლად ჩამოსულ მღვდელს, წმინდა სიმეონის სვეტზე უწირავს „ქალამნითა და საბეჭურითა თჳნიერ სამღდელოჲსა შესამოსლისა“, მაგრამ ამ ხუცესს ეს არ ჩაუდენია მართლმადიდებლობის დარღვევის სურვილით, არამედ იმის გამო, რომ ეს „იყო პირველად წესი ჩუენი“ [30] .

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, რუბრიკების წარმომავლობა კერძოდ საჭიროებს კვლევას და უკვე მზადდება გამოსაქვეყნებლად ამ კვლევის პირველადი შედეგები. ამიტომ ამჟამად მხოლოდ ლოცვების ტექსტის წარმომავლობით შემოვიფარგლებით.

ტექსტების წარმომავლობაზე პირველად ყურადღება კორნელი კეკელიძემ გაამახვილა და შენიშნა, რომ არსებობს კავშირი IV საუკუნის კომპილაციური ძეგლის, Constitutiones Apostolorum („მოციქულთა განწესებები“) VIII წიგნში მოცემულ სამღვდელო ხელდასხმის ტექსტსა[31] და ქართული არქიერატიკონის მე-2 ლოცვას (II.2.) შორის [32]. ეს მოსაზრება გაიზიარეს ტექსტის ინგლისურად მთარგმნელებმაც[33] და მოგვიანებით (სავარაუდოდ, კონიბეარ-უორდროპის გავლენით) გიმაც[34] . ინგლისური თარგმანის გამოქვეყნებიდან რამდენიმე წელში გრიგოლ ფერაძემ მოახერხა ხსენებული ლოცვის იდენტიფიცირება V საუკუნის, ასევე კომპილაციური ძეგლის Testamentum Domini-ს („ანდერძი უფლისა“) სამღვდელო ხელდასხმის ლოცვასთან[35] : Deus Pater Domini nostri Jesu Christi, qui es ineffabilis, qui es splendidus...[36]

მიუხედავად იმისა, რომ კორნელი კეკელიძემ ვერ შეძლო II.2. ტექსტის საბოლოო იდენტიფიკაცია (სავარაუდოდ იმის გამო, რომ ხელთ არ ჰქონდა Testamentum Domini-ს გამოცემა), მისი ინტუიცია, გარკვეულწილად მართალი იყო, რადგან ცნობილია, რომ, როგორც Constitutiones Apostolorum, ასევე Testamentum Domini-ც, (რომელიც ბერძნულად დაიწერა, მაგრამ მხოლოდ სირიული, არაბული და ეთიოპიური თარგმანების წყალობით შემოგვრჩა) დამოკიდებულნი არიან საერთო წყაროზე, განსაკუთრებით ხელდასხმის ნაწილში.

ეს წყარო ამ ორი ფსევდოაპოსტოლური ძეგლისა მესამე მსგავსი ძეგლია, რომელიც ცნობილია როგორც Traditio Apostolica (სამოციქულო ტრადიცია) და ხშირად მიეწერება იპოლიტე რომაელს, მაგრამ თავადაც კომპილაციური ნაშრომია, რომლის შედგენის თარიღიც მკვლევართა შორის II-IV საუკუნეებს შორის მერყეობს [37].

გარდა სამღვდელო ხელდასხმისა, გრიგოლ ფერაძემ შეძლო Testamentum Domini-ს ტექსტების იდენტიფიკაცია ასევე A 86-ში დაცული დიაკვნის კურთხევის მეორე და ეპისკოპოსის კურთხევის პირველი ლოცვებშიც[38] . აქვე უნდა ითქვას, რომ A 86-ის ხელდასხმის ლოცვები არ არის ერთადერთი ქართული ტექსტი, რომელიც ამ უძველესი ფსევდოაპოსტოლური ძეგლის შრეებს შეიცავს[39] .

გარდა Testamentum Domini-ს ტექსტების იდენტიფიცირებისა, გრიგოლ ფერაძემ შენიშნა არქიერატიკონის კურთხევებში კიდევ ორი სხვა ფენის არსებობაც. რამდენადაც მის მოკლე სტატიაში არც ფენების დაყოფის კრიტერიუმები და არც კომპარატიული ლიტურგიისათვის საჭირო ტექსტები მოხმობილი არ არის, შესაძლებელია ეს დაყოფა მკვლევრის ინტუიციად ჩავთვალოთ, რომელმაც თითქმის უშეცდომოდ დააჯგუფა ხსენებული არქიერატიკონის ხელდასხმის ლოცვები[40] .

გრიგოლ ფერაძის მსგავსად, სამ შრეზე მიუთითებდა გიც: „თანდათანობით ქართულმა რიტუალმა შეითავსა იერუსალიმური, „მოციქულთა განწესებებისა“ და ბიზანტიური წარმომავლობის ლოცვები“ [41]. როგორც უკვე ვნახეთ, გი ნაწილობრივ ცდებოდა „მოციქულთა განწესებებთან“ დაკავშირებით, იგივე შეიძლება ითქვას ბიზანტიური წარმომავლობის თეორიაზეც, სამაგიეროდ უდავოდ მართალი იყო იერუსალიმური წარმომავლობის შრესთან დაკავშირებითაც.

1938 წელს მეთიუ ბლექმა გამოაქვეყნა ბრიტანეთის მუზეუმში დაცული XII-XIII სს. ხელნაწერი (BL Or. 4951), რომელიც ერთგვარი ლინგვისტური მიქსია არამეულის, სირიულის, ბერძნულისა და არაბულისა. ევქოლოგიონი, მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით არ არის მრავალფეროვანი, იგი შეიცავს ხელდასხმის ლოცვების ორ წყვილს (ბიზანტიურს და იერუსალიმურს), ეკლესიის კურთხევის წესს და ეგვიპტური წარმოშობის ნილოსის წყლის კურთხევას[42]. ეს სირიულ-პალესტინური კურთხევანი, ქართული კურთხევანების შემდეგ, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა იერუსალიმური ევქოლოგიის შესწავლისათვის [43]. გამოცემის შესავალში ბლექმა მიანიშნა სირიულ-პალესტინური პლასტის მსგავსებაზე ქართულ წყაროებთან[44] , მოგვიანებით კი გიმ მოჰფინა შუქი ქართული და სირიულ-პალესტინური ხელდასხმის ლოცვების იდენტურობას[45] . ამ შემთხვევაში, საუბარია სამღვდელო ხელდასხმის სამეულის პირველ (II.1) ლოცვაზე: **Σοὶ λειτουργεῖ τὰ οὐράνια, δέσποτα, ἐν χιλιάσι καὶ μυριάσι εὐαρεστούντων λειτουργῶν...**[46]. რაც შეეხება მესამე ლოცვას (II.3), კიდევ უფრო დიდი დრო დასჭირდა მისი წარმომავლობის გარკვევას. საბოლოოდ ბრედშოუს და ბრაქმანის გამოკვლევების წყალობით დადგინდა[47] , რომ ეს ლოცვა არქეტიპია აღმოსავლურ სირიულ წესში დაცული სამღვდელო ხელდასხმის ლოცვისა, რომელიც შედარებით განვითარებულ-განვრცობილი სახით არის შემორჩენილი: Domine Deus fortis omnipotens factor coeli et terrae et omnium...[48]

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ძველ საქართველოში სამღვდელო მსახურებასთან დაკავშირებით არსებობდა საკმაოდ მაღალი ეთიკური კრიტერიუმები, რაც ჩანს, ერთი მხრივ, ნარატიული, მეორე მხრივ კი ლიტურგიული წყაროებიდან. სასულიერო პირი, გარდა იმისა, რომ უნდა ყოფილიყო უნაკლო მორალური ცხოვრების მქონე, ასევე გამოცდილი უნდა ყოფილიყო ეკლესიის სოციალურ საქმიანობაში (დიაკონიაში) და კეთილი მოწმობით აღჭურვილი

უშუალოდ ხელდასხმის ლოცვების ისტორია კი გვიჩვენებს, რომ იგი სავსებით არაერთგვაროვანია და ეფუძნება სხვადასხვა წარმოშობის ადრექრისტიანულ ლიტურგიულ წყაროებს, რომლებმაც გვიანდელი კომპილატორის ხელით მოიყარეს თავი ერთად. ამ ტექსტების მიგრაციის ენიგმატური ისტორია დღემდე თავსატეხია ლიტურგიის მკვლევრებისთვის და, როგორც ვნახეთ, გამოქვეყნებიდან ასი წლის შემდეგაც კი, ისინი კვლავ რჩება მსოფლიოს წამყვანი ლიტურგიოლოგების ყურადღების ქვეშ.

1. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბილისი 1973, 565. შდრ. ე. კოჭლამაზაშვილი და სხვები, „ლიტურგიკული ლექსიკონი (მასალები)“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი 2003, თბილისი 2003, 338
2. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 303. შდრ. ე. კოჭლამაზაშვილი და სხვები, „ლიტურგიკული ლექსიკონი“, 311
3. შდრ. დ. მელიქიშვილი და სხვები, ძველქართულ-ძველბერძნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის დოკუმენტირებული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი, 2010, 242
4. იხ. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, 303. შდრ. ა. შანიძე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ.), ძველი ქართული ენის ძეგლები 2, თბილისი 1945, 135
5. ი. აბულაძე და სხვები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები I, თბილისი 1963, 250-251
6. A. Kazdan, «A Strange Liturgical Habit in a Strange Hagiographical work», in Eulogēma: Studies in Honor of Robert Taft, S. J., eds. E. Carr, S. Parenti, A.A. Thiermeyer, E. Velkovska, Studia Anselmiana 110 (= Analecta Liturgica 17), Roma 1993, 245
7. ე. მეტრეველი და სხვები, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექციისა, ტ. I/1, თბილისი 1973, 297-300
8. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис 1908
9. К. Кекелидзе, Древнегрузинский архиератикон, Тифлис 1912
10. F. C. Conybeare, J. O. Wardrop, „The Georgian version of the Liturgy of St. James“, in Revue de l›Orient Chrétien 18 (1913), 396-410; 19 (1914), 155-173
11. ტექსტისათვის იხ. К. Кекелидзе, Древнегрузинский архиератикон, 86-90
12. ტექსტისათვის იხ. К. Кекелидзе, იქვე, Древнегрузинский архиератикон, 110-116
13. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, 22 (n.3)
14. რადგანაც A 86-ის ხელთდასხმათა რუბრიკები ცალკე შესწავლას იმსახურებს, წინამდებარე სტატიის ავტორი გამოსაქვეყნებლად ამზადებს ხსენებულ რუბრიკათა შესწავლის პირველად დასკვნებს ცალკე სტატიის სახით.
15. К. Кекелидзе, Древнегрузинский архиератикон, 109
16. ე. გაბიძაშვილი და სხვები, დიდი სჯულისკანონი, თბილისი 1975, 270. ქალკედონის კანონის ხსენებული პრინციპი არაპირდაპირ იკითხება უფრო ძველ კანონიკურ განწესებებში, როგორიცაა: „მოციქულთა კანონები“: კან. 15 (იქვე, 217), ნიკეის პირველი მსოფლიო კრება (325 წ.): კან. 15-16 (იქვე, 234-235), ნეოკესარიის კრება (314 წ.): კან. 13 (იქვე, 242).
17. „Hic locum Dei sequens sicuti Deus honoretur a vobis, quoniam episcopus in typum Dei praesedet vobis. Diaconus autem in typum Christi abstat; ergo deligatur a vobis. Diaconissa vero in typum Sancti Spiritus honoretur a vobis. Presbyteri etiam in typum apostolo- rum spectentur a vobis“, H. Connolly, Didascalia Apostolorum: The Syriac Version Translated and Accompanied by the Verona Latin Fragments, Oxford 1929, 87-89.
18. დიდაქე: „როგორც ეს პური, განტეხილი, მიმობნეული იყო მთებზე და შემოკრებილი იქცა ერთად, ასე შემოიკრიბე შენი ეკლესია, ქვეყნიერების კიდეებიდან, შენს სამეფოში“. სერაპიონის ევქოლოგიონი: „და როგორც ეს პური იყო გაბნეული მთებზე და მოგროვდა და იქცა ერთიანად, ასევე შენი წმინდა ეკლესიაც შემოიკრიბე ყოველი ერ(ებ)იდან, ყველა მხრიდანა და ყველა ქალაქიდან, ყველა სოფლიდანა და ყველა სახლიდან და აქციე ერთ, ცოცხალ, კათოლიკე ეკლესიად“. იხ. ლ.ბ. ებრალიძე, „სერაპიონ თმუელის ევქოლოგიონი: შინაარსი და ანაფორის თავისებურებანი“, მნემოსინე 5 (2019), 125-127
19. „მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვერსა ამას მსხუ‹რპლსა [...] მერმეცა შევსწირავთ შენდა სიტყვერსა ამას მსახურებასა...“ M. Tarchnišvili, ed. Liturgiae Ibericae Antiquiores, CSCO 122-123 / Iber 1-2 / Vol. I, Louvain 1959, 78
20. К. Кекелидзе, Древнегрузинский архиератикон, VIII-IX
21. F. C. Conybeare, J. O. Wardrop, „The Georgian version of the Liturgy of St. James“, in Revue de l›Orient Chrétien 18 (1913), 396-397
22. იხ. G. Peradse, „Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens“, Le Museon 42 (1929), 90–99; მისივე „Les monuments liturgiques prébyzantins en langue géorgienne“, Le Muséon 45 (1932), 255–272; ხსენებული სტატიების ქართული თარგმანებისთვის იხ. წმ. გრიგოლ ფერაძე, თხზულებათა კრებული, ტ. 2., რედ. დ. ყოლბაია. ვარშავა 2014, 7-15, 17-31
23. იხ. P.M. Gy, „Les anciennes prières d›ordination“, La Maison-Dieu 138 (1979), 93-122
24. P.F. Bradshaw, Ordination Rites of the Ancient Churches of East and West, New York 1990, 10-11
25. H. Brakmann, „Die altkirchlichen Ordinationsgebete Jerusalems. Mit liturgiegeschichtlichen Beobachtungen zur christlichen Euchologie in Palaestina, Syria, Iberia und im Sasanidenreich“, Jahrbuch für Antike und Christentum vol. 47 (2004), 108-127
26. P.F. Bradshaw, Ordination Rites of the Ancient Churches, 20-36
27. P.F. Bradshaw, Ordination Rites of the Ancient Churches, 31
28. შდრ. P.F. Bradshaw, Ordination Rites of the Ancient Churches, 32
29. შდრ. P.F. Bradshaw, Rites of Ordination: Their History and Theology, 9-14
30. ი. აბულაძე და სხვები, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები II, თბილისი 1963, 150
31. F. X. Funk, Didascalia et Constitutiones Apostolorum, Vol. I, Paderbornae 1906, 522
32. К. Кекелидзе, Литургические грузинские памятники, 27 (n.1). К. Кекелидзе, Древнегрузинский архиератикон, VIII-IX
33. F. C. Conybeare, J. O. Wardrop, „The Georgian version of the Liturgy of St. James“, in Revue de l›Orient Chrétien 18 (1913), 396-397
34. P.M. Gy, „Les anciennes prières d›ordination“, 106
35. G. Peradse, „Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens“, 90–99
36. I.E. Rahmani, Testamentum Domini nostri Jesu Christi, Moguntiae 1899, 69-71
37. ხსენებული ძეგლების ურთიერთმიმართებისა და ხელდასხმათა მიმოხილვისათვის იხ. P.F. Bradshaw, Rites of Ordination: Their History and Theology, Collegeville 2013, 58-79
38. G. Peradse, „Zur vorbyzantinischen Liturgie Georgiens“, 90–99
39. T. Chronz, H. Brakmann, „Fragmente des «Testamentum Domini» in georgischer Übersetzung“, Zeitschrift für antikes Christentum 13/3 (2009), 395-402
40. შდრ. ცხრილი ბრაქმანთან: H. Brakmann, „Die altkirchlichen Ordinationsgebete Jerusalems“, 118-120
41. P.M. Gy, „Les anciennes prières d›ordination“, 106
42. M. Black, Rituale melchitarum. Christian Palestinian euchologion, Stuttgart 1938
43. იხ. H. Brakmann, T. Chronz, „Ist das Jerusalemer Euchologion noch zu retten?“, Archiv für Liturgiewissenschaft 54 (2012), 1-28. ასევე: S.S. Froyshov, „The Georgian Witness to the Jerusalem Liturgy: New Sources and Studies,“ B. Groen, S. Hawkes-Teeples, S. Alexopoulos eds. Inquiries into Eastern Christian Worship: Selected Papers of the Second International Congress of the Society of Oriental Liturgy Rome, 17-21 September 2008, Leuven 2012, 241-244
44. M. Black, Rituale melchitarum, 4-8
45. P.M. Gy, „Les anciennes prières d›ordination“, 102-101
46. შდრ. M. Black, Rituale melchitarum, 68-69, 101-102
47. P.F. Bradshaw, Ordination Rites of the Ancient Churches, 64-68. H. Brakmann, „Die altkirchlichen Ordinationsgebete Jerusalems“, 118-121
48. H. Denzinger, Ritus Orientalium Coptorum, Syrorum et Armenorum in administrandis sacramentis, T II, Würzburg 1863, 236

„თქუენ იცით ძალი საღმრთოოთა წიგნთაჲ. გულისხმა-გიყოფია წმიდათა მოციქულთა და ნეტართა მღდელთ-მოძღუართა განსაზღვრებული კანონი წმიდისა კათოლიკე ეკლესიისაჲ, თუ ვითარნი კრძალვანი უჴმან მღდელობასა და ყოვლად უბრალოებაჲ არა ხოლო საქმით, არამედ გონებითაცა და სიტყჳთა. ხოლო დაღაცათუ სულგრძელებასა ღმრთისასა თავს-უდებიეს დათმენაჲ უწესოთა კაცთა მღდელობაჲ, უმჯობჱს არს მათა, უკუეთუმცა ყოვლადვე რიცხუსა კაცთასა არა შერთულ იყვნეს, ვიდრე საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა. ხოლო სარწმუნოთა მღდელთათჳს ესე უწყოდეთ თქუენ, ვითარმედ უფროჲს არს ყოველთა დიდებათა სულიერთა და ჴორციელთა, რამეთუ ქრისტჱს ნაცვალობაჲ არს ჭეშმარიტისა ღმრთისაჲ, რომელმანცა ჰრქუა მოწაფეთა თჳსთა, ვითარმედ ‘ნეტარ ხართ თქუენ, რამეთუ მრავალთა წინაჲსწარმეტყუელთა და მართალთა სწადოდა ხილვად და სმენად, რომელსა ხედავთ თქუენ და გესმის და ვერ მიემთხჳნეს’ (მთ. 13:17), რომელსა ღირს იქმნენით თქუენ. და თჳსისა მის მღდელობისა ნაცვალად უფალმან მოციქულნი დაადგინნა მღდელად. და შემდგომითი შედგომად ყოველნი სარწმუნონი მღდელნი და მათ მიერ ცხორებისა სასოებაჲ ქრისტეანეთაჲ მღდელობასა შეჰვედრა და სასწაულთა ყოველთა და წინაჲსწარმეტყუელთა ჩუენებასა და ღმრთის-მხილველთა კაცთა გამოცხადებასა მღდელობითა დაჰბეჭდა. და აწ არაჲ ვინაჲ არს კაცთა ცხორებაჲ თჳნიერ მღდელობისა, რომლისათჳს პავლე იტყჳს, ვითარმედ: ‘ქრისტჱს მიერ სახარებისაგან მე გშვენ თქუენ’ (1კორ. 4:15). და უფალი ბრძანებს: ‘უკუეთუ ვინმე არა იშვეს მეორედ და არა მიიღოს წმიდაჲ საიდუმლოჲ, ვერ შევიდეს სასუფეველსა ცათასა’ (ინ. 3:3-5). და აწ პატივსა ვხედავ და პატიჟისაგან მეშინის“.

გიორგი მერჩულე

ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა

უტყუარი სულიერება

თამარ გრძელიძე

ძალიან საინტერესო და აქტუალური შეკითხვით მიმართა ჟურნალ „ზღვარის“ რედაქტორმა ავტორებს, გააზიარონ საკუთარი ხედვა დღეს ეკლესიაში არსებული მსახურების თავისებურებებისა და გამოწვევების თაობაზე. რესპონდენტთა შორის მეც აღმოვჩნდი. სიამოვნებით, თუმცა არცთუ უკრძალველად, ვიღებ ამ გამოწვევას.

თუ დღევანდელი დღის გამოწვევებზე ვისაუბრებთ, უნდა დავიწყოთ იმ ობიექტური რეალობით, რომელშიც საეკლესიო ცხოვრება დღეს აღმოჩნდა. რა იზოლირებულიც არ უნდა იყოს დღეს კონკრეტული სახელმწიფო თუ კულტურა ობიექტური რეალობისგან, უდავოდ განიცდის იმ რეალობის გავლენას. ამ თითქმის უნივერსალური მოცემულობის ქვეშ მოიაზრება ტექნოლოგიური პროგრესი, რომელმაც გლობალური კავშირები ბანალურ მოცემულობად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიური პროგრესის მოტანილი სოციალური ქსელების უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე საყოველთაო განხილვის საკითხია, იქნება ეს თავად სოციალური ქსელებში დატრიალებული ქარიშხალი თუ ევროკავშირის მიერ გამართული კონფერენცია, ფაქტია, ამ გლობალურმა კავშირებმა ადამიანს საშუალება მისცა, გაიგოს და იცოდეს იმაზე მეტი, რასაც მისი უშუალო გარემო სთავაზობს. ამიტომ ცოდნის, გაგების, ახლის შემეცნების დღევანდელი შესაძლებლობა გასულ ათწლეულებთან მიმართებითაც შეუდარებელია. ეს კი ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ცნობისმოყვარეობა ძიებისკენ ეწევა, გაცილებით მეტ საფიქრალს აძლევს, ვიდრე ორიოდე ათეული წლის წინ. ჩვენს თვალსაწიერში, წერილობით თუ ვიზუალურად, შემოდის ბევრი მაგალითი იმისა, თუ როგორ უმკლავდება თანამედროვე ადამიანი ამა თუ იმ გამოწვევას. ეს მაგალითები, მოსაწონი თუ არმოსაწონი, სამაგალითო თუ არასამაგალითო, ძალაუნებურად სტიმული აღმოჩნდება მისთვის, ვინც კვლევა-ძიებისკენაა მიდრეკილი და თავს არიდებს, მიმართოს გამზადებულ პასუხებს რთულ შეკითხვებზე.

სწორედ ამ გაფართოებული თვალსაწიერის შედეგია, რომ საეკლესიო ცხოვრების მონაწილეების მიმართ ჩნდება გარკვეული შეკითხვები და სურვილები, მაგალითად, ისეთ საკვანძო საკითხზე როგორიცაა დამოკიდებულება ეკლესიის ხელდასხმულ მსახურებსა და მრევლის წევრებს შორის.

უნდა დავიწყოთ იმით, როგორ გვესმის მრევლის შინაარსი. თითქოს თავისთავად ოპერირებადი მოვლენაა - ეკლესიის წევრები იკრიბებიან სამღვდელო პირის გარშემო, ხშირად ამ უკანასკნელს აღიარებენ მოძღვრად, მათი სულიერი ცხოვრების გამძღოლად. ამ წინადადების შემადგენელი ყველა ცნება კომპლექსურია: ერთი და იმავე მოძღვრის გარშემო იკრიბებიან სხვადასხვა ტიპის ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ სოციალური, პოლიტიკური, ინტელექტუალური ბაგაჟით განსხვავდებიან, არამედ იმითაც, თუ როგორ სწამთ, როგორ აცნობიერებენ საკუთარი რწმენის რაობას. ამ შემთხვევაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მოძღვარს, რომ ყველასთან ერთნაირად მიიტანოს ქრისტეს სასიხარულო ამბავი ისე, რომ თითოეულმა საკუთარი თავის შესაბამისად შეიმეცნოს, ყველას გაუზიაროს სანუგეშო სიტყვა ისე, რომ თითოეულს იმედი ჩაესახოს, ღვთის სიყვარული ისე აჩვენოს და გამოთქვას, რომ ყველა საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისად შთააგონოს. როგორც ჩანს, საქმე იქით მიდის, რომ ეკლესიაში მხოლოდ მისვლით და მსახურებით მრევლი ვერ შედგება.

აქ შეკრებილ ადამიანებს განსხვავებული ცხოვრებისეული ტვირთი ვერ დააბრკოლებს გამოცადონ ერთობა, თუ სავსე გულთან ერთად – რადგან „გულის სისავსისაგან მეტყველებს პირი“[1] – მკაფიოდ ექნებათ გააზრებული, რას ეძიებენ, რას უქადით განკაცებული და ჯვარცმული უფლის აღდგომა. სწორედ ესაა დღევანდელი დღის ყველაზე დიდი გამოწვევა მრევლის და მორწმუნის, მოძღვრისა და ეკლესიის მსახურების წინაშე. თუ იმ რეალობასთან, სადაც მორწმუნეები ცხოვრობენ, შრომობენ, ყოველდღიურ ტვირთს ეზიდებიან, ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას იკმაყოფილებენ, მოძღვარი ვერ ახერხებს ცოცხალი კავშირის დამყარებას, იქმნება არა თუ ნაპრალი, უფსკრული.

რა ეგულებათ ეკლესიაში მრევლის წევრებს? კვლავაც სიყვარული, ნუგეშისა და იმედის ჩასახვის თანასწორად განაწილება სასულიერო პირისგან, რომელიც მათი სწორია და თან მათზე მეტია იმ პასუხისმგებლობის გამო, რომელიც ღვთის კურთხევითა და საკუთარი სურვილით აურჩევია. ეს სწორობა და თან არასწორობა იოლი ამბავი არ არის: მრევლმა იცის, რომ მოძღვარი მეტია, ის კი თავისი საქციელით აჩვენებს, რომ არაფრითაა მეტი. ამიტომ, მოძღვარს არ უჭირს აღიაროს არცოდნა ან შეცდომა. მრევლი მას თანასწორად მიიჩნევს, მაგრამ პატივს სცემს მის ძალისხმევას, კეთილსინდისიერებას, განათლებას. მრევლის წევრებსა და მოძღვარს შორის სიყვარული და მშვიდობა სუფევს.

სასულიერო პირებთან დაკავშირებით ყველაზე შთამბეჭდავია მათი უტყუარი სულიერება, რომელიც სხვადასხვანაირად ვლინდება, ზოგჯერ მხოლოდ გაღიმებით, სხვა დროს სიტყვით და ლოცვით. ალბათ, ძნელია, რომ ყველა ზემოხსენებული მახასიათებელი ერთი და იმავე ხარისხით არსებობდეს ერთ ადამიანში, მაგრამ „უტყუარი სულიერება“ სწორედაც რომ კლიშეს სცილდება, მოულოდნელად გამოანათებს და მოულოდნელ სიხარულს მოასწავებს.

მრევლის წევრებს ეკლესიაში მიუხარიათ, იქ სულიერი ცხოვრების მაგალითი ეგულებათ – მოძღვარი, რომელიც ცდილობს, ღვთის სიტყვის მიხედვით ის გააკეთოს, რასაც ქადაგებს და თუ ყოველთვის არ გამოსდის, საკუთარ წარუმატებლობას არ მალავს, ეს გულწრფელობა კი აძლიერებს და სამომავლოდ აგულიანებს. მოძღვარი სამყაროს მიმართ ისევეა ღია, როგორც მრევლის წევრები, ისინი ხომ ერთნი არიან. ამიტომ სიახლის აღმოჩენა და გაზიარება ორივესთვის გარდაუვალია, ხოლო მისი ერთად გააზრება სასიხარულოა. მათ შორის, მიუხედავად ყოველდღიური ტვირთის ზიდვით დამძიმებულობისა, სიხარულის, სინათლის, ცოდნის, გამოცდილების გაცვლას აქვს ადგილი. ახლა თავი უნდა ვიმართლო, რომ ჩემი ხედვა მთლად ფანტაზია არ არის. მრავალი წლის გამოცდილებამ სხვადასხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში მომცა იმის საფუძველი, რომ მამათა სწავლებებში ამოკითხული სინამდვილით გამეჯერებინა და სწორედ ასეთი წარმოდგენა შემქმნოდა მრევლის ფუნქციონირების, წევრების

[1] ლუკა 6:45; მათე 12:34.

ჩართულობის, მათი მოძღვართან და, პირიქით, მოძღვრის სულიერ შვილებთან დამოკიდებულების თაობაზე.

რა უნდა იყოს იმაზე მეტად სანუგეშო ეკლესიაში მისული მორწმუნე ქრისტიანისთვის, თუ არა იმის მოსმენა, რომ იქ მისულთ და დამხვედრთ აერთიანებს რწმენა ღვთის არსებობის თაობაზე, მაგრამ, როგორც ამას ეკლესიის მამები გვასწავლიან,[2] ეს არ წარმოადგენს ღმერთის ბუნების ცოდნას. თუმცა ღვთის არსებობის რწმენა ახალი სულიერი სიმაღლეების აღმოჩენისთვის გვაგულიანებს. მოსალოდნელია, რომ მოძღვარი ცდილობდეს, მორწმუნეს ახალი სულიერი სიმაღლეების აღმოჩენისკენ გაუძღვეს. ეს სულიერი სიმაღლეები ყოველდღიურ ცხოვრებაში ხორციელდება სიყვარულის, სიკეთის, იმედის გავრცელების გზით. გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის მრევლს უქადაგებდა იმის მიხვედრის აუცილებლობას, თუ რას წარმოადგენს ღვთიური განსჯა, პავლე მოციქულის მაგალითზე მითითებით.[3] ეს კი ერთხელ დაფიქრებით, ერთჯერადი ძალისხმევით არ მოიპოვება. მორწმუნე მუდმივად ძიების პროცესშია, რომელშიც მოძღვარი მას მეგზურობას უწევს, როგორც თანამონაწილე და არა როგორც ყოვლისმცოდნე ინსტრუქტორი. მრევლის ცხოვრებაში მნიშვნელოვანია ძიების ეს გზა, პროცესი, უსასრულო, მაგრამ დამაჯილდოებელი. "...რადგან ინტელექტუალურ ცნობისმოყვარეობას საზღვარი არ აქვს, ყოველთვის აღმოჩნდება გარკვეული ჭეშმარიტება, უეცრად რომ გონებას გაგვინათებს."[4]

---

2 გრიგოლ ღვთისმეტყველი, მეორე თეოლოგიური ქადაგება, 5

3 „პავლე ცდილობს, მივიდეს იქამდე - ღვთის ბუნებას არ ვგულისხმობ, რაც თავადაც კარგად იცოდა, რომ შეუძლებელი იქნებოდა - არამედ ღვთიურ განსჯამდე." იქვე, 21

4 იქვე, 21

უნდა დავიწყოთ იმით, როგორ გვესმის მრევლის შინაარსი. თითქოს თავისთავად ოპერირებადი მოვლენაა - ეკლესიის წევრები იკრიბებიან სამღვდელო პირის გარშემო, ხშირად ამ უკანასკნელს აღიარებენ მოძღვრად, მათი სულიერი ცხოვრების გამძღოლად. ამ წინადადების შემადგენელი ყველა ცნება კომპლექსურია: ერთი და იმავე მოძღვრის გარშემო იკრიბებიან სხვადასხვა ტიპის ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ სოციალური, პოლიტიკური, ინტელექტუალური ბაგაჟით განსხვავდებიან, არამედ იმითაც, თუ როგორ სწამთ, როგორ აცნობიერებენ საკუთარი რწმენის რაობას. ამ შემთხვევაში დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება მოძღვარს, რომ ყველასთან ერთნაირად მიიტანოს ქრისტეს სასიხარულო ამბავი ისე, რომ თითოეულმა საკუთარი თავის შესაბამისად შეიმეცნოს, ყველას გაუზიაროს სანუგეშო სიტყვა ისე, რომ თითოეულს იმედი ჩაესახოს, ღვთის სიყვარული ისე აჩვენოს და გამოთქვას, რომ ყველა საკუთარი შესაძლებლობის შესაბამისად შთააგონოს.

თამარ გრძელიძე

ქრისტიანული სულისკვეთების გაცოცხლება

ნინო ყანჩაველი

მდესღაც ტაძრებთან შეკრებილი მრევლის დანახვაზე ვფიქრობდი, რომ ჩემთვის სრულიად უცხო ქვეყნიდან იყვნენ და მათთან სასაუბრო ენა მე არ ვიცოდი. იმ პერიოდში ვკითხულობდი და ვფიქრობდი ღმერთის არსებობაზე და მიჩნდებოდა კითხვები, რომლებიც უპასუხოდ რჩებოდა. ერთ დღესაც მივხვდი, რომ ადამიანი თავისთავად უმწეო არსებაა და ღმერთის დახმარების გარეშე უძლურია, საკუთარ თავში რაიმე ძირფესვიანად შეცვალოს. გადავწყვიტე, მეც შევერთებოდი იმ უცხოქვეყნელებს.

პირველმა ეიფორიამ რომ გაიარა, შევამჩნიე, რომ მოფიქრალი არსებიდან თანდათანობით გადავიქეცი საეკლესიო რიტუალების მექანიკურ შემსრულებლად და შევწყვიტე რელიგიურ თემაზე კითხვების დასმა საკუთარი თავისა თუ სხვებისათვის. ტაძარ-მოძღვარ-მრევლის რამდენჯერმე შეცვლის შემდეგაც არაფერი შეცვლილა. რამ განაპირობა ეს?

ეკლესიაში მისულს უმეტესად ხვდება მკაცრად ვერტიკალური იერარქია. მღვდლის, დეკანოზის, ტაძრის წინამძღვრისადმი თითქმის უსიტყვო მორჩილება, მათი სიტყვის შეუცდომლად აღიარება და უკრიტიკოდ მიღება. მრევლში ჭარბობენ ქალები, მაგრამ მამაკაცი უპირატესია. ზიარების დროს ისინი პირველები მიეახლებიან ბარძიმს. სასულიერო პირისადმი დასმული კითხვები შეეხება, მაგალითად, შვიდგზის ზეთის ცხების შემდეგ დაბანას, მეუღლესთან სარეცლის გაყოფის აკრძალვის დღეებს, არჩევნებში მონაწილეობის მიღების ნებართვას და ა.შ.

ლოცვები მონოტონურია, სიტყვები ხშირად გაურკვეველი და ამიტომ შეუძლებელია მათზე კონცენტრირება. ეს კი მრევლის ყურადღების გაფანტვას ან რაღაც სხვა სიმბოლოებზე გადატანას იწვევს. ფაქტობრივად, გვაქვს ლიტურგიული ცერემონიალი და არა საერთო ლოცვა. იკარგება საღმრთო ლიტურგიის არსი, რაც გულისხმობს კავშირს, ერთობას, ერთი მხრივ, ადამიანისა ღმერთთან, ხოლო მეორე მხრივ, მორწმუნე მრევლში ადამიანებს შორის, რომლებიც საყოველთაო აღდგომის სიხარულით ერთიანდებიან. ლიტურგიის დასასრულს, ქადაგება ძირითადად უკავშირდება კონკრეტულ წმინდანს, რომლის ხსენებაც აღესრულება, ან წაკითხული სახარების სიტყვები განივრცობა ზოგად, ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე. ხშირად ყურადღება გამახვილებულია ადამიანთა ცოდვებსა და, შესაბამისად, ღვთის სასჯელზე. ამ დროს კი წმინდა წერილში საუკუნო სიცოცხლის სიტყვები გვაქვს მოცემული, რა მხურვალედ შეიძლებოდა მათი განმარტება! დღევანდელ, დაჩქარებული ტემპით მოძრავ ეპოქაში, არსებობისთვის ბრძოლით გამოფიტულმა ადამიანმა სად უნდა შეისვენოს ყოველდღიური რუტინისგან, სად უნდა მოითქვას სული და მოიკრიბოს სასიცოცხლოდ აუცილებელი ძალები, დაფიქრდეს თავისი ცხოვრების მიზეზსა თუ მიზანზე, სად უნდა პოვოს ნუგეში და მომავლის იმედი, თუ არა ეკლესიაში, ქრისტეს სხეულში, რომლის ნაწილსაც თავად წარმოადგენს? („უფალო, ვისთან უნდა წავიდეთ? საუკუნო სიცოცხლის სიტყვები შენა გაქვს - იოანე: 6.68).

სიცოცხლის საზრისის, სასიცოცხლო ძალების დამოუკიდებლად ძიება ადამიანს დღევანდელობაში გაუჭირდება ისევ და ისევ ცხოვრების თავბრუდამხვევი ტემპისა და ყოველი მხრიდან სეტყვასავით წამოსული ზღვა ინფორმაციის პირობებში. საიმედო მეგზური, მრჩეველი ამ დროს იქნება სათანადოდ განსწავლული მღვდელი, რომელიც მომზადებულია ფსალმუნების, მოციქულთა წერილებისა თუ სახარების, როგორც ღვთის სიტყვების, განმარტებისთვის და თავადაც წინასწარ განიცდის მომავალი აღდგომის სიხარულს.

ამ დროს დიდაქტიკური ტონით მეტყველი სასულიერო პირი შეიძლება დაბრკოლებას წარმოადგენდეს ეკლესიაში მისული ადამიანისთვის და წინააღმდეგობრივი ან სულაც არასწორი წარმოდგენა შეუქმნას მას ქრისტიანობის არსზე. ღმერთის მაძიებელს სიყვარულით უნდა დახვედრა და არა საკუთარი უპირატესობისა თუ რაიმეგვარი აღმატებულობის ჩვენებით. ადამიანური ბუნება ხომ ყველას საერთო გვაქვს, ყველანი ხომ ერთნი ვართ, სხვადასხვა დროსა და გარემო პირობებში დაბადებულნი და ერთმანეთისგან განსხვავებულ ვითარებებში აღზრდილნი.

მრევლის წევრთა მხრიდანაც ყურადღების გამოხატვა და მათ საზოგადოებაში სიყვარულით მიღება, როგორც ქრისტეს სხეულის ნაწილისა, დიდი სტიმული იქნება ახალმისულისთვის. მრევლიც გაერთიანებული უნდა იყოს ერთი მიზნით, ერთი სურვილით, ესაა საყოველთაო აღდგომისა და საუკუნო სიცოცხლის იმედი და სიხარული, და ამ განცდით ხვდებოდეს ერთმანეთს ყოველი წირვისას (ეს შეგრძნება დღეს თითქოს დაკარგულია). ყოველი ახალი წევრის შემომატება მრევლისთვის სასიხარულო უნდა იყოს. ერთიანობის განცდას განამტკიცებს ზიარება, რომლის დროსაც იკვრება კავშირი, ერთი მხრივ, ღმერთსა და თითოეულ პიროვნებას, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანებს შორის. მრევლის წევრების მიერ ერთმანეთის უკეთ გაცნობა, ქრისტიანული ერთობის ეკლესიის გარეთ გატანა, ურთიერთდახმარება, განსაკუთრებით კი გაზრდილი სოციალური უთანასწორობის ფონზე, არის ქრისტესთან თანაზიარების დამოწმება ლიტურგიის მიღმა სოციალურ ცხოვრებაში.

აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე ცხოვრების სტილმა შეიძლება, ცვლილებები შეიტანოს სამრევლოს ქცევაშიც, აქ იგულისხმება, მაგალითად, სტუმრობა ერთმანეთთან ოჯახებში, დასწრება მრევლის ცალკეულ წევრთა საზოგადო აქტივობაზე, კონფერენციაზე გამოსვლა იქნება ეს თუ გამოფენის დათვალიერება, ჭირსა თუ ლხინში ერთიანობა. მღვდლის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ცოცხალი რწმენის შესანარჩუნებლად. მღვდელი უნდა ამზადებდეს თავის სამწყსოს ღვთისმსახურებაში აქტიური მონაწილეობისთვის და ბოლოს ზიარებისთვის, შეეძლოს ყურადღების გამახვილება საჭირო ადგილას ლოცვის სიტყვებზე. ამიტომ მას უნდა ჰქონდეს მდიდარი სულიერი გამოცდილება, ხოლო ქადაგებისას კი უნდა ცდილობდეს, რომ მისმა სიტყვამ მსმენელთა გულებში შეაღწიოს და კვალი დატოვოს. ამისათვის მოძღვარი უნდა იცნობდეს მრევლის თითოეულ წევრს და, პირიქით, მრევლიც უნდა ხედავდეს მოძღვრის სულის მოძრაობას, რომ უკეთ მიჰყვეს მას ლოცვაში. თუ კვირადღის გარდა, სხვა დღეებშიც მოხერხდება მრევლის შეხვედრა მოძღვართან, თუნდაც თვეში ერთხელ, დაგროვილ კითხვებზე პასუხის გასაცემად, აღსარების სათქმელად ან თუნდაც საჭირო ქრისტიანული ლიტერატურის გაცნობა-დამუშავებისთვის, ეს ხელს შეუწყობს როგორც მოძღვრის მრევლთან, ასევე მრევლის წევრთა ურთიერთდაახლოებას და ლიტურგიისთვის მომზადებას. ამ შემთხვევაში გაცილებით დიდი უპირატესობა აქვთ პატარა სამრევლოებს, რადგან უკეთ ხდება ერთმანეთის გაცნობა და ეკლესიის გარეთ ურთიერთობაც შეიძლება, უფრო ინტენსიური იყოს.

ღვთისმსახურება რომ ცოცხალი პროცესი გახდეს და მხოლოდ შინაარსგამოცლილი ფორმა არ შეგვრჩეს ხელთ, ტიპიკონის მითითებების ზედმიწევნით მკაცრად აღსრულების ნაცვლად, კარგი იქნებოდა, ღვთისმსახურებისადმი შემოქმედებითი მიდგომა გვეცადა. მაგალითად, დასაწყისი ლოცვებისა და კვერექსების შემოკლება (რაც ღლის ხანგრძლივად ფეხზე მდგომ მრევლს), კათაკმეველთა ლიტურგიის გამოტოვება (რადგან დღეს ძირითადად მონათლული მრევლი ესწრება ლიტურგიას), სანაცვლოდ კი ანაფორის ლოცვის შთამბეჭდავი სიტყვების ხმამაღლა კითხვა ხელს შეუწყობს გაცნობიერებულად ჩართვას ევქარისტიაში, მითუმეტეს, თუ ღვთისმსახურებას ატარებს თავისუფლად მოაზროვნე მღვდელი (და ასეთიც უნდა იყოს, რადგან ქრისტიანობა სიყვარულით ათავისუფლებს ადამიანს ამქვეყნიური

ჩარჩოებისგან).

ხშირად მოძღვრები კრძალავენ ზიარებას რეგულარული აღსარების გარეშე, ამიტომ ლიტურგიისას ვხედავთ ზიარების წინ აღსარების მსურველთა რიგებს, განსაკუთრებით დიდ სამრევლოებში. მწუხრის მსახურების დროს მღვდელი ვერ ასწრებს ყველა მსურველისგან აღსარების მიღებას, ამის გამო ხანდახან იძულებულია, პროცესი წარმართოს წირვის პარალელურადაც. საინტერესოა, როგორ უნდა მოახერხოს მან აღსარებისთვის მოსულის სათანადო გულისყურით მოსმენა და ამავდროულად ლიტურგიის მთელი სულითა და გულით გაძღოლა? აღსარების დაკავშირებამ ზიარებასთან შეიძლება მრევლის ის წევრები დააბრკოლოს, ვინც ვერ მოემზადა აღსარებისთვის ან ვერ მოახერხა მწუხრის მსახურებაზე მისვლა.

მკაცრ, რიტუალურ ჩარჩოში მოქცეული ეს მსახურებანი ჩვენი საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობაა, წითელი ტერორისა, რომელმაც ჩაკლა თავისუფალი სული და მოსპო საბაზრო ეკონომიკის ჩანასახთან ერთად გაჩენილი თავისუფალი საზოგადოება. ეს საზოგადოება საუკუნის წინ ფიქრობდა საეკლესიო რეფორმებზე, ეკლესიის ცხოვრებაში საერო პირების ჩართვაზე, საეკლესიო კრებებში სასულიერო პირებთან ერთად მორწმუნე ნაწილის წარმომადგენელთა მონაწილეობაზე. ამ ავტორიტარული პოლიტიკის შედეგად, წარმოიშვა საზოგადოებისგან დაშორებული, მკაცრად ვერტიკალური საეკლესიო იერარქია, უპიროვნო სტრუქტურა. ასე მივიღეთ ძველ ზანდუკში ნაფთალინში ჩადებული ქრისტიანობა, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნით გამომზეურდება ტაძარში მისვლისას და მისი დატოვების შემდეგ ისევ დავიწყებას მიეცემა. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია საუკუნის წინანდელი რეფორმისტული სულის აღდგენა დღეს, მაგრამ თუნდაც მრევლის უკითხავად მოძღვრის გადაყვანა სხვა ტაძარში ან მისთვის მრევლთან შეხვედრის და წირვის უფლების შეზღუდვა მაინც მეტისმეტად სტალინურად ცენტრალიზებული ჩანს (ერთგვარად, სიმბოლურიცაა, რომ დედაქალაქის ყველაზე დიდი ტაძრის კედელზე ჩამოკიდებული რომელიღაც რუსი „წმინდანის“ ხატიდან წითელი ტერორის „დიდმა ბელადმა“ გადმოგვხედა).

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ნახსენები რეფორმისტული, თავისუფალი იდეების ცხოვრებაში განხორციელება ძალიან გართულდება დღეს, ღარიბ და უპირატესად სოციალურად დაუცველთაგან შემდგარ მრევლში, თუ არ გვეყოლება თავისუფალ ადამიანთა საზოგადოება. ეს კი ვერ მიიღწევა მხოლოდ რწმენით, გადარჩენისთვის ყოველდღიური ბრძოლის პირობებში. შეცვლილი ცხოვრების სტილი და ტემპი, ტექნიკური თუ ტექნოლოგიური რევოლუციებით შექმნილი განსხვავებული საარსებო გარემო მეტ მოთხოვნას უყენებს ადამიანს და არ აძლევს სულის მოთქმის და ცხოვრების საზრისის პოვნის საშუალებას. ფიქრის, საკუთარი ყოფის გააზრების, მარადიული ღირებულებებისა და ჭეშმარიტების ძიების სურვილი, განწყობა და ენერგია დღევანდელი პირობებში ექნება თავისუფალ, კერძო მესაკუთრეს.

კერძო საკუთრების მფლობელნი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსით თავისუფალი ადამიანები შეადგენენ საშუალო კლასს. ეს კლასი ჩვენთან არ არსებობს ან სხვა, შრომისუნარიან ნაწილთან ერთად გასულია ქვეყნიდან. დარჩენილია ფენა მხოლოდ მდიდრების და ღარიბებისა, რომლებიც ერთმანეთს ასაზრდოებენ: მდიდრებს ესაჭიროებათ მომსახურე პერსონალი, ხოლო ღარიბებს – ჯამაგირის მიმცემი. არის კიდევ ერთი ფენა, ძირითადად საერთაშორისო ორგანიზაციებში დასაქმებული, რომელიც ძალიან პატარაა და ამინდს ვერ ცვლის. ღარიბი იმდენადაა დამოკიდებული მდიდარზე, რომ ეკლესიაში სიარულის კი არა, შეიძლება დასვენებისა და სულის მოთქმის საშუალებაც არ ჰქონდეს. როდესაც ყველანაირად მასზე დამოკიდებულს დამსაქმებელი ფულს უხდის, არ აინტერესებს, დაქირავებულს კვირა დღეს გამოძინება უნდა თუ წირვაზე დასწრება. არადა, რომელ ურთიერთდახმარებასა და ერთმანეთის

ჭირსა და ლხინში თანადგომაზეა საუბარი გაღატაკებულ საზოგადოებაში? ან რით უნდა იარსებოს ღარიბი მრევლის მოძღვარმა? რამდენი ქრისტიანი შეძლებდა მოყვასის დახმარებას, ნორმალური შემოსავლის არარსებობის გამო საკუთარი ჯანმრთელობის პრობლემებით რომ არ იყოს შეზღუდული? რამდენ ჩვენგანს დარჩენია გულში ხინჯად, საკუთარ ახლობელს რომ ვერ გაუწოდა დახმარების ხელი საჭირო დროს, საყვარელ ადამიანს ვერ უყიდა ძვირადღირებული წამალი, ვერ მოუყვანა ექიმი, ან თავად გამხდარა ამ დროს ხელშესაშველებელი? შევხედოთ ევროპის ქვეყნებს: სოციალისტური წარსულის მქონენი სიღარიბიდან გაჭირვებით ამოდიან, ხოლო განვითარებულ კაპიტალისტურ სისტემებში ფიქრობენ საყოველთაო კეთილდღეობაზე, რომლის ფესვებიც ქრისტიანულ რწმენაში უნდა ვეძებოთ. ქრისტიანობა ხომ მომავლის აწმყოში გადმოტანის, მომავალი სიხარულის აქ და ახლა განცდის რწმენაა და საკუთარი თუ მოყვასის ყოველდღიური ტანჯვით რატომ უნდა უფერულდებოდეს? რატომ არ უნდა გვინდოდეს ახალი სარაჯიშვილების, ზუბალაშვილების, ხოშტარიების გაჩენა ჩვენს საზოგადოებაში? განა არ იყო მათი საქველმოქმედო და მეცენატური საქმიანობა ქრისტიანობის კარგი მაგალითი? დღევანდელი მახინჯი სისტემის პირობებში კი ეს შეუძლებელია.

მხოლოდ ახალ, ბოლშევიკურ-ტოტალიტარული აზროვნებისგან თავისუფალ, ლიბერალურ გარემოში ჩამოყალიბდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მსგავსი სულისკვეთებით დამაშვრალი, ფიზიკური გადარჩენის პრობლემისგან თავისუფალი, ფიქრის, ლოცვისა და ქველმოქმედების შემძლე, ცოცხალი რწმენის მქონე, ქრისტიანული ერთობა, რომელიც შეიძლება იმედისა და სასიკეთო მაგალითის მიმცემი აღმოჩნდეს საზოგადოების დანარჩენი ნაწილისთვის.

მკაცრ, რიტუალურ ჩარჩოში მოქცეული ეს მსახურებანი ჩვენი საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობაა, წითელი ტერორისა, რომელმაც ჩაკლა თავისუფალი სული და მოსპო საბაზრო ეკონომიკის ჩანასახთან ერთად გაჩენილი თავისუფალი საზოგადოება. ეს საზოგადოება საუკუნის წინ ფიქრობდა საეკლესიო რეფორმებზე, ეკლესიის ცხოვრებაში საერო პირების ჩართვაზე, საეკლესიო კრებებში სასულიერო პირებთან ერთად მორწმუნე ნაწილის წარმომადგენელთა მონაწილეობაზე. ამ ავტორიტარული პოლიტიკის შედეგად, წარმოიშვა საზოგადოებისგან დაშორებული, მკაცრად ვერტიკალური საეკლესიო იერარქია, უპიროვნო სტრუქტურა. ასე მივიღეთ ძველ ზანდუკში ნაფთალინში ჩადებული ქრისტიანობა, რომელიც მხოლოდ ცოტა ხნით გამომზეურდება ტაძარში მისვლისას და მისი დატოვების შემდეგ ისევ დავიწყებას მიეცემა. არ ვიცი, რამდენად შესაძლებელია საუკუნის წინანდელი რეფორმისტული სულის აღდგენა დღეს, მაგრამ თუნდაც მრევლის უკითხავად მოძღვრის გადაყვანა სხვა ტაძარში ან მისთვის მრევლთან შეხვედრის და წირვის უფლების შეზღუდვა მაინც მეტისმეტად სტალინურად ცენტრალიზებული ჩანს

ნინო ყანჩაველი

მღვდლობის სხვა, ანუ თავდაპირველი განზომილება

დეკანოზი გიორგი წეროძე

ქრისტიანი მღვდლის როლი საუკუნეების განმავლობაში ვითარდებოდა, ეყრდნობოდა ბიბლიურ საფუძვლებს, საეკლესიო ტრადიციებსა და თეოლოგიურ ინტერპრეტაციებს. ისტორიულად ქრისტიანი მღვდლის როლი შეიძლება განიხილებოდეს რამდენიმე ძირითადი ფუნქციით. მათ შორისაა საიდუმლოებათა აღსრულება. ეკლესიის დაფუძნების პირველი დღეებიდანვე მღვდელი უმთავრესად ზრუნავდა საკურთხევლის მსახურებაზე. მღვდელი იყო სარწმუნოების მოძღვარი, ქრისტიანული დოქტრინის მცველი და პასუხისმგებელი მრევლის დამოძღვრაზე რწმენის შესახებ. ეს როლი მოიცავდა ქადაგებას ღვთისმსახურების დროს, ბიბლიის შესწავლისა და ქრისტიანული სარწმუნოების საფუძვლების სწავლებას ან კატეხიზაციას, ასევე, ეკლესიის ტრადიციის ერთგულად გადმოცემის უზრუნველყოფას. მღვდელი იყო სულიერი წინამძღოლიც, მაგალითის მიმცემი, სულიერი ცხოვრების ნიმუში. მას უნდა განესახიერებინა ლოცვისადმი ერთგულება, ღვთისმოსავური ცხოვრება, მორწმუნეთა მწყემსობა, რჩევებისა და მხარდაჭერის გაზიარება. უშუალო რელიგიური ასპექტების გარდა, მღვდლები ისტორიულად სათემო კავშირების განმტკიცებაშიც ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს. ისინი ხშირად პასუხისმგებელნი იყვნენ ეკლესიის ცხოვრების მატერიალურ და ორგანიზაციულ ასპექტებზე, ზრუნავდნენ საეკლესიო ნაგებობებზე და მართავდნენ ეკლესიის ფინანსებს.

დღეს მღვდელი ისევ აგრძელებს სამრევლო ცხოვრების ორგანიზებას. თუ ჩვენს თანამედროვე სამრევლო ცხოვრებაზე ვისაუბრებთ, მაშინ ადვილი შესამჩნევია მისი ერთი გამორჩეული თვისება. ის განსაკუთრებული ჩაკეტილობითა და ავტორიტარულობისადმი სიმპათიით გამოირჩევა. მრევლში გაერთიანებულნი არიან არა ღმერთის მოყვარეთა თანაბარუფლებიანი ადამიანები, არამედ მღვდლის ქადაგების ან მისი ინდივიდუალური თვისებების მიმართ სიმპათიის ნიშნით შეკრებილი მორწმუნეები.

ქრისტიანული სწავლებით მღვდლის სახე თავად იესო ქრისტეა. მის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ ეს არის განახლებული, ახალი, მანამდე უცნობი, ადამიანთათვის მოულოდნელი განზომილება. ალბათ ჩემსავით ბევრმა სხვა მღვდელმაც ვერ გაიგონა, რა ლოცვები წაიკითხა ეპისკოპოსმა მის თავზე ხელდასხმისას, არადა ეს ერთგვარი გზამკვლევია შემდგომი მსახურებისთვის. მღვდლისა და ეპისკოპოსის კურთხევისას ვითხოვთ, რომ ისინი დადგნენ:

- „ქადაგებად სახარებასა მაცხოვარებისა ქრისტესსა“;
- „შეწირვად ღმრთისა ძღვენსა და მსხვერპლსა სულიერსა“;
- „განახლებად ერსა ღმრთისასა საბანელითა მით მეორე შობისათა“;
- „კადრებად და თხოვად ცხოვრებასა ერისასა“;
- „მსგავსყოფად შენდა კეთილისა მაგის მწყემსისა, დადებად სული თვისი ცხოვართა შენთათვის“;
- „ნათლად დაბნელებულთა, მასწავლებლად უგუნურთა, მათ ... სოფელსა შინა, რათა განამტკიცნეს სულნი იგი მისდა რწმუნებულნი ცხოვრებასა ამას“.

სახარებაში მაცხოვრის მიერ ცათა სასუფეველზე ქადაგებაც სწორედ მათზე მეტყველებს. მღვდლის მთავარი ფუნქცია არის ყველასა და ყველაფრის სიცოცხლეში შემოყვანისთვის ზრუნვა. ქრისტემ სწორედ ეს მოიმოქმედა, როდესაც ხსნა, სიცოცხლეში დამკვიდრება მთელი სამყაროსთვის და ყველა ადამიანისთვის შესაძლებელი გახადა.

უბედურება ის არის, რომ ბევრ მორწმუნეს თითქმის ცხონების საქმედ აქვს გადაქცეული, ვთქვათ, ათეისტის გადარწმუნება. გეგონება ბიბლიის მთავარი მოწოდება ის იყოს, რომ ყველა ადამიანმა აღიაროს ღმერთის, სამყაროს შემოქმედის არსებობა და მისი უზენაესი ძალაუფლება. მას შემდეგ, რაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობა, სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრება განვითარდა, შრომა დანაწევრდა, სპეციალობები უფრო მკვეთრად დიფერენცირებული გახდა, დაგროვდა ცოდნა და გაჩნდა ცალკე დისციპლინები, ამის შემდეგ მღვდელმაც სამართლიანად დაკარგა აუცილებლობა, ერთდროულად იყოს მასწავლებელიც, მსაჯულიც, ექიმიც და ფსიქოთერაპევტიც და სხვ. დღეს უკვე სოციალური და კულტურული ცხოვრება გამორიცხავს მღვდლის როლის ასეთ აღქმას და უფრო მეტიც, ხელს უშლის კულტურულ განვითარებას. როგორც დიტრიხ ბიონჰოფერი სამართლიანად შენიშნავდა, ქრისტიანობა დღეს ჰგავს მეომარს, რომელიც სამყაროს და ადამიანებს დაპყრობილ ტერიტორიად აღიქვამს და დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო მეტად უწევს უკან დახევა, „ტერიტორიების დატოვება“. ქრისტიანული ეკლესია უნდა ხვდებოდეს, რომ სამყარო გახდა სრულწლოვანი, თანამედროვე სამყაროს აღარ ჭირდება ეკლესია, როგორც ზნეობრივი პედაგოგი, ექიმი, მოსამართლე, ბიოლოგიის მასწავლებელი და სხვ. ამ შემთხვევაში სიჯიუტე მხოლოდ დამაზიანებელი კი არ არის, არამედ უმართებულოცაა და მას კიდევ უფრო მეტი პოზიციების სამარცხვინოდ დატოვება მოუწევს. მაგალითად, ეკლესია არ უნდა ეჯიბრებოდეს ბიოლოგიას ან ასტროფიზიკას ადამიანის ან სამყაროს წარმოშობის საკითხებში ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის საქმეში. ეს სულაც არ გულისხმობს სამყაროს გაჩენის მიზეზად ღმერთის უარყოფას. მეცნიერება და ფილოსოფია განვითარდა და ქრისტიანულმა ეკლესიამ შესაბამისად უნდა უპასუხოს ამ განვითარებას. საჭიროა ცოდნის დადგენის თანამედროვე ინსტიტუტების აღიარება, მათთან მჭიდრო ურთიერთობა, მათი „პროდუქტის“ ათვისება და არა ალტერნატიული საქმიანობის წარმართვა. მაგალითად, სასაცილო და მავნეა ანთროპოგენეზის არამეცნიერული, არაობიექტური სურათის დახატვა, მაშინ, როცა დადასტურებულად ცნობილია გზა, რომელიც ადამიანმა ევოლუციურად განვლო, ვიდრე ის ღმერთს შეხვდებოდა. უფრო სწორად, ვიდრე ის მზად იქნებოდა, ღმერთის მოწოდებისთვის პასუხის გასაცემად. მოკლედ, მეცნიერების მიერ დადგენილი ფაქტები კი არ უნდა უგულებელვყოთ, არამედ მათი გათვალისწინებით მოვახდინოთ ბიბლიური სწავლების ინტერპრეტირება.

თუ სხვა სფეროების პირისპირ მღვდელმა ასე თუ ისე ადვილად დათმო პოზიციები, მგონი, ფსიქოთერაპიასთან შინაგან კონკურენციას თავს ჯიუტად არ ანებებს და აღსარების მეშვეობით ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ტერიტორიაზე იჭრება, რომ არაფერი ვთქვათ ფსიქოანალიზზე. იოანე ნათლისმცემლისა და მაცხოვრის მიერ ნაქადაგებ სინანულის საიდუმლოსთან ძნელად თუ მოეძებნება კავშირი იმას, რასაც დღეს ჩვენში აღსარებას არქმევენ. თანასწორობის, არაძალადობის, სოლიდარობის არასაკმარისად გამოხატვის გამო სახარება სინანულისკენ მოგვიწოდებს. გაიხსენეთ, ვისაც ორი სამოსელი აქვს, მისცეს იმას, ვისაც ის არ აქვს; ვისაც ძალაუფლება აქვს, დასაჩაგრად არ გამოიყენოს, და მსგავსი.

მკ. 1:14-15: “მოვიდა იესო გალილეაში, და ქადაგებდა სახარებას ღმრთისას. და ამბობდა: გასრულდა ჟამი და მოახლოვდა ღმრთის სასუფეველი: მოინანიეთ და იწამეთ სახარება.”

ლკ. 3:3: “დადიოდა იგი იორდანეს მთელ

შემოგარენში და ქადაგებდა ნათლის ღებას სინანულისას ცოდვათა მისატევებლად.”

ლკ. 3:10-14: “ეკითხებოდა ხალხი: მაშ, რაღა ვქნათო? მიუგო და უთხრა მათ: ვისაც ორი ხელი სამოსი აქვს, მისცეს არმქონეს: და ვისაც საჭმელი აქვს, ასევე მოიქცეს. მოვიდნენ მებაჟენიც ნათლის ღებად და უთხრეს მას: მოძღვარო, ჩვენ რაღა ვქნათ? მიუგო მათ: ნურაფერს აიღებთ თქვენთვის დაწესებულზე მეტს. მეომრებმაც ჰკითხეს: ჩვენ კი რა ვქნათო? და უთხრა მათ: ნურავის შეურაცხყოფთ, ნურც ცილს დასწამებთ და დასჯერდით საფასურს თქვენსას.”

სწავლებებისგან სრულიად განსხვავებულად, ჩვენში აღსარება გადაქცეულია მოკლე ან ვრცელ ფსიქოთერაპიულ სეანსად. ფროიდი ვერ გაბედავდა ისეთი კითხვების დასმას, უფრო სწორად ისეთ თემებზე საუბარს, რასაც მცირე კურთხევანი დღეს განუწესებს მღვდელს. მაგალითად, კურთხევანში ვკითხულობთ, რომ მღვდელმა აღსარებაზე მოსულ ქალს უნდა ჰკითხოს: „მარქუ, შვილო, უკეთუ შეეყავ ქმარსა შენსა და საქმე იგი ცოდვისაი არა ჰქმენ“. აქ შეიძლება შევჩერდეთ და მოკლედ შევნიშნოთ, რომ ეს შეკითხვა აშკარად გაჩენილია დასავლური თეოლოგიის სწავლების გავლენით. სწორედ დასავლური თეოლოგია დიდი ხნის მანძილზე ცდილობდა, პირობითად ბიოლოგიური თეოლოგიის ქადაგებას. ასე, მაგალითად, ქალის რეპროდუქციაზე იმდროინდელი ფსევდომეცნიერების მიხედვით, მისი კვერცხუჯრედი მწიფდებოდა ან განაყოფიერებისთვის შესაფერისი ხდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ქალი ქმართან სქესობრივი კავშირისას ორგაზმს განიცდიდა. ეკლესია უკრძალავდა ქალს შვილიერებისათვის თავის არიდებას. ესეც ცალკე მცდარი წარმოდგენა ქალზე, როგორც ძირითადად რეპროდუქციული ფუნქციის მატარებელზე. ამ აკრძალვის გასაკონტროლებლად, აღსარების გზით ავალდებულებდა მას სექსუალურ აქტში „სრულფასოვნად“ მონაწილეობას. თუ ქალი გამოტყდებოდა, რომ ქმართან სარეცელი გაიზიარა, მაგრამ „საქმე უჯეროს“ (ორგაზმს) თავი აარიდა, ე. ი. შვილთა გაჩენის მცნება დაარღვია და ამით ცოდვა ჩაიდინა. სხვა საკითხია, რომ ქალის რეპროდუქციულ პერსპექტივაში დანახვა მძიმე შეცდომაა. დღეს რომ მღვდელმა მისდიოს კურთხევანში აღსარების წინ დასასმელ შეკითხვებს, აღსარებაზე მისვლა პარანოიდ სექსოლოგთან გასაუბრებას დაემსგავსება. და თუ ვინმე მაინც ისურვებს აღსარებაზე ამ თემებზე საუბარს, მას, სამწუხაროდ, არ ეცოდინება, რომ მღვდელს სემინარიაში არც ერთი საათით არ უსწავლია შესაბამისი დისციპლინები, და უფრო მეტიც, დიდი ალბათობით ფსიქოანალიზი და ფროიდი შეაძულეს, ხოლო ლაკანს ან ზუპანჩიჩს არასდროს წააკითხებდნენ. ასეთივე ან მსგავსი სურათი გამოჩნდება, როცა სხვა ეთიკურ საკითხებზე საუბარს გადაწყვეტს აღმსარებელი. თუ ჩვენი თემის სათაურს რამე შეესაბამება, ეს სწორედ ახლა გამოთქმული აზრია, რომ თანამედროვე სამღვდელო მსახურებამ არ უნდა გადალახოს თავისი ცოდნის, კომპეტენციის და, რაც მთავარია, მოწოდებისა და დავალების საზღვრები.

გავიხსენოთ მაცხოვრის სიტყვები: “მიეცა ხელმწიფება ყველა ხორციელზე, რათა ყველაფერს, რაც მიეცი, საუკუნო სიცოცხლე მისცეს” (ინ 17:2). აქ მთავარი სიტყვა არის „ყველა“ და „ყველაფერი“. სიცოცხლეში დამკვიდრების, სიკვდილის გაუქმების საყოველთაო მასშტაბი მიუღებელი და უცხო აღმოჩნდა ადამიანთა უმრავლესობისთვის იმ კულტურაში, რომელშიც მაცხოვარი დაიბადა. ყველას და ყველაფრის სიცოცხლეში დამკვიდრება შეუძლებელი და წარმოუდგენელი იყო რელიგიური აზროვნებისთვისაც კი. ასეთივე კანონს მისდევს ჩვენი ბუნებაც. ანთროპოგენეზი და სიცოცხლის ევოლუცია დადასტურებულად ამბობს, რომ სიცოცხლეში მოსული ადამიანისთვის უცხოა არსებობის ყველასათვის გადანაწილება. თითოეული ატომიც კი საკუთარი ინტერესებისა და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის იბრძვის. და თუ უჯრედულ დონეზე ვხედავთ კოოპერირებასა და სოლიდარობის ნიშნებს, აღმოჩნდება, რომ

ეს მხოლოდ სხვების წინააღმდეგ მიმართული დროებითი ერთობაა და არა სიცოცხლეში ხელგაშლილი მასპინძლობა. ამის საპირისპიროდ ბიბლიური ღმერთი და ქრისტიანობა და, შესაბამისად, ქრისტიანი მღვდელიც მოწოდებულია, გააზიაროს ყველა ადამიანისა და მთელი სამყაროს სიცოცხლეში დამკვიდრების სიხარული. ქრისტე არის სიცოცხლისა და სიყვარულის საიმედო ღუზა, რომელიც ძალადობრიობითა და წინააღმდეგობით სავსე არსებობის ოკეანეშია ჩაშვებული. მღვდელიც თავისი თანამედროვე განზომილებით სწორედ ქრისტეს ამ საყოველთაო გამოხსნის მასშტაბით უნდა მოქმედებდეს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ახლა უკვე გაქრობა და სიკვდილი შეუძლებელია. მღვდელიც, თუ სურს ნამდვილად ქრისტეს საქმეში მონაწილეობა, დღეს (ქრისტეს აღდგომის შემდეგ) მხოლოდ ამ ესქატოლოგიურ მწვერვალს უნდა უსწორებდეს თვალს. მაცხოვარმა ადამიანი და სამყარო სიცოცხლის, უკვდავების ჯაჭვით დააკავშირა ერთმანეთთან. უკვდავების არა როგორც დაუსრულებელი სიცოცხლის, არამედ სიკვდილის შეუძლებლობის გაგებით. ღმერთმა იცის, რომ ადამის შემდეგ აღარავინ და აღარაფერი დაიკარგება. მღვდელმაც სხვებს, პირველ რიგში, ეს საყოველთაო სიცოცხლეში დარჩენა უნდა ახაროს. თუ რამე ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ვიცით სამომავლო ცხოვრებაზე, ეს არის ის, რომ ყველანი ცოცხლები დავრჩებით. შეუძლებელი იქნება ვინმეს სიკვდილი, გაქრობა, დაკარგვა. ღმერთის სასუფეველში ყველანი ხომ ცოცხლები არიან, მაგრამ, ასევე, რაც ძალიან საგულისხმოა, ეს არის ის, რომ ყოველი ადამიანი მეორისთვის როგორც ღმერთი, როგორც სიცოცხლის წყარო, ისეთი საზომით ხდება აუცილებელი.

მღვდელს აუცილებლად ევალება ქრისტეს მონაპოვრის გავრცელება. მონაპოვარი კი არის ადამიანისა და მისი მეშვეობით ღმერთის სიცოცხლის სამეფოში სამყაროს მიყვანა. ეს არის ის, რასაც ყველაზე ნაკლებად ვხვდებით თანამედროვე მართლმადიდებელ ეკლესიაში. ღმერთი, სიცოცხლის მამა დავიწყებულია და მღვდელი ყველაფერს აკეთებს, გარდა იმისა, რომ ილაპარაკოს იმაზე, თუ როგორ მიიყვანა განკაცებულმა ძემ ადამიანი მამასთან, როგორ მოწმობს ამაზე სულიწმიდა, როგორ დამკვიდრდა ადამიანი წმ. სამების პიროვნულობით სავსე არსებობაში. სამართლიანად საყვედურობენ იმათ, ვინც მხოლოდ იესო ქრისტეზე იწყებს და ამთავრებს საუბარს, როცა ღმერთზე ქადაგებს. მცდარია წარმოდგენა, თითქოს ძე ღმერთი საკმარისი და აუცილებელი პირობაა იმისთვის, რომ ადამიანმა თავი სიცოცხლეში დაიმკვიდროს. საჭიროა სწორედ მამის სიყვარულის დანახვა, რომელიც ძის შობითა და სულიწმიდის მოწმობით გვაცნობს თავს.

დღეს მღვდელს იმდენი რამა აქვს ღმერთზე სათქმელი! მართლმადიდებლური თეოლოგიური აზრი ისე განვითარდა, წმინდა მამების და საუნივერსიტეტო თეოლოგიის წყალობით, იმდენად უფრო ზუსტად ვიცით ღმერთზე, რომ ეკლესიაში ადამიანთან შეხვედრისას სხვა არაფერზე სალაპარაკოდ უბრალოდ დრო არც უნდა რჩებოდეს და სულის დასამშვიდებლად, ადამიანურ ურთიერთობებში პრობლემების დასაძლევად, სექსუალური ხასიათის საკითხებში გასარკვევად და სხვა მსგავს შემთხვევებში ადამიანებს შესაბამის კაბინეტებში უნდა ვამისამართებდეთ. ჯონ აგამბენის რელიგიის განმარტების მსგავსად მკაცრად უნდა ვიცავდეთ ღმერთისა და ადამიანის გავლენის სფეროებსა და საზღვრებს.

ბიბლიური ღმერთი და ქრისტიანობა და, შესაბამისად, ქრისტიანი მღვდელიც მოწოდებულია, გააზიაროს ყველა ადამიანისა და მთელი სამყაროს სიცოცხლეში დამკვიდრების სიხარული. ქრისტე არის სიცოცხლისა და სიყვარულის საიმედო ღუზა, რომელიც ძალადობრიობითა და წინააღმდეგობით სავსე არსებობის ოკეანეშია ჩაშვებული. მღვდელიც თავისი თანამედროვე განზომილებით სწორედ ქრისტეს ამ საყოველთაო გამოხსნის მასშტაბით უნდა მოქმედებდეს. მას უნდა ახსოვდეს, რომ ახლა უკვე გაქრობა და სიკვდილი შეუძლებელია. მღვდელიც, თუ სურს ნამდვილად ქრისტეს საქმეში მონაწილეობა, დღეს (ქრისტეს აღდგომის შემდეგ) მხოლოდ ამ ესქატოლოგიურ მწვერვალს უნდა უსწორებდეს თვალს. მაცხოვარმა ადამიანი და სამყარო სიცოცხლის, უკვდავების ჯაჭვით დააკავშირა ერთმანეთთან. უკვდავების არა როგორც დაუსრულებელი სიცოცხლის, არამედ სიკვდილის შეუძლებლობის გაგებით. ღმერთმა იცის, რომ ადამის შემდეგ აღარავინ და აღარაფერი დაიკარგება. მღვდელმაც სხვებს, პირველ რიგში, ეს საყოველთაო სიცოცხლეში დარჩენა უნდა ახაროს. თუ რამე ზუსტად და ერთმნიშვნელოვნად ვიცით სამომავლო ცხოვრებაზე, ეს არის ის, რომ ყველანი ცოცხლები დავრჩებით.

დეკანოზი გიორგი წეროძე

ეპისკოპოსი გაბრიელი სარწმუნოებისა და მოქალაქეობის შესახებ

ნუგზარ პაპუაშვილი

Ამერეთის ეპისკოპოს გაბრიელს (ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე; 1825-1896) დიდების შარავანდი სიცოცხლეშიც მოსავდა და სიკვდილის შემდეგაც, თუმცა კრიტიკის ქარცეცხლიც არ დაჰკლებია არც მტრისგან და არც მოკეთისაგან. იმდენად დიდი და ცხადი იყო მისი დამსახურება არამარტო საკუთრივ ეკლესიისა და სარწმუნოების, არამედ სახალხო განათლებისა და მეცნიერების წინაშეც, რომ ამ ფაქტის მიჩქმალვას ათეისტურ-კომუნისტური რეჟიმი ვერ ახერხებდა.

მას შემდეგ, რაც ეპ. გაბრიელი მცხეთის საეკლესიო კრებამ წმინდანად გამოაცხადა (1995 წლის 18-19 სექტემბერს), ქართველ მართლმადიდებელთა შორის და, შეიძლება ითქვას, ფართო საზოგადოებრიობაშიც მისი ღვთისმოსაობისა და სამოძღვრო პრაქტიკისადმი ინტერესი გაიზარდა. უკვე რამდენიმე ათეულს, ალბათ ასეულსაც, აღწევს იმ წერილების რიცხვი, რომელიც დიდი მღვდელმთავრის სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეობის წარმოჩენას ისახავს მიზნად.

მორწმუნეობის კულტურა

ჩატარებული სამუშაოს მასშტაბის მიუხედავად სათანადო სიღრმით არ არის შესწავლილი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სარწმუნოებრივი და სამოძღვრო ცხოვრების შინაგანი მხარე. არ არის გარკვეული ამ ცხოვრების დამახასიათებელი ნიშანი; მისი ფორმა, სახე, სტილი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, არ არის შესწავლილი და გარკვეული ამ ღრმადმორწმუნე მართლმადიდებელი სასულიერო პირის მორწმუნეობის, ე. ი. პირადი რელიგიური მრწამსისა და გრძნობების გამოვლენის (ექსპრესიის) კულტურა ზოგადად და, კერძოდ, სამოქალაქო, ე. ი., ღია საზოგადოებაში. ეს კულტურა (ეს რეგლამენტი) თავის თავში ისეთ საკითხებსაც მოიცავს (ანდა გადაჯაჭვულია ისეთ საკითხებთან), როგორიცაა სხვა სარწმუნოების ადამიანებთან ურთიერთობა, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებთან დამოკიდებულება, თანამედროვეობასა და რეალობასთან ადაპტაცია, სახელმწიფოსა და სახელმწიფოში მოქმედ რეჟიმთან ურთიერთობა, ასევე: რამდენად ჰუმანისტი და ტოლერანტული იყო ის?

წმ. გაბრიელი და დასავლური ღირებულებები

ქვემოთ წარმოდგენილი მასალებისა და მსჯელობის მიზანია, მომზადდეს პასუხი კითხვაზე: როგორი სტილი და პროფილი ახასიათებდა გაბრიელ ქიქოძეს, მის სამოძღვრო და სამღვდელმთავრო პრაქტიკას და მის ურთიერთობას სამოქალაქო, ანუ სეკულარულ საზოგადოებასთან? ეს კითხვა, შესაძლებელია, ასე შეივსოს და დაზუსტდეს: გასაგებია, რომ იგი თავს ცარისტული რუსეთის მოქალაქედ მოიაზრებდა და ამით თითქოს კმაყოფილიც იყო; საკითხავია, რა დამოკიდებულება ჰქონდა მას, როგორც მოაზროვნეს და მოღვაწეს, ინტელექტუალური, სამოქალაქო და ზნეობრივი ცხოვრების იმ ნორმებთან, რასაც ჩვენ დღეს დასავლურ ღირებულებებს ვუწოდებთ? რომელი საზოგადოების წყობილება და ცხოვრების რომელი მოდელი მოსწონდა მას, - დასავლეთევროპული თუ აღმოსავლეთევროპული? უფრო დემოკრატიისაკენ მიისწრაფოდა იგი თუ ტრადიციული აღმოსავლური (ბიზანტიურ-რუსული) ავტორიტარიზმისაკენ? კიდევ მეტად რომ დავაკონკრეტოთ: მოიწონებდა თუ არა მისი უსამღვდელოესობა რომისა და

მცხეთა-თბილისის ეპისკოპოსების შეხვედრას საქართველოს ეკლესიის ემბაზში, სვეტიცხოველში, და როგორ მოიქცეოდა იგი, რომის პაპს ამ ეკლესიის საკურთხეველში შესვლის სურვილი რომ გამოეხატა?

წმ. გაბრიელი ლოგიკის, ნებისა და სინდისის თავისუფლების შესახებ

გადავავლოთ თვალი წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის ინტელექტუალურ და სულიერ ბიოგრაფიას და ვნახოთ, რამდენად ახლოს დგას მისი პიროვნება დასავლურ, ე.ი. ლიბერალურ, ღირებულებებთან.

დასავლურ ღირებულებათა ქვაკუთხედი არის ნების თავისუფლება, რომლის არსება მხოლოდ ფართო, ნათელი და ლოგიკური აზროვნების პირობებში ხორციელდება. სწორედ ასეთი აზროვნება ახასიათებს წმ. გაბრიელს. პირველი, რაც მისი წერილობითი მემკვიდრეობის შესწავლის დროს თვალში გეცემა, არის ფაქტებისა და მოვლენების განსჯა-გამოწვლილვის კულტურა. ამის დასტურია პირველ ყოვლისა ფუნდამენტური ნაშრომი „Основания опытной психологий" (ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები), რომელიც მან ბერობის, არქიმანდრიტობის, დროს დაწერა, როდესაც იგი კეთილშობილ ქალთა ამიერკავკასიის ინსტიტუტის მასწავლებლად და თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორად მუშაობდა, და რომელიც სანქტ-პეტერბურგში გამოქვეყნდა 1858 წელს (თარგმნილია ქართულად: გაბრიელი 1993). საკმარისია, მოვისმინოთ შეფასებები, რაც ამ წიგნის მისამართით გამოითქვა როგორც რუსეთის იმპერიაში, ისე დასავლეთ ევროპასა თუ საქართველოში, რათა დავრწმუნდეთ, თუ რაოდენ ჰქონდა ათვისებული მის ავტორს აზროვნების ევროპული დონე და დასავლური ღირებულებები.

ამ წიგნის პირველ წამკითხველად და შემფასებლად ა. რუდაკოვი წარმოგვიდგება. მან გამოსაცემად მომზადების მთელი სირთულე იკისრა: სტილისტური და ტექნიკური რედაქცია, ცენზორებთან და სტამბასთან ურთიერთობა და ნაირგვარი დაბრკოლებების გადალახვა. ერთ-ერთი სერიოზული დაბრკოლება თურმე საეკლესიო ცენზურა აღმოჩნდა. ბევრმა ეს თხზულება მართლმადიდებლობისათვის შეუფერებლად მიიჩნია, მასში რაციონალიზმი და ეკლესიისათვის მიუღებელი სხვა მოტივებიც დაინახა. ამის გამო რუდაკოვმა არქიმანდრიტ გაბრიელს შემდეგი წინადადებით მიმართა: „შენი ფსიქოლოგიის გამოცემისას მე დამებადა შემდეგი აზრი: ხომ არ გავნებს იგი შენ... ხომ არ ჩაგთვლიან ფილოსოფოსად? შენ იცი, როგორ იდეას უკავშირებს ასეთ სახელწოდებას ბევრი ბერი. ამიტომ... უმჯობესი არ იქნება, გაამჟღავნო ის შენი წარსულის სახელით „გერასიმე ქიქოძე"? შესაძლოა, მე სისულელეს ვამბობ, მაგრამ შენი სიყვარულით". ავტორი არ შეუშინდა მოსალოდნელ უსიამოვნებას და ტიტულზე ის ინფორმაცია დატოვა, რაც სინამდვილეს შეესაბამებოდა: „Сочинение архимандрита Гавриила". შედეგმაც არ დააყოვნა; კიევისა და პეტერბურგის სასულიერო აკადემიების პროფესორმა ვ. ნ. კარპოვმა და ზოგიერთმა სხვა პროფესორმაც ავტორს, არქიმანდრიტს, ქრისტიანული დოგმატების დამრღვევი და ერეტიკოსი უწოდა, თუმცა იმავე აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო ცენტრებშიც იყვნენ ისეთები, რომლებმაც ნაშრომს უმაღლესი შეფასება მისცეს და სასულიერო სემინარიებისათვის სახელმძღვანელოს სტატუსი მიანიჭეს (ვრცლად: ქუთელია 1943:120-121).

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე ცივილიზაციისა და ჰუმანიზმის ისეთ ფუნდამენტურ ღირებულებაზე, როგორიცაა ნებისა და არჩევანის თავისუფლება. ესაა უნარიცა და ღირსებაც, რომელიც სამყაროს იერარქიაში მხოლოდ ადამიანს ამკობს, რადგან მას (და მხოლოდ მას) აქვს სული და გონი, რითაც იგი ღმერთს ემსგავსება. ამის გამო მხოლოდ მას გამოეცხადა უფალი და მხოლოდ მასთან დადო აღთქმა, რაც ორმხრივი აქტია და თანაც თავისუფალი და შემოქმედებითი. ასე აზიარა ღმერთმა ადამიანი თავის თავს და ცნო პიროვნების ნების თავისუფლების ლეგიტიმურობა. ამდენად,

წმ. გაბრიელი იმ თეოლოგთა გვერდით დგას, რომლებიც აღიარებენ ნების თავისუფლებას, მაგრამ იმასაც დასძენენ და აზუსტებენ, რომ ეს თავისუფლება შემოსაზღვრულია და რომ თავის თავისუფლებაში უსაზღვრო მხოლოდ ღმერთია (ბუაჩიძე 2007: 38-43). აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: თუკი ადამიანსა და ღმერთს მხოლოდ გონიერი სული ანათესავებთ, ადამიანის იდეალი თავის პიროვნებაში გონიერი სულის აღზრდა და განვითარება უნდა იყოს, რათა ღვთისგან ბოძებული ნებისა და არჩევანის თავისუფლება გონივრული გადაწყვეტილებისა და ქმედების შესაბამისად წარიმართოს. აქ კი ბუნებრივად იჩენს თავს პატიოსნების პრობლემა, რასაც გაბრიელმა ეპისკოპოსობის დროს სპეციალური ქადაგება მიუძღვნა („სიტყვა პატიოსნებასა ზედა“) და აღნიშნა: „...პატიოსნება კაცისა, პირველად, უნდა იყოს დამყარებული მას ზედა, რომელ ყოველს კაცს, დიდსა და მცირეს, უნდა ახსოვდეს თავისი პატივი, თავის თავს პატივსცემდეს, ესე იგი, ერთ-ნაირი თავის მოყვარეობა უნდა ჰქონდეს, წმინდა ქრისტიანული თავის-მოყვარეობა... ეს შეიძლება მაშინ, როდესაც მას ახსოვს თავისი საკუთარი ღირსება, თავისი ბუნების სიმაღლე და დიდება. თუ გახსოვს შენ, ძმაო, რა ღირსება აქვს კაცის ბუნებასა, მაშინ შეგრცხვება ყოვლის სიცრუისა, მოტყუებისა და პირობის გატეხისა. კაცის ბუნებას აქვს დაუფასებელი ღირსება! გასინჯე, თუ რა ფასი აქვს კაცის ბუნებასა, თუ თვით ცისა და ქვეყნის შემოქმედმა ღმერთმა მხოლოდ-შობილი ძე თვისი არ დაზოგა ჩვენისა ცხოვნებისა და განათლებისათვის. აბა, როგორ არ ექმნება დიდი ღირსება კაცის ბუნებასა, თუკი უფალმან ღმერთმან იგი შეაერთა ღვთაებრივსა ბუნებასა-თანა!“.

არჩევანის თავისუფლება და „საღი სარწმუნოება“

ნებისა და არჩევანის თავისუფლება არის ის თავსაკიდური ლოდი, რომელზეც ქრისტეს სარწმუნოება და ეკლესია დგას, რადგან ეკლესიას პიროვნებები, როგორც წესი, გონივრული გადაწყვეტილების საფუძველზე უერთდებიან. სადაც გონება აქტიურია, სადაც ლოგიკა მუშაობს და ნაბიჯი შემოქმედებითად გადაიდგმება, იქ (და მხოლოდ იქ) ისხამს ხორცს და რეალიზდება რელიგიურობის ის სახე, ის რეგისტრი, რომელსაც ზოგჯერ „საღ სარწმუნოებას” უწოდებენ. ამ ცნების ქვეშ გულისხმობენ არა სარწმუნოების დოგმატურ მხარეს და საღვთისმსახურო წეს-განგებას, არამედ იმას, რაც წინამდებარე სტატიის შესავალ ნაწილში ვახსენეთ, - მორწმუნეობის კულტურას. გავიმეორებთ: ესაა თავდაჭერილობა რელიგიურობის გამოვლენასა და გაცხადებაში, შინაგანი ეგზალტაციის გამომჟღავნებისა და ექსპრესიის მართვის უნარი, კეთილშობილება სხვა სარწმუნოების მიმდევრებთან ურთიერთობაში და კიდევ ის, რაც დამოკიდებულია ეკლესიის წევრების, მორწმუნეების ზნეობასა და ტაქტიანობაზე. საღი სარწმუნოების მთავარი და არსებითი ნიშანი არის სიყვარული და, კერძოდ, რელიგიური სიყვარული, რომელიც დაუპირისპირდება სიძულვილს და დაძლევს მას, დაძლევს რელიგიურ ეჭვიანობას.

პარაგრაფში „ქრისტიანული ეჭვიანობა“ ავტორი ასეთ შეგონებას გვთავაზობს: „თუ გვესმის ღვთის სახელის ძაგება, ის არის მისწრაფება იმისკენ, რომ ღვთის დიდება გავრცელდეს ადამიანებში. ის არის სიხარული, რომელსაც განვიცდით ღვთის წინაშე ჭეშმარიტი მოწიწების ხილვისას“. ეს ნიშნავს: თუკი ვინმე ღმერთს გმობს, ანდა რომელიმე რელიგიურ სიწმინდეს შეურაცხყოფს, მორწმუნის (მორწმუნის და არა ფარისევლის!) ბუნებრივი რეაქცია იქნება არა აგრესია, არა ისტერია და ძალადობა, არა ქუჩის აქციები და სხვისი პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლა, არამედ გულმოდგინე ღვთისმოსაობა და რელიგიური სიხარულის გაძლიერება.

გაუკუღმართებული რელიგიური ცნობიერება

საღი სარწმუნოებრივი ცხოვრებისა და ცნობიერების გაუკუღმართება, ქრისტიანი

ფსიქოლოგის თქმით, ხშირად ისეთ საშინელ მოვლენას ბადებს, როგორიცაა ფანატიზმი. მისივე განმარტებით, „ფანატიზმი არ შეიცავს თავის თავში არაფერს ისეთს, რაც ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობათა მსგავსია. ამიტომ ეს გრძნობები არ შეიძლება შეუთავსდნენ ფანატიზმს ერთი ადამიანის სულში. ფანატიზმმა შეიძლება იპოვოს თავშესაფარი ისეთი ადამიანის სულში, რომელსაც სურს ბოროტი ვნებები - ღვარძლი, მრისხანება და ა. შ. - რელიგიის ნიღაბქვეშ დაფაროს. ფანატიზმისაკენ მიდრეკილება ჰქონდათ მხოლოდ ცრუ რელიგიებს, რომელთაც არ შეეძლოთ მოელბოთ ადამიანთა სული, პირიქით, ამძვინვარებდნენ მას“ (გაბრიელი 1993: 157). შესიტყვებაში „ა. შ.“, ცხადია, ბევრი რამ იგულისხმება: ნებისმიერ ცოდვაში დგომა და მათი დაფარვა ღრმადმორწმუნის როლის თამაშით (მზერის ერთ წერტილში კონცენტრირებით და აღარაფრის გაგონებისა და დანახვის სურვილის აფიშირებით), უვიცობა და მისი შენიღბვის ხრიკი, პათოლოგიური მისტიციზმი და მანია გრანდიოზა, რასაც ამპარტავნება და მთავრობისმოყვარება წარმოშობს.

გაუკუღმართებული რელიგიური ცნობიერების ნიმუშია აგრეთვე ცრუმორწმუნეობა, რაც, როგორც წესი, ფანატიზმთან ერთად მოქმედებს და ხშირად შეხორცებულია მასში. ცრურწმენის ნიმუშად არქიმანდრიტი გაბრიელი ასახელებს ხატებისა და საეკლესიო წიგნების საკრალიზაციას სიძველე-სიახლის მიხედვით: ძველი ხელნაწერი ხატებისა და წიგნების წმინდად და მადლმოსილად შერაცხვას, ახლებისას და სტამბაში დაბეჭდილებისას კი - არაწმინდად და მადლმოკლებულად. ასეთ აზროვნებას იგი სექტანტობას უწოდებს (გაბრიელი 1993: 101) და მიგვანიშნებს, რომ სექტანტობა მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღშიც არსებობს, რაც ამავე ეკლესიისათვის მავნებლობაა.

სხვადასხვა წყაროს საფუძველზე ცნობილია, თუ რაოდენ ღრმად ჰქონდა (და აქვს) ცრუმორწმუნეობას ფესვები გადგმული დასავლეთ საქართველოში და, კერძოდ, იმერეთში (ჯადო, ფეხი, კუდი, თვალი და ა.შ.). ამიტომ ბუნებრივია, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის სამოძღვრო პრაქტიკაში დიდი ადგილი დაეთმო ისეთი ხალხური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების მხილებას, რომლებსაც ქრისტეს მცნებებთან და მართლმადიდებლობასთან საერთო არაფერი აქვთ. ამის თაობაზე ჟურნალი „კვალის“ ნომერში ვკითხულობთ: „ხალხი, როგორც ყველგან, უმეცრებისა და ცრუმორწმუნეობის ბურუსში იყო გახვეული. ამიტომ ყოვლად სამღვდელო გაბრიელი დაუზარებლად მოგზაურობდა მთელ ეპარქიაში. არ დარჩენილა არც ერთი მივარდნილი და მიუვალი სოფელი, სადაც თვით ყოვლად სამღვდელო არ ყოფილიყოს და იქ დარიგება არ ეთქვას, ქრისტიანობის სწავლა-მოძღვრება არ განემარტოს. ყველამ იცის, რომ დღემდე ზოგან ცრუმორწმუნეობა ისე გავრცელებული და გამტკიცებულია, რომ ხალხი სხვადასხვა ხეს, ეკლესიის გალავანში ან მივარდნილ ადგილას მდგომს, თაყვანს სცემს, ღვთაებრივ ღირსებას აწერს და ამისთანა ხის მოჭრას ვერავინ ბედავს. აი, ასეთი ცრუმორწმუნეობის აღმოსაკვეთათ ყოვლად სამღვდელო, გარდა დარიგებისა და ქადაგებისა, სხვა ღონეს და ხერხსაც ხმარობს. სანდო და სარწმუნო პირთაგან გაგვიგონია, რომ ერთხელ, სამეგრელოში ყოფნის დროს, თვით ყოვლად სამღვდელო იღებს ხელში ნაჯახს და ჭრის იმ მუხას, რომელიც ადგილობრივ მკვიდრთ ღვთაებად გამოესახათ და რომლის შეხებას ვერავინ ბედავდა. ამ მტკიცე საქციელს ხალხი სულგანაბული შეყურებდა და მოელოდა, რომ ღმერთი მუხისა ელვა-ტეხით გააპობდა კადნიერ მღვდელმთავარს. მაგრამ ლოდინმა ამაოთ ჩაუარათ. ამ სანახაობამ კი ღრმა და დიდი გავლენა იქონია იქ დამსწრეებზე“.

ეპისკოპოს გაბრიელის ქადაგებები და აფხაზეთსა და სვანეთში სამისიონერო მოგზაურობის ანგარიშები (აფხაზეთთან დაკავშირებით: გაბრიელი 2007) ბევრ ისეთ მასალას შეიცავს, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის დასავლეთ საქართველოს როგორც მთის, ისე ბარის

ადგილობრივ (სოფლურ) რელიგიურ ტრადიციებსა და მოსახლეობის სულიერ განწყობილებაზე. ამ თვალსაზრისით რელიგიათმცოდნეებსა და ეთნოლოგებს წმ. გაბრიელის წერილობით მემკვიდრეობაში უამრავი ფაქტისა და ანალიზის მოპოვება შეუძლიათ.

წმ. გაბრიელის სამოძღვრო პრაქტიკა

„ქადაგებანის" პირველ ტომში (ქუთაისი, 1913) შესულია „მოძღვრება თქმული ოსთადმი კუდაროს ხეობის ეკლესიაში", რომელიც წარმოთქმულია როგორც ახალმონათლულების, ისე მოუნათლავების (კათაკმევლებისა თუ მონათვლის არმსურველთა) წინაშე. მოძღვარი შეახსენებს მათ, რომ ისინი მართლმადიდებელი ქრისტიანების შთამომავალნი არიან, რასაც მათ მხარეში მდგარი ძველი ეკლესია ცხადყოფს. დღეს იგი ნანგრევებადაა ქცეული, მაგრამ თქვენ მის მიმართ მაინც „ესოდენი შიში და მორჩილება" გაქვთო. ქრისტიანობა თქვენ შორის, ისე როგორც იმერეთის თითქმის ყველა მთის სოფელში, არეულობისა და ომების მიზეზით მოისპო. ახლა კი, ღვთის წყალობით, მთავრობამ მღვდელი გამოგიგზავნათ, რათა „იყოს უწინდელსავით ქრისტიანობა და განათლება თქვენში". მთავარი ის კი არ არის, რომ პირჯვარი გადაიწეროთ და ეკლესიაში იაროთ, არამედ ის, რომ გაიგოთ, რა არის ქრისტიანობა და იცხოვროთ ისე, როგორც ქრისტიანი უნდა ცხოვრობდეს. ამიტომ მე ვუბრძანე მღვდელს, რომ „თქვენს ოსურს ენაზედ" თარგმნოს და ყოველ წირვაზე წაიკითხოს მთავარი ლოცვები, რადგან ამ ლოცვების დახმარებით თქვენ მიხვდებით, რა არის ქრისტიანობა. და თუ გინდათ, რომ ნამდვილი ქრისტიანი გახდეთ, თქვენ შორის სისხლგამჯდარ წეს-ჩვეულებებზე უარი უნდა თქვათო; უარი უნდა თქვათ, მაგალითად, დაფიცებისა და გამოტეხვის უცნაურ წესზე- გამოსატეხი კაცის წინაპრის საფლავზე დამღრჩვალი კატის, ძაღლისა თუ ვირის ჩამოკიდებაზე, ასევე - ქურდობაზე, რომელიც ძალზე გავრცელებულია თქვენში, მიცვალებულის მოსახსენებლად ურიცხვი საქონლის დაკვლაზე, ურიცხვი სტუმრის მოწვევაზე, ამ დროს დათრობასა და ჩხუბზე. „ვისაც სურს, ნამდვილ ქრისტიანულად იცხოვროს, მან ორგვარი სიყვარული უნდა შეიძინოს გულითა თვისითა: ერთი ღვთისა და მეორე კაცისა... რა არის კაცის სიყვარული, ეს მოკლედ გამოგვიცხადა უფალმან იესო ქრისტემან: რაც გინდა, რომ გიყოს შენ კაცმან, შენც ის უყავი კაცსა".

არც ამ და არც სხვა მისიონერულ ქადაგებებში წმ. გაბრიელი არ ამახვილებს ყურადღებას არც პოლიტიკაზე, არც ეროვნებაზე და არც კონფესიურ თავისებურებებზე. მთავარია, მსმენელი ცრურწმენებისაგან გათავისუფლდეს და ქრისტეს ეზიაროს, შეიძინოს ჯანსაღი სარწმუნოება, რომლის არსებითი ნიშანია (რაც უკვე აღვნიშნეთ) არა დოგმატური თავისებურებების აფიშირება, არამედ სახარების სული, რომელსაც პიროვნების გარდაქმნა და გაუმჯობესება შეუძლია. ამ გზაზე პირველი რიგის ამოცანაა ქრისტეს მოძღვრების შეცნობა და გათავისება, რაც ვერ მიიღწევა, თუკი მსმენელმა მოსმენილი ტექსტი ენის თვალსაზრისითაც კი ვერ გაიგო. ამიტომაა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსის მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მცდელობებს ღვთისმსახურების ნაციონალურ ენებზე გამართვისა. მან აფხაზი ხალხისთვისაც იზრუნა და დიდ ქალბატონს, კესარია შარვაშიძეს შესთავაზა, ჩამოეყალიბებინა კომიტეტი და ლიტურგიის ძირითადი ადგილების აფხაზურად თარგმნისათვის ეხელმძღვანელა (ამბროსი ხელაია 2005: 113,153).

წმ. გაბრიელი და საეკლესიო რეგლამენტის დემოკრატიზაცია

აფხაზეთთან დაკავშირებული ეს ინფორმაცია ჩვენთვის ორმხრივადაა საყურადღებო:

- აქედან ჩანს, რომ წმ. ეპისკოპოსი შორს იდგა ისეთი შეხედულებისაგან, რომელიც საღვთისმეტყველო ლიტერატურაში

„გნოსტიკური ერესის ლინგვისტურ ნაირსახეობადაა“ მიჩნეული და რომელსაც თანამედროვე მართლმადიდებელთა შორის ბევრი მომხრე ჰყავს (კიკნაძე 1998: 24). იგულისხმება ენების დახარისხება უფროსებად და უმცროსებად, ბუნებითად დიდუნარიანებად და ნაკლებუნარიანებად, ბუნებითად საკრალურებად და არასაკრალურებად, რაც სხვა არაფერია, თუ არა მცირე ერებისა და ენების დისკრიმინაცია,-სრულიად შეუთავსებელი ქრისტეს მოძღვრებასა და მისი ეკლესიის სულთან.

- აქვე იმასაც ვხედავთ, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგივე ეპისკოპოსი ქალის როლს საეკლესიო ცხოვრებაშიც კი. მას სრულიად კანონზომიერ მოვლენად მიაჩნია, რომ საღვთო და სამღვდელო წიგნების თარგმნაში მონაწილეობა მიიღოს ქალმა და არამარტო მონაწილეობა მიიღოს, არამედ ამ პროცესს უხელმძღვანელოს კიდეც. ეს ის ვითარებაა, რასაც დღეს ცივილიზებული კაცობრიობა გენდერული ბალანსის დაცვას უწოდებს და ცხოვრების ყველა უბანზე მისი რეალიზაციისათვის იღვწის. ქალის ბუნების სპეციფიკის განსაზღვრას, ისტორიასა და საზოგადოებაში მისი დანიშნულებისა და მნიშვნელობის წარმოჩენას, მისი ღირსების სიღრმისეულად წვდომას გაბრიელ ეპისკოპოსის ქადაგებებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით.

წმ. გაბრიელი და ეროვნული თვითმყოფადობა

წმ. გაბრიელის დასავლეთევროპულ, კერძოდ კი რეფორმატორულ, ღირებულებებთან ნათესაობას ადგილობრივი, ნაციონალური და თვითმყოფადი კულტურების დაცვისა და განვითარებისათვის ზრუნვაც ასაჩინოებს. შეიძლება ითქვას, რომ ის აფხაზური და ოსური ენების სალიტერატურო ენებად გადაქცევის ერთ-ერთი წინამორბედია, რითაც მან ამ ხალხთა თვითმყოფადობის შენარჩუნებას შეუწყო ხელი. უკვე ადვილი წარმოსადგენია, რაოდენ ამაგს დასდებდა იგი საკუთარი ერისა და ქვეყნის, საქართველოს, თვითმყოფადობას. მის თანამედროვეებს, დიდსაც და პატარასაც, კარგად მოეხსენებოდათ, თუ რა შემართებით იცავდა იგი მშობლიური ენის უფლებას როგორც საეკლესიო, ისე საერო ცხოვრებაში. დღესაც ხშირად იხსენებენ და იმოწმებენ მის წერილობით პოლემიკას გიორგი მუხრანბატონთან (რაზეც ქვემოთაც შევჩერდებით), სასულიერო უწყების მოხელე ა. კერსკისთან და კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანოვსკისთან, როცა იგი იცავდა, ერთი მხრივ, ქართველების უფლებას სასულიერო განათლების მშობლიურ ენაზე მიღების თვალსაზრისით და, მეორე მხრივ, ქართული ენის უფლებას მეგრელებისა და სვანების საეკლესიო-საღვთისმსახურო პრაქტიკაში. მეორე საკითხში ეპისკოპოსი იმ ენათმეცნიერულ თეორიასაც ეყრდნობოდა, რომლის თანახმად ქართული, მეგრული და სვანური მოძმე ენებია, რის გამოც მეგრელები და სვანები ლიტერატურულ ქართულს ადვილად სწავლობენ და მათი სალიტერატურო ენა წარსულშიც და ახლაც ქართულია.

წმ. გაბრიელის პოლიტიკური და საზოგადოებრივი პოზიცია

სიმტკიცე მამულიშვილობაში, ფართო დიაპაზონი მეცნიერებასა და თავისუფლება აზროვნებაში ასხივებს ეპ. გაბრიელის იმ პოლემიკური ნაშრომიდან, რომელიც ყველაზე მეტადაა ცნობილი - „წერილი თ. გიორგი კონსტანტინეს ძის მუხრან-ბატონის მიმართ“ (პირველი პუბლიკაცია: ,,მოამბე”, 1896, #3, გვ. 92-100). მისი ისტორია ასეთია: სენატორმა გიორგი მუხრანბატონმა (ბაგრატიონმა; 1821-1877) 1872 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ბროშურა „ნაციონალური ინდივიდუალობის ბუნება“, რომელშიც განავითარა აზრი მცირე

ერებისა და ენების დიდ ერებსა და ენებში გათქვეფის კანონზომიერების შესახებ, რადგან ეს სახელმწიფოს სიმტკიცის აუცილებელი პირობააო. მან მეგობრული წერილი, ქართულად დაწერილი, გაუგზავნა იმერეთის ეპისკოპოსს და, როგორც ჩანს, აზრისა და პოზიციის გაზიარება სთხოვა. აი, ამ წერილზე (რომლის ტექსტი ცნობილი არაა) პასუხს წარმოადგენს წმ. გაბრიელის ეპისტოლე, რომელიც ქართული პოლემიკური ლიტერატურის ბრწყინვალე ნიმუშად უნდა ჩაითვალოს. მეუფე აღფრთოვანებულია რუსეთის იმპერიის უმაღლესი მოხელის შესანიშნავი ქართულით და, თავის მხრივ, ბოდიშს იხდის, - მე ასეთი ქართულით წერა არ შემიძლიაო. იგი დიდი პატივისცემით (თუმცა შინაურულად) და კეთილმოსურნის ტონით განიხილავს სენატორის ნაშრომს და საკუთარ შეხედულებებს გულწრფელად და მკაფიოდ გამოთქვამს. ეპისკოპოსი სენატორს უწუნებს როგორც კვლევის მეთოდს, ისე კონკრეტული მასალის ანალიზს: „თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა, ესე იგი ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება“. სინამდვილე სწორედ შენი თეორიის საწინააღმდეგოდ მეტყველებსო, შენიშნავს ოპონენტი და დასძენს: „დედამიწის ზურგზე, დასაბამიდან ქვეყნისა ვიდრე აქამომდე და ახლაც, ჩვენ დროებაში, არ ყოფილა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა ყოველნი მცხოვრებნი ლაპარაკობდნენ ერთი ენით: ყოველ დიდ-დიდ სახელმწიფოში ყოველთვინ და ყველგან, გარდა ერთი სამმართველო ენისა, ყოფილან სხვა წვრილ-წვრილნი ენები; გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე.ი. მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არსად არ დაურღვევია, არ დაუსუსტებია”. მუხრანბატონი არამდგრადი სახელმწიფოს ნიმუშად ასახელებს რესპუბლიკურ შვეიცარიას და მონარქიულ ავსტრიას და მათი არამდგრადობის მიზეზად ამ ქვეყნების ეთნიკურსა და ენობრივ მრავალფეროვნებას მიიჩნევს. გაბრიელი აკრიტიკებს როგორც ინფორმაციის ობიექტურობას, ისე ანალიზის ხარისხს: „შვეიცარიას უჩვენებთ და იტყვით, რომ აქ სამი ენა არისო, და ამისთვის აქ ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არისო. შვეიცარია, დიაღ, მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთვლი? ნუთუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა? ვგონებ შვეიცარიისთანა განათლებული, მაგარი ერთობით და თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში“. რაც შეეხება ავსტრიას, იქ პრობლემებს, ოპონენტის დაკვირვებით, ეროვნული და ენობრივი პლურალიზმი კი არ წარმოშობს, არამედ მოქალაქეთა არათანასწორუფლებიანობა: „საუბედუროდ მათთა, მართებლობა სწორი სამართლით (равноправно) თანაბრად არ ეპყრობა ყოველ თესლებს: ნემცები და მადიარები ავიწროებდნენ ჩეხებს და სხვა სლავიანებთა... ამ მიზეზით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი“.

ეპისტოლე მრავალი თვალსაზრისითაა შესანიშნავი, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოვყოფთ სამ იდეას, რომელიც სტრიქონსა და სტრიქონს შორის გამოკრთის: რესპუბლიკა უფრო სასურველი მოვლენაა, ვიდრე მონარქია; მოქალაქეთა დისკრიმინაცია სახელმწიფოს მტერია, ურთიერთთანხმობა და თანასწორობა კი მისი სიმტკიცის საფუძველი და, მესამე, _ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება სიკეთეა! საკმარისია, თვალი გადავავლოთ თუნდაც ზემოთ დამოწმებულ ციტატებს, რომ დავრწმუნდეთ: შვეიცარიის სულიერი და პოლიტიკური კლიმატი ეპ. გაბრიელს ლამის იდეალად და ეტალონად წარმოუდგება. ის ისეთი დადებითი ექსპრესიით ლაპარაკობს ამ ქვეყნის სტრუქტურასა და წესწყობილებაზე, კერძოდ იმაზე, რასაც დღეს დემოკრატიას ვეძახით, რომ მონარქიისათვის თითქოს აღარც კი რჩება ადგილი. მონარქიაა ავსტრიაში, მაგრამ რას შველის ეს წყობა ამ ქვეყანას და მის პრობლემებს? ეს და მსგავსი კითხვები სტრიქონებს შორის თვალსაჩინოა. დავაკვირდეთ, რას ამბობს ფაქტობრივად მართლმადიდებელი ეპისკოპოსი:

კათოლიკურ-პროტესტანტული შვეიცარია რუსეთის მართლმადიდებელ იმპერიაზე მეტად კულტურულიაო. ამის მიუხედავად ვერ ვიტყვით, რომ ეს ანტიმონარქიული განწყობილებაა, მაგრამ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აქ საქმე გვაქვს სიმპათიასთან დემოკრატიის მიმართ.

საჭირბოროტო საკითხები, რომელთა შესახებაც ქადაგებდა წმ. გაბრიელი

თვალშისაცემია ის გარემოება, რომ წმ. გაბრიელის არცერთი ქადაგება არ ისახავს ვიწრო კონფესიურ მიზანს. პრობლემების განხილვის დროს იგი არსად სვამს მახვილს მაინცდამაინც მართლმადიდებლობაზე; მსჯელობა მეტწილად ზოგადქრისტიანული თეოლოგიისა და ტრადიციის ფარგლებში მიმდინარეობს. მსმენელები ძირითადად, ცხადია, მართლმადიდებლები არიან და ქადაგებაც ზოგჯერ ასე იწყება: „მართლმადიდებელნო ძმანო ქრისტიანენო!". ამის მიუხედავად ავტორი არასდროს არ მიმართავს მართლმადიდებლობის უპირატესობის დემონსტრირებას და სხვა ქრისტიანული აღმსარებლობების დამცრობას, რაც ჰომილეტიკაში ხშირია და მას ჩვენს დროში და ჩვენში მამხილებელ ღვთისმეტყველებას ეძახიან. გაბრიელი ქადაგებებში თითქმის არ მიმართავს მამხილებელ ღვთისმეტყველებას, თუმცა იმ რეგიონში, დასავლეთ საქართველოში, სადაც იგი მოღვაწეობდა, სხვადასხვა კონფესიის ხალხი (როგორც იმ დროს ხშირად იტყოდნენ, - სხვადმადიდებლები) მაშინაც ცხოვრობდა და ერთი კონფესიის ეკლესიიდან მეორეში გადასვლა მაშინაც ხდებოდა. მქადაგებელს აინტერესებს არა იმდენად ის, თუ რა კონფესიის (აღმსარებლობის) წარმომადგენლად მიიჩნევს თავს მისი ესა თუ ის მსმენელი, არამედ ის, თუ რა დონეზე დგას ამ მსმენელის ქრისტიანული ზნეობა, რამდენად არიან ის ქრისტიანი, ან უნდა, რომ გახდეს ქრისტიანი. ესაა მიზეზი, რომ წმ. ეპისკოპოსი თითქმის განუწყვეტლივ საზოგადო და კერძო მორალის საკითხებზე გვესაუბრება. ამიტომაა, რომ მისი ქადაგებები დოგმატურ-პოლემიკური კი არა, არამედ სარწმუნოებრივ-ეთიკურია. მხილების ობიექტი არის არა სხვა კონფესია, არამედ საკუთარი კონფესიის ხალხი, ე.ი. საკუთარი მართლმადიდებელი ეკლესია (ეკლესია როგორც მორწმუნეთა კრებული). იგი ამხილებს და ებრძვის ისეთ მანკიერებებს, როგორიცაა სისხლის აღება, გულფიცხლობა, ადვილად მომდურაობა, შური, ამპარტავნება, მიცვალებულის დატირების გრძელი ცერემონია, რომელიც „ადვილად ასწავლის კაცს ფარისევლობას და პირმოთნეობას"; ანგარება, ჭორაობა და ა.შ. ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად ადამიანის ბუნების შესწავლაა საჭირო და ვის შეეძლო ამ მოვალეობისათვის უკეთ თავის გართმევა, თუ არა ფსიქოლოგიურ დისციპლინათა საუკეთესო მცოდნე მოძღვარს? დიდი საღვთისმეტყველო და ფსიქოლოგიური ალღო ჩანს ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრის დროს, როგორებიცაა ქურდობა, ცილისწამება, მართლმსაჯულება, პენიტენციური სისტემა, პირუტყვთა შებრალება, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და სხვ. ბევრ შემთხვევაში ჩვენ, თანამედროვე მკითხველებიც, ახლებური ანალიზისა და ინტერპრეტაციის მხილველნი და აღმქმელნი ვხდებით. მათი ავტორი სოციალური თვალსაზრისით ერთობ აქტიურ პიროვნებად წარმოგვიდგება, რასაც თვითონ, როგორც ბერი ეპისკოპოსი, ასე ხსნის: „თუმცა ჩვენ ვართ თქვენნი მოძღვარნი და წინამძღოლნი ზეციერისა მხოლოდ მიმართ სასუფეველისა, გარნა, ვითარცა მოძმეთა თქვენთა, არ შეგვიძლია, არ მივიღოთ მონაწილეობა ხორციელსაცა შინა თქვენსა ცხოვრებასა; ყოველნი თქვენი წარმატება და ბედნიერება ამ სოფელში გვახარებს ჩვენცა, გარნა ყოველი თქვენი მწუხარება და გაჭირვება ჩვენთვისცა არის სამწუხარო" (ქადაგებანი, II, ქუთაისი, 1913, გვ. 444). მსჯელობა, რომელიც ასეთ პოზიციას ეფუძნება, არამარტო შემეცნების ველს აფართოებს, არამედ გულსა და გონებას მსჭვალავს

და აფაქიზებს.

ქადაგებაში „ქურდობისათვის" წმ. გაბრიელი შეახსენებს მსმენელებს და შეგვახსენებს ჩვენც, რომ ღვთის ყოველ სიტყვას და მცნებას პირდაპირი და ვიწრო მნიშვნელობის გარდა აქვს „ფართო, მაღალი, ღრმა, ვრცელი აზრი და მნიშვნელობა". ამ პრინციპს თუ გავითვალისწინებთ, ადვილად მივალთ იმ ჭეშმარიტებამდე, რომ მცნება „არ მოიპარო!" მხოლოდ და მხოლოდ კონკრეტული საგნის (ფულისა თუ ნივთის) მალვით წაღებას და მითვისებას არ გულისხმობს. მღვდელმთავრის განმარტებით: „მპარავის მსგავსი შეიქმნება ის ხელმწიფის მოსამსახურე, ანუ ჩინოვნიკი, რომელიც დაუდევნელად და არა ერთგულად აღასრულებს თანამდებობასა თვისსა. ჯამაგირი და ჯილდო, რომელსაც იგი იღებს ხელმწიფისაგან, მოპარული აქვს ესრეთსა ჩინოვნიკსა. ვაჭარი, რომელი იღებს უზომო ფასს თავის საქონელში, ანუ, ნაცვლად კარგის საქონლისა, აძლევს ცუდს საქონელს და ფასს სრულს იღებს, ვგონებ, პირ-და-პირ უნდა შეირაცხოს მპარავთა შორის... ვინ იცის, იქნება წინაშე თვალთა მართლმსაჯულისა ღვთისა პირ-და-პირი ქურდი არ არის იმ ზომად ცოდვილი, ვითარცა ესრეთნი - ფარულად და მზაკვარებით აღმასრულებელნი მპარაობისა" (ახალი პუბლიკაცია და მიმოხილვა: პაპუაშვილი 2003: #7).

დღესაც აქტუალურია ისეთი მოვლენის დეფინიცია და კვალიფიკაცია, როგორიცაა ცილისწამება: მხოლოდ პიროვნული ცოდვაა ის თუ დანაშაულიც; მარტოოდენ მორალურ კატეგორიას განეკუთვნება იგი თუ იურიდიულსაც? ეპ. გაბრიელი, რომელსაც, როგორც თვითონ აღნიშნავს, თავადაც არაერთგზის უწვნევია ბეზღებისა და ცილისწამების სუსხი, თვლის, რომ ცილისწამება და მაბეზღრობა არის ინდივიდუალური ცოდვა და, მაშასადამე, მორალური კატეგორია. იგი ამბობს: „დაბეზღება, შესმენა არის ცილის წამება, ნაყოფი მტრობისა და სიძულვილისა, ხოლო საღმრთო წერილი შურისძიებას, მტრობას და ცილისწამებას დაამზგავსებს და უწოდებს კაცის კვლად. მაშასადამე, ამისთანა საშინელ ცოდვას მიიღებს თავის თავზედ დამბეზღებელი, შემასმენელი, და თავის განზრახვას და მიზანს მაინც ვერ მიაღწევს", რადგან ბეზღების ანონიმურ თუ ფსევდონიმურ წერილებზე მთავრობა უკვე აღარ რეაგირებსო (ახალი პუბლიკაცია და მიმოხილვა: პაპუაშვილი 2003: #8).

როგორც საზოგადოებრივი, ისე მეცნიერული თვალსაზრისით საყურადღებოა ეპ. გაბრიელის გამოხმაურებები ბატონყმობის გაუქმებასა და სასამართლო რეფორმაზე. იგი მიესალმა ამ დემოკრატიულ მოვლენებს, რადგან მათში ქრისტიანული იდეალების ხორცშესხმის საშუალება დაინახა.

გაბრიელ ქიქოძის ხასიათის სიმტკიცე და პრინციპულობა განსაკუთრებით ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით გამოჩნდა. ალექსანდრე II-ის 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტი რატომღაც ყველაზე გვიან ქუთაისის გუბერნიაში გამოცხადდა, - 1865 წლის 13 ოქტომბერს, რის შედეგადაც ბატონებმა ყმებზე უფლება დაკარგეს, ყმები კი გათავისუფლდნენ. ამ აქტის გამო იმერეთის ეპისკოპოსმა ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიაში საგანგებო ქადაგება წარმოთქვა; აღნიშნა, რომ ბატონყმობის ინსტიტუტი ქრისტიანობასთან შეუთავსებელი მოვლენაა, ხოლო მისი გაუქმება - კანონზომიერი და მისასალმებელი. იმის მიუხედავად, რომ ყმები ყველაზე გვიან იმერელ მებატონეებს ჩამოართვეს, ყველაზე დიდი პროტესტი ამ მებატონეებმა გამოხატეს. თავადებმა, რომლებმაც გაბრიელის ქადაგება მოისმინეს, ეკლესია ყვირილითა და დემარშით დატოვეს. ერთ თავადს, კანდელაკს, კიდეც დაუქადია, გამოვა თუ არა ეს ბატონი ტაძრიდან, ამ ხანჯლით გავათავებო. მაგრამ, როდესაც მღვდელმთავარს სახლისაკენ გზა მშვიდად გაუგრძელებია, მას განზრახვა სისრულეში ვერ მოუყვანია, - ხანჯალზე თითქოს ხელი შემახმაო. მკვლევარი ილია ჭყონია (ფსევდონიმი თ. მაგმაძე) დასძენს: თავადმა პეტრე მიქელაძემ ეპისკოპოსს პამფლეტი დაუწერა, რომელიც იმერეთის თავად-აზნაურებმა აიტაცეს

და დაიზეპირესო: „დედაშენი ღომსა ცეხვდა, მამაშენსა ედგა კეხი. თუ მღვდელმთავრად აწ გინდომოთ, კისერს დაგვკარ შენი ფეხი!" („ივერია", 1901, 8.XI, #233).

1864 წლის 20 ნოემბრის დადგენილება, რომელიც სასამართლო სისტემის განახლებას ისახავდა მიზნად, ქუთაისის ეპისკოპოსმა იმდენად მნიშვნელოვნად მიიჩნია, რომ იგი ქადაგების თემად აქცია (ახალი პუბლიკაცია და მიმოხილვა: პაპუაშვილი 2003: #9). მისი დაკვირვებით, რეფორმის მთავარი სიკეთე და ძველთან შედარებით უპირატესობა სასამართლო პროცესის მეტ სიცხადეში, გამჭვირვალეობაში, სიმარტივეში, სისწრაფესა და საჯაროობაში მდგომარეობს. იგი ამასთანავე მიგვანიშნებს პიროვნების ღირსების ხელშეუხებლობაზე, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვასა და მართლმსაჯულების სისტემაში საზოგადოების როლის გაფართოებაზე. „სად იყო იმერეთში, ანუ სად არის ახლაც ჯერედ სჯულის შიში, ცუდი საქმის მორიდება, ადამიანის პატივისცემა? ჩვენში პატივისცემა აქვს ტანისამოსს, სახელსა და სახესა; პატივისცემა აქვს სიმდიდრესა. ადამიანს კი პირადი პატივი არა აქვს... გარნა ამიერითგან იქმნება ახალმა სჯულმა (კანონმა. ნ. პ.) ჩვენ გვასწავოს პატივისცემა კაცისა, ვითარცა კაცისა, ადამიანისა". ამბობს მღვდელმთავარი და საზოგადოებას გააქტიურებისაკენ, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მართლმსაჯულებაზე სახალხო კონტროლის დამყარებისაკენ მოუწოდებს: „გარნა, ძმაო, თუ გსურს, ამ დიდ ცვლილებას მიეცეს წარმატება; თუ გსურს, რომ ახალმა წყობილებამ უმეტესი კეთილი გიყოს შენ და ყოველსა საზოგადოებასა, მიიღე გულითადი მონაწილეობა მას შინა. რა სახით?... ხშირად შეხვიდოდე სასამართლოში და ყურს უგდებდე, როგორ სწარმოებს სამართალი. თუ შეიტყო, რომ მოსამართლე გონიერად მიუძღვის სამართალსა, აქე, დალოცე, წაახალისე. თუ სიმრუდე რაიმე შეიტყო, თამამად გაამტყუნე; ბევრი იყვირე საზოგადოებაში...". დაგვეთანხმება მკითხველი, რომ ამ სიტყვებს ფართო შინაარსი და განმაზოგადებელი ძალაც აქვს და აქ საქვეყნო-სახელმწიფო საქმეებში საზოგადოების ქმედითად ჩართულობა იგულისხმება.

წმ. ეპისკოპოსი საქველმოქმედო და ჰუმანიტარულ საქმიანობაში პატიმრებთან ურთიერთობას საპატიო ადგილს უჩენდა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუკი მისი ქადაგებების ნუსხას გადავხედავთ. მკვლევრები იმოწმებენ მის უბის წიგნაკსაც, საიდანაც ირკვევა, რომ მეუფე წინასწარ საგულდაგულოდ ადგენდა სათნო საქმეების გრაფიკს და საზღვრავდა, როდის რა ვისთვის უნდა გაეკეთებინა: როდის უპოვართა და მიუსაფართათვის, როდის ხელმოკლე მოწაფეებისათვის, როდის ქვრივ-ობლებისათვის და როდის მსჯავრდადებულებისათვის. იგი ყოველ აღდგომასა და შობას დიდ სუფრას აწყობდა და ეკლესიის მთელ კრებულს იწვევდა, შემდეგ კი საჭირო თანხას ციხეებში უგზავნიდა პატიმრებს. ეპ. გაბრიელი 1869 წელს პატიმრების მატერიალური და სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესების კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტადაც დაინიშნა. ქადაგებები, რომლებიც საპყრობილეებში წარმოითქვა, აღბეჭდილია დანაშაულის, სასჯელისა და მონანიების ფსიქოლოგიური ანალიზით. იგი პატიმრებს ასეთი ახსნა-განმარტებით მიმართავს: თქვენი მთავარი უბედურება ის კი არ არის, რომ თქვენ იძულებით სასჯელს იხდით და სატუსაღოში ხართ, არამედ ის, რომ თქვენ ცოდვის ტყვეები და სულიერად ეშმაკისაგან დაპატიმრებულები ხართ. „ცოდვა არის პირველი თქვენი მტერი და დამატყვევებელი, ცოდვამ შემოგაგდო თქვენ აქ და მოგაკლო თქვენ პირველი სიკეთე კაცისა - თავისუფლება. დამიჯერეთ, ძმანო, როდესაც ცოდვას გააგდებ გულისაგან, თუ ოდესმე ცოდვისაგან დაგიხსნა ღმერთმან, მაშინ ამ საპყრობილედგანაც გამოხვალ... ძმაო ჩემო, დაჰფიქრდი შენ გულში, ჰკითხე შენს თავს: რისთვის დაგემართა შენ ეს უბედურება, ესე იგი საპყრობილეში შესვლა? ნუ ეფერები შენს თავს, ნუღარ დაჰმალავ შენს გულში შენს ბრალს. მოინანე შენი ცოდვა. ევედრე ღმერთს, რომ გამოგიყვანოს

სულიერისა ტყვეობისაგან, და მით განთავისუფლდე ხორციელისა ტყვეობისაგანაც. ვისაც ჭკუა სრულიად არ დაუკარგავს, ვინც სრულიად არ გამოსულა სირცხვილისაგან, ვისაც აჩნია კიდევ ცოტაოდენი ადამიანობა და კაცის სინიდისი, მას შეუძლია ისარგებლოს თავისი უბედურებით, თავისი უბედურება გადააქციოს ბედნიერებად: ამ საპყრობილესაგან გამოვიდეს განათლებული და განთავისუფლებული".

წმ. გაბრიელი გვარწმუნებს, რომ სიკეთისა და სათნოების განუყოფელი ნაწილი არის ცხოველების სიყვარული და პატივისცემა, ე.ი. საფუძველი იმისა, რასაც დღეს ცხოველების უფლებათა დაცვას ეძახიან, ზოგადად კი - ეკოლოგიას. მისმა ქადაგებამ „პირუტყვების შებრალებისათვის" საყოველთაო ინტერესი და მოწონება დაიმსახურა როგორც რუსულენოვან, ისე ინგლისურენოვან სამყაროში (რადგან ორივე ენაზე ითარგმნა). იგი ეყრდნობა სოლომონ ბრძენს, რომელიც ამბობს: „მართალნი სწყალობენ სულსა ცხოვართა თვისთასა, ხოლო ნაწლევი არა წმიდათა უწყალო" (იგავ. 12,10). ვინაიდან ამ წინადადების (ძველი ქართული თარგმანის) მეორე ნაწილი გაუგებარია (რას ნიშნავს ამ შემთხვევაში „ნაწლევი"?), მქადაგებელი ციტატას ჯერ ენობრივად განმარტავს* და თემის საგანს შემდეგ განიხილავს. მისი თქმით, სოლომონის სიტყვები შეიცავს „ზნეობრივ სწავლას", რაც სულაც არაა მეორეხარისხოვანი, როგორც შეიძლება ზოგიერთს მოეჩვენოსო. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენში, საქართველოში, რადგან აქ პირუტყვს „ერთობ უწყალოდ და უგვანოდ" ეპყრობიან, რაც „წინააღმდეგია კეთილისა და ქრისტიანულის ზნეობისა". მოყვანილია ასეთი მაგალითი: „ერთხელ ერთმა აქაურმა გადარეულმა აზნაურ-შვილმა, როდესაც მისმა უჭმელმა და გატანჯულმა ცხენმა ვეღარ შეიძლო კარგად გაჭენება აღმართზე, ჩამოხტა, სატევარი ჰკრა მუცელში და მოჰკლა". მღვდელმთავარი დასძენს: „კეთილი და მოწყალე ადამიანი არა თუ მხოლოდ კაცს უნდა სწყალობდეს, არამედ პირუტყვსაც; საქონელი და პირუტყვი არის გატანჯული და წამხდარი მხოლოდ იმ ქვეყანაში და იმ ხალხში, სადაც არ არის კეთილი ზნეობა, სწავლა. გაგვიგონია მოგზაურთა[გა]ნ, რომელთა უნახავთ განათლებული ევროპის ქვეყნები, რომელ მუნ მარტო შინაური პირუტყვის შეხედვა აჩვენებს კეთილ-ზნეობასა და განათლებას ადგილის მცხოვრებთა, ვინაითგან მუნ ყოველი საქონელი არის საკვირველად მოშენებული და გაკეთებული... ღმერთმან პირუტყვნი დაგვიმორჩილნა ჩვენ და მოგვცა ჩვენ მოსამსახურედ, ვითარცა იტყვის საღმრთო წერილი: მთავრობდეთ თევზთა ზღვათასა და ფრინველთა ცისათა და ყოველთა პირუტყვთა. გარნა ღმერთს ნება არ მოუცია ჩვენთვის, რომ ვტანჯოთ პირუტყვი". ღმერთი აქ წარმოდგენილია იმ მოსიყვარულე და ყოველთათვის მადლის მფენ მამად, რომელსაც არ ეამება, „რომ უფროსმან და უმჯობესმან მისმან ქმნილებამან, ესე იგი, კაცმან, სტანჯოს და აწვალოს უმცროსნი მისნი ქმნილებანი - პირუტყვნი" (ქადაგებანი, I, 1913, გვ. 448-451).

როდესაც გაბრიელ ეპისკოპოსის იმ სტრიქონებს ვკითხულობთ, რომლებშიც ახსნილია შრომის როლი და მნიშვნელობა, თვალწინ ილია ჭავჭავაძე წარმოგვიდგება და ვრწმუნდებით, რომ მათი შინაარსი მან სრულყოფილად განჭვრიტა და წარმოაჩინა:

,,რომ მარტო იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღაღადა ერთს თავისს დაუვიწყარ ქადაგებაში და სხვა არარა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქვეყანას მოჰფენოდა და ჩვენც გვეგრძნო, რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთავარი დავკარგეთ. „მე თვითონ არ მინახავსო, - ამბობს იგი, - ხოლო გამიგონია სარწმუნო კაცთაგან, რომელ ერთს ძველად-ძველს ეკლესიაში კედელზედ არის დახატული ყოვლად-წმიდა ღვთისმშობელი და მის წინ სძევს მატყლი, ხელში უჭირავს ტარი და ჰქსოვს მატყლსა. ნეტამც ჩემის თვალით მენახაო! - ჰნატრულობს ამ საუცხოვო ხატით აღტაცებული მღვდელმთავარი: - მაშინ მე გავიცნობდიო მეორესა კერძოსა საღმრთოისა მისის ხასიათისასა

და უდიდესს პატივსა და კრძალვასა მისდამი იგრძნობდა გული ჩემიო! რა კარგი რამ იქნებოდა, რომ ყოველსა ქალსა მარადის ჰქონდეს წინაშე თვალთა ესრეთი ხატი... ესრეთი ხატი იქნებოდა ჭეშმარიტი დროშა, ანუ სიმბოლო, ესე იგი ნიშანი ყოველის ქალის მოვალეობისა, ღირსებისა და მნიშვნელობისაო...~ განაღა შეიძლება ამაზე მეტი გაპატიოსნება, ზეაწევა შრომისა და გამრჯელობისა, რომელიც ბევრსა გვგონია, ვითომც წილად-ხდომილია მარტო მდაბიოსიო".

ჰქონდა თუ არა წმ. გაბრიელის მოღვაწეობასა და ქადაგებას ეკუმენური შინაარსი?

თემებს, რომელთა შესახებ ეპისკოპოსი გვესაუბრება, თანაბარი ინტერესით მოისმენს როგორც მართლმადიდებელი, ისე კათოლიკე და ევანგელისტი-პროტესტანტი (და ისმენდნენ კიდეც). ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეპ. გაბრიელის საზოგადო მოღვაწეობა და, გარკვეულწილად, სამოძღვრო პრაქტიკაც ინტერკონფესიურ ხასიათს ატარებდა. რადგან ასეა, რადგან მისი ქადაგებები მეტწილად ზოგადქრისტიანულ შინაარსს გამოხატავს, მათ, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ, სხვადასხვა რჯულისა და კულტურული ტრადიციის ხალხთა ინტერესი დაიმსახურეს. წმ. გაბრიელი ერთადერთი ქართველია, რომლის ქადაგებები უცხო ენებზე - რუსულად და ინგლისურად - არის თარგმნილი. აი, რა უთქვამს ივანე ზურაბიშვილისათვის კიევის უნივერსიტეტში ერთ ბულგარელ სტუდენტს: გაბრიელ ეპისკოპოსის სახელი დიდად არის ცნობილი ბულგარეთში, მე მისი ქადაგებებიც წამიკითხავს, თუმცა საქართველოს შესახებ სხვა არაფერი ვიცი (ზურაბიშვილი 2006:177-78).

ღრმა საღვთისმეტყველო შინაარსთან ერთად ალბათ ინტერკონფესიურმა ხასიათმაც განაპირობა ის ფაქტი, რომ ეპ. გაბრიელის ქადაგებებით არამართლმადიდებელი სასულიერო პირებიც დაინტერესდნენ. ანგლიკანმა პასტორმა (მღვდელმა) სოლომონ სიზარ მალანმა, რომელიც ითვლება ქართველოლოგიის პიონერად ინგლისში, გაბრიელ ეპისკოპოსის 15 ქადაგება ქართულიდან ინგლისურად თარგმნა და 1867 წელს გამოაქვეყნა. ამასთანავე ირკვევა, რომ იმ დროს ანგლიკანურ ეკლესიას დიდი ეკუმენური მიზნები დაუსახავს და ეკლესიების გაერთიანებისათვის ზრუნვა დაუწყია. მან, პირველ ყოვლისა, მართლმადიდებელ ეკლესიასთან დიალოგი და მისი ტრადიციის პირველწყაროთა საფუძველზე გაცნობა მოინდომა. პასტორი მალანი ამ წამოწყების სამსახურში იდგა, რასაც ქართული საზოგადოება და, კერძოდ, გაზეთი „დროება" მიესალმა (შარაძე 1984: 20-22). მიესალმა ამას გაბრიელ ეპისკოპოსიც, რომელმაც იგი, ანგლიკანი მღვდელი სოლომონი, 1872 წლის 23 მაისს ქუთაისის რეზიდენციაში დიდი პატივისცემით მიიღო. ამ ვიზიტს ინგლისელი მკვლევარი დევიდ ლენგი ასე აღწერს: ,,მან ერთი კვირა დაყო ეპისკოპოსთან; თან ახლდა წირვასა და ღვდელმსახურებაზე... დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რიტუალის ზვიადმა იერმა და გალობის ხმატკბილობამ, ხელზე მთხვევის ცერემონიამ და სხვა. თვითონ მალანმა ქართულად წარმოთქვა ქადაგება საკათედრო ტაძარში. გაბრიელ ეპისკოპოსთან მუსაიფში მან განმარტა ინგლისური ლოცვანის დიდი ნაწილი. საინტერესო ურთიერთობა დაამყარა მან ზოგიერთ ბერთან, რომელთაც დაათვალიერებინეს დავით მეფის აგებული ტაძარი, სადაც მერვე საუკუნის ხელნაწერი სახარება იყო" (ლენგი 1957: 140). ანგლიკანი მღვდლის მართლმადიდებელთა ღვთისმსახურებაში მონაწილეობა, სახარების წაკითხვა (სტუმრობის პირველ დღეს მალანმა იოანეს მე-11 თავი, ლაზარეს აღდგინების ამბავი წაიკითხა), ქადაგების წარმოთქმა და ლოცვის აღვლენა სხვა არაფერია, თუ არა ეკუმენური თანალოცვა. ამდენად, მითითებული გამოკვლევის მიხედვით, წმ. გაბრიელი, შესაძლებელია, იყოს ის პირველი ქართველი ეპისკოპოსი, რომელმაც ანგლიკანური ეკლესიის წარმომადგენელთან ერთად ილოცა.

წმ. გაბრიელის მიერ დასავლეთ ევროპის

მოსახლეთა ზნეობრივი და ინტელექტუალური ცხოვრების მაღალი შეფასება, რის თაობაზეც თავის ქადაგებებში ხშირად გვესაუბრება და ეს ზემოთ მოყვანილი ციტატებიდანაც თვალსაჩინოა, გვარწმუნებს, რომ ის აღნიშნული სამყაროს სარწმუნოებრივ და სულიერ ცხოვრებაში ბევრ მისაბაძ ფაქტსა და მოვლენას ხედავდა. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მას თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა სხვა ტრადიციის ქრისტიანებთან, სხვადმადიდებლებთანაც. ამას, პასტორ მალანთან ურთიერთობის გარდა, მისი ბიოგრაფიის ერთი, თუმცა ტრაგიკული დეტალი მეტყველებს. როდესაც მისი მეუღლე გარდაიცვალა (1856 წ.), მან ჩვილი ბავშვი გასაზრდელად მიაბარა „ძიძას, ნემცის ქალს, ნემცების კოლონიაში", მაგრამ ის და მეორე ბავშვიც, რომელიც სემინარიის ერთ ცოლშვილიან მღვდელს მიაბარა, მალე გარდაიცვალნენ (კელენჯერიძე 1913: 57). ცნობილია აგრეთვე მისი მეგობრობა მარჯორი და ოლივერ უორდროპებთან. 1895 წელს ისინი მეუფე გაბრიელს, უკვე უკურნებელი სენით შეპყრობილს, ქუთაისში ეწვივნენ. ცნობილია მარჯორის სიტყვები: „მნახველი გულდამშვიდებით ვერ შეხვდებოდა მისი ცხოვრების დაისს". მას ინგლისიდან მღვდელმთავრისთვის მოუწერია: „„დრონი იცვლებიან მრავალგვარად და ჩვენც დროთა კვალად. უცვლელია მხოლოდ მეგობრობა" (კიკნაძე 2009: 25).

წუთისოფლიდან მარადისობაში

წმ. მღვდელმთავარი 1896 წლის 26 იანვარს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გარდაიცვალა. ნეშტი მეორე დღეს ქუთაისის საკათედრო ტაძარში (სობოროში) გადაასვენეს. გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი და წაიკითხეს ანდერძი, რომელშიც გამოხატულია შენდობა ყველას მიმართ და ვედრება ყველას მიმართ, რათა მასაც შეუნდონ ცოდვანი ნებსითნი და უნებლიენი.

ამ დოკუმენტის საქველმოქმედო მუხლების თაობაზე ჟურნალი „კვალი" იუწყებოდა: „გასაკვირველია, რომ ეპისკოპოსი, ბერი, განდეგილი თითქმის მთელ თავის შეძლებას სასწავლებლებს უტოვებს, მხოლოთ სასწავლებლებს. დიახ, ასეთი ძლიერი იყო მისი უმეცრებისადმი სიძულვილი! ასე ძლიერი იყო სიყვარული სწავლისა და განათლებისადმი! მან მთელი თავის სიცოცხლითა, მოღვაწეობით და ბოლოს ანდერძით გადაჭრით დაამტკიცა, რომ ზნეობრივი მხარე და სათნოება მაღლა ვერ აიწევს, თუ მას წინ არ მიუძღვის გონება საღი, განვითარებული".

იმ დროს ქუთაისში უჩვეულო დიდთოვლობა იყო (თითქოს ბუნებაც გლოვობდა და ადამიანებს თანაუგრძნობდა). ამის გამო დაკრძალვა ერთი თვის შემდეგ, 10 მარტს, გელათის ტაძარში შედგა. იქ ერმა და ბერმა, ათასობით ქალმა და კაცმა, მართლმადიდებელმა და სხვადმადიდებელმა, ქრისტიანმა და არაქრისტიანმა მოიყარა თავი. ეს გასვენება ერებისა და სარწმუნოებების თანალმობის აქტად გადაიქცა. რაბინს ხავერდის ყდაში ჩასმული ათი მცნება მიჰქონდა. წარმოითქვა გულში ჩამწვდომი სიტყვები, მათ შორის ილია ჭავჭავაძისა. ვრცელი და შესანიშნავი სიტყვა წარმოთქვა ეგზარქოსმა ვლადიმირმა, რომელშიც მან განსვენებულს უწოდა „თავისი სამწყსოს თანამოძმე", „ჭეშმარიტად ხე კეთილ-ჩრდილოვან-ფოთლოვანი, მრავალნაყოფიერი და კეთილნაყოფიერი" (ტექსტი _ კელენჯერიძე 1913: 239-248), მაგრამ საზოგადოება გაანაწყენა იმის გამო, რომ ქუთაისის სომხური ეკლესიის დეკანოზს იარალიანცის ამბიონზე ასვლისა და სიტყვის თქმის საშუალება არ მისცა.

მწერალი დავით კლდიაშვილი, რომელიც ამ ინციდენტს დეტალურად აღწერს, ამბობს: ეგზარქოსის „საქციელი პირდაპირ შეურაცხყოფა იყო დიდებული მოღვაწისა, რომელიც, ამგვარი რამე რომ შეხვედროდა სადმე სიცოცხლეში,

მთელი თავისი არსებით წინაუდგებოდა და სასტიკად შეაჩვენებდა. ეპისკოპოზი გაბრიელი მეტად დაშორებული იყო ისეთ თვისებებს, რომელიც გამოიჩინა სარწმუნოების უმაღლესმა წარმომადგენელმა. იგი უყვარდა ხალხს მისი

კლერიკალური მიმართულების გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ იგი იყო ნამდვილი გულწრფელი საზოგადოებრივი მოღვაწე, მებრძოლი ბერი, რომელსაც არცერთ თავის ქადაგებაში ეშმაკი არ უხსენებია...“ (დ. კლდიაშვილი, მემუარები, თბ., 1932, გვ. 10-12).

საყოველთაო გლოვას ქართველი კათოლიკეებიც შეუერთდნენ. ახალციხის მღვდელმა, ისტორიკოსმა და საზოგადო მოღვაწემ, ივანე გვარამაძემ, განსვენებულის სულის საოხად 29 იანვარს პანაშვიდი გადაიხადა და სამგლოვიარო სიტყვა წარმოთქვა, რომელშიც აღნიშნა: ეპისკოპოსი გაბრიელი არის „ჩვენი დროის ერთადერთი ღირსი მეცნიერი, რომელმაც აამაღლა ზნეობრივად საიმერეთო თუ საქართველო, გაანათლა საკმარისად სასულიერონი, ჩააფიქრა ყველა სწავლულნი, გონება გაუხსნა ღვთისმსახურებაზედ ყოველ სამღვდელო პირს...“ („საბა”, 1995, V).

ლიტერატურა

ამბროსი ხელაია რუსეთის საეკლესიო პოლიტიკის შესახებ აფხაზეთში, გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ნ. პაპუაშვილმა, თბ., 2006

თ. ბუაჩიძე, ნიკოლაი დობროლიუბოვი _ არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცენზენტი. „მნათობი“, 2001, #11-12

თ. ბუაჩიძე, ნების თავისუფლების პრობლემა გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში“. გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი 2007, #2

გაბრიელ ეპისკოპოსი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები, თარგმნეს ო.ტაბიძემ, თ.ბუაჩიძემ, ვ.გოგობერიშვილმა, თბ., 1993

გაბრიელი: წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი (ქიქოძე) და აფხაზეთი, კრებული შეადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ჯემალ გამახარიამ, თბ., 2007

ვ. გურგენიძე, მღვდელმთავარი, მეცნიერი, განმანათლებელი (გ. ქიქოძის დაბადების 160 წლისთავის გამო). საღვთისმეტყველო კრებული, 1985, #3 (რემინგტონზე)

ნ. ა. დობროლიუბოვი, ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები _ თხზულება არქიმანდრიტ გაბრიელისა (ქიქოძისა) (ალ. ქუთელიას თარგმანი). ,,მნათობი”, 1943, #7

ც. ედილაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ. ,,მნათობი”, 2001, #3-4

ი. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, თბ., 2006

მ. კელენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა (მისი დრო, ცხოვრება და მოღვაწეობა), ტ. 1, ქუთაისი, 1913

ვ. კიკნაძე, ეროვნული და საკაცობრიო პრობლემატიკა XIX ს. ქართველი სასულიერო მოღვაწეების შემოქმედებაში (ეპისკოპოსები: გაბრიელ ქიქოძე, კირიონ საძაგლიშვილი, პეტრე კონჭოშვილი, ღვთისმეტყველების კანდიდატი მიხეილ საბინინი), თბ., 2009

ზ. კიკნაძე, ბიბლიის თანამედროვე თარგმანისათვის. „სიტყვა“, 1898, #1

დ. მ. ლენგი, ქართველოლოგიური კვლევა-ძიება ოქსფორდში. ,,ცისკარი”, 1957, #4

თ. მუმლაძე, გაბრიელ ქიქოძის რელიგიურ-ფილოსოფიური შეხედულებები, ნაწ. 1,2,3, თბ., 2005

ა. ნიკოლაძე, გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), თბ., 1990

ნ. პაპუაშვილი, კორნელი კეკელიძე პირველ საეკლესიო კრებაზე და ამ კრების ორი კანონიკური დოკუმენტის ატრიბუციის საკითხი. ქრისტიანულ-არქეოლოგიური ძიებანი 1, თბ., 2008

ნ. პაპუაშვილი, გაბრიელ ეპისკოპოსი <> შესახებ. „თავისუფლება“, 2003, #7

ნ. პაპუაშვილი, წმ. ეპისკოპოსი გაბრიელი ცილისწამების შესახებ. „თავისუფლება“, 2003, #8

დ. სუმბაძე, „შესდექ, რუსეთის ხელმწიფევ!“. მოგონება _ იმერეთის ეპისკოპოსის ხსოვნისათვის. „ახალი ეპოქა“, 2003, 14-20.XI, #45

დ. სუმბაძე, მოგონება ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძეზე, ანუ ეროვნული დიდხასიათობის პიროვნული გამოვლენა, თ., 2004

ნ. ტარყაშვილი, „არა განგცეთ შენ, სიქადულო ჩვენო მართლმადიდებლობაო“. ,,კვირის პალიტრა”, 1999, 1-7.XI, #44

ლ. ფრუიძე, მოამაგე და მზრუნველი. „ახალი ეპოქა“, 2003, 14-20.XI, #45

ალ. ქუთელია, ნ. ა. დობროლიუბოვი არქიმანდრიტ გაბრიელის 1„ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ შესახებ. „მნათობი“, 1943, #7

თ. შაკიაშვილი, საქართველოს საეგზარქოსოს ისტორიიდან. სამეცნიერო შრომების კრებული, თბ., 1999 გ. შარაძე, ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე, თბ., 1984

დიდი საღვთისმეტყველო და ფსიქოლოგიური ალღო ჩანს ისეთ საჭირბოროტო საკითხებზე საუბრის დროს, როგორებიცაა ქურდობა, ცილისწამება, მართლმსაჯულება, პენიტენციური სისტემა, პირუტყვთა შებრალება, სოციალური სამართლიანობა, თანასწორობა და სხვ. ბევრ შემთხვევაში ჩვენ, თანამედროვე მკითხველებიც, ახლებური ანალიზისა და ინტერპრეტაციის მხილველნი და აღმქმელნი ვხდებით. მათი ავტორი სოციალური თვალსაზრისით ერთობ აქტიურ პიროვნებად წარმოგვიდგება, რასაც თვითონ, როგორც ბერი ეპისკოპოსი, ასე ხსნის: „თუმცა ჩვენ ვართ თქვენნი მოძღვარნი და წინამძღოლნი ზეციერისა მხოლოდ მიმართ სასუფეველისა, გარნა, ვითარცა მოძმეთა თქვენთა, არ შეგვიძლია, არ მივიღოთ მონაწილეობა ხორციელსაცა შინა თქვენსა ცხოვრებასა; ყოველნი თქვენი წარმატება და ბედნიერება ამ სოფელში გვახარებს ჩვენცა, გარნა ყოველი თქვენი მწუხარება და გაჭირვება ჩვენთვისცა არის სამწუხარო“ (ქადაგებანი, II, ქუთაისი, 1913, გვ. 444). მსჯელობა, რომელიც ასეთ პოზიციას ეფუძნება, არამარტო შემეცნების ველს აფართოებს, არამედ გულსა და გონებას მსჭვალავს და აფაქიზებს.

ნუგზარ პაპუაშვილი

ბასილი დიდი - შუამავალი ამქვყნიურსა და ზეციურს შორის

დემოსთენე სავრამისი

რელიგიის სოციოლოგი და მართლმადიდებელი თეოლოგი, კელნის უნივერსიტეტის პროფესორი. სავრამისი იყო პირველი მართლმადიდებელი ავტორი დასავლეთის აკადემიურ სივრცეში, რომელმაც დაიწყო მსჯელობა მართლმადიდებელი ეკლესიის სოციალური სწავლების ფორმირებისა და შექმნის აუცილებლობაზე. მისივე ავტორობით შეიქმნა უმნიშვნელოვანესი ნაშრომები მართლმადიდებელი ეკლესიის, სასულიერო პირებისა და მონაზვნური ეთიკის სოციალური ანალიზის შესახებ.

ბასილი კესარიელი (330–379) მრავალი ნიჭის მქონე პიროვნებად ითვლება: ის იყო თეოლოგი, მონაზონი, ეპისკოპოსი, ქველმოქმედი, ბერძნული ჰომილეტიკური ხელოვნების ფუძემდებელი, ბიზანტიური მონაზვნობის სოციალური ფორმის წეს-განგების შემოქმედი, სამონასტრო და დიაკონიის ცენტრების დამფუძნებელი. მთელი ცხოვრების განმავლობაში იგი მკაცრ ასკეტად და სოციალური მსახურების უბადლო შემოქმედად დარჩა. ბასილი საკუთარი მდიდარი ნიჭიერებითა და შემოქმედებით მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: სახარებისეული სწავლების საფუძველზე იესო ქრისტეში საზოგადოებისა და ადამიანის განახლებას.

თუ ვეცდებით, ბასილი კესარიელის ღვაწლი დღევანდელი ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიების თვალსაწიერიდან შევაფასოთ, შეიძლება იგი „მემარცხენე ბანაკის“ წარმომადგენლად დავინახოთ, ვინაიდან მთელი თავისი სიცოცხლე საზოგადოების პრივილეგირებული ჯგუფების ე.წ. ისტებლიშმენტთან დაპირისპირებულად გვევლინება. იგი მუდამ გამოთქვამდა საზოგადოების ჰუმანიზებისა და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლისთვის მზადყოფნას, იქნებოდა ეს მისი მწყემსმთავრული სიტყვა თუ საქმე. „ის, რაც განსაკარგავად მოგეცა, – წერს კაპადოკიელი მღვდელმთავარი, – მასზე შენ პრეტენზიას გამოთქვამ, როგორც პირად საკუთრებაზე? ვინც ერთ შესამოსელს მიითვისებს, მას ქურდი ეწოდება. მაგრამ ის, ვინც შიშველს არ შემოსავს, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეეძლო, განა სხვა სახელს იმსახურებს? მშიერს ეკუთვნის პური, რომელსაც შენ მალავ! შიშველს – შესამოსელი, რომელსაც სკივრში ინახავ! ფეხშიშველს – ფეხსაცმელი, რომელსაც შენთან ჩრჩილი ჭამს! გაჭირვებულს – ფული, რომელიც მიწაში გაქვს ჩამარხული!“. ამ სიტყვებით, რომლითაც ბასილი მდიდრებს მიმართავს, გვაჩვენებს არა მხოლოდ იმას, თუ რატომ არის იგი ღარიბებისადმი განსაკუთრებით სოლიდარული. ეს და სხვა ამგვარი ქადაგებები კარგად აღგვიწერს მის წინააღმდეგობას უზრუნველი იზოლაციონიზმისადმი და იმას, თუ რატომ ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანების უდაბნოში განმარტოებას, კონკრეტულად კი საზოგადოებრივი ერთობისაგან ქრისტიანთა იზოლირებას და რატომ აკეთებდა არჩევანს მონაზვნობის კინოვიურ (თანაცხოვრებით) ფორმაზე.

პირველი საუკუნეების ქრისტიანებისათვის ჭვრეტითი ცხოვრების ხარჯზე ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ფართო მნიშვნელობის მინიჭება ერთგვარ საცდურად იყო აღქმული. ეს ნიშნავდა ყოველწამიერ მზადყოფნას უკანასკნელი დღისათვის, შინაგან სულიერ განწმენდას და თავისუფლებას ყოველივე ამქვეყნიური საზრუნავისაგან. დღევანდელი გადასახედიდან „ამა სოფლის“ ასეთი რადიკალური უარყოფა ადამიანის მხრიდან ახალი აღთქმისეული გზავნილის არასწორად გაგების შედეგია,

ვინაიდან ქრისტოცენტრულობა იმავდროულად ანთროპოცენტრულობასაც მოიაზრებს. ასე რომ, ინტერესი ადამიანებისა და არსებული საზოგადოებისადმი, სადაც თითოეულ ქრისტიანს უწევს ყოფნა, მნიშვნელობადაკარგული ვერ იქნება.

ბასილი დიდი მონასტრულ ერთობაში ხედავდა შესაძლებლობას ჭეშმარიტი ქრისტიანული კომუნის დაფუძნებისა, რომელთა წევრები სრულიად უპოვრები იქნებოდნენ. მათ უნდა შესძლებოდათ, ღარიბებისათვის გაენაწილებინათ თავისივე საქმიანობით მოპოვებული. ამით კაპადოკიელი ეპისკოპოსი ეკონომიკური ეთოსის სრულიად ახალ, სოლიდარობით განმსჭვალულ საზრისს ავითარებდა. იგი არის ქრისტიანული შინაარსით გაგებული „კომუნის“ ფუძემდებელი, სადაც ყოველივე ეს ადამიანების ქრისტიანული სიყვარულის ერთობად არის დანახული. სწორედ ასეთი საზრისის მქონე „კომუნა“ გახდა მონაზონთა გაერთიანების სოციალური სტრუქტურის მთავარი მახასიათებელი. ასე შექმნა მან მონაზვნობისათვის ქრისტიანულ იდეალებზე დაყრდნობილი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც პირველქრისტიანული „სიყვარულის კომუნის“ ან „ერთობის“ ხელახლა აღმოჩენას გულისხმობდა. ეს ხედვა სასიკეთო ნაყოფის მომტანია თანამედროვე საზოგადოების ეთიკური მსოფლმხედველობისთვისაც. ორ ბურჯს, ლოცვასა და შრომას დაყრდნობილი ღმერთისა და მოყვასის მსახურება ბასილის მიერ გამოჭედილი მონაზვნური სოციალური ეთოსია, როგორც სათნოება „სრულყოფილი სრულყოფილთა შორის“. ასეთი საზოგადოების აზრს კარგად მაშინ ჩავწვდებით, როდესაც გავაცნობიერებთ საფრთხეებს, რომლებიც იმ ეპოქაში ქრისტიანობის წინაშე არსებობდა. ქრისტიანობამ ინსტიტუციონალიზებულ ფორმაში იმპერიის ეკლესიად გარდასახვისას თავდაპირველი ღირებულებებიდან ბევრი რამ დაკარგა, მაგრამ, ამასთანავე, ძლიერ საგრძნობი გახდა ეკლესიის წიაღში დაბადებული საპროტესტო მოძრაობები, რომლებიც სულიერი საზრისის ძიებაში ყოველგვარ მატერიალურ ღირებულებას უკუაგდებდა.

ბასილი შეიძლება შეფასდეს ზეცისა და მიწის დამაკავშირებელ ადამიანად. მისი მოღვაწეობის უნივერსალური მნიშვნელობა ისაა, რომ მან ქრისტიანობის, თეოლოგიისა და ეკლესიის საზრისი ამქვეყნიურ სამყაროსთან, არსებულ საზოგადოებასთან თუ კულტურასთან მიმართებაში სრულად დადებითი გავლენით დატვირთა. მანვე მისცა პირველი ბიძგი აქტიურ სამონაზვნო ასკეზას. ამით იგი ერთ-ერთი პირველია შექმნილ სამყაროზე მომართული და არა მისი უარმყოფელი ასკეზის ფორმის და შინაარსისა, რომელიც თითოეული პიროვნების და გარშემო მყოფი სოციუმის განახლებას მოიაზრებს. მოგვიანებით ეს რელიგიური პრაქტიკა საზოგადოებრივ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში ისე აქტიურად გამოიყენებოდა, რომ გარკვეულწილად განსაზღვრა დასავლური სამყაროს მოცემულობა. [1]

ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაში სწავლება იესო ქრისტეს შესახებ (ქრისტოლოგია) მჭიდრო კავშირშია ადამიანის შესახებ სწავლებასთან (ანთროპოლოგია). ეს მნიშვნელოვანი აღმოჩნდა აღმოსავლეთში ღვთისმოსაობის შინაარსისა და საეკლესიო ცხოვრების ფორმებისათვის. აქვე აღსანიშნავია აღმოსავლურ

1. ავტორი ხშირად ლაპარაკობს აღმოსავლეთის ეკლესიაში აღმოცენებულ სოციალურ წესრიგზე, მათ შორის მონაზვნებს შორის. მოგვიანებით ეს დასავლეთმა კარგად შეითვისა, ხოლო თავად აღმოსავლეთის ეკლესიებში სხვადასხვა მიზეზებით დაივიწყეს.

თეოლოგიაში განღმრთობის შესახებ სწავლების განსაკუთრებულობა. განღმრთობის (თეოზისი) საზრისი არის ადამიანის მიახლება ღვთაებრივთან და ღმერთთან სულიერ-მისტიკური შეერთება. თავდაპირველად სწორედ აქ ვხვდებით სრულად ასკეზის სულიერზე ორიენტირებულ პრაქტიკას და ამა სოფლის უარყოფას. მატერიალურ სამყაროსთან რადიკალური ფორმით კავშირის გაწყვეტა და თავის გარიყვა ერთგვარი დანაშაულია ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს წინაშე. ღმერთის გზავნილი ადამიანისადმი „მოშენდით და მომრავლდით" თუ „დაამუშავეთ და დაიცავით" უფლისგან ბოძებული სიცოცხლის სპირიტულ მარტოობაში არსებობის სურვილი ანაცვლებს.

ბიზანტიურ ეკლესიაში ხშირად იჩენდა თავს მტრული დამოკიდებულება ამქვეყნიური სამყაროსადმი. ამგვარი მცდარი მოსაზრება მუდამ გასდევდა აღმოსავლურ ღვთისმოსაობის პრაქტიკას, თითქოსდა ის ქრისტეს სწავლებაში იყო ჩადებული და საბოლოოდ სამყაროსადმი მტრობად ითარგმნებოდა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს, რამაც მსგავსი მოსაზრებანი დაჩქარებული ტემპებით განავრცო, წარმოადგენს ეკლესიის პოლიტიკური თეოლოგია, რომელიც იმპერატორისა და მისი გამარჯვების თეოლოგიურ ლეგიტიმაციას ახდენდა, რის კარგი მაგალითიცაა კონსტანტინე დიდის ეპოქა.

საიმპერატორო კარის მიერ ეკლესიის მმართველი ელიტის აღზევება მრავალი ქრისტიანისათვის იყო პრობლემური, რადგან თეოლოგია და ეკლესია ამქვეყნიურ ძალაუფლებასთან ზავდებოდა. ქრისტიანების ერთი ნაწილისაგან ეს მოქმედება დიდ საფრთხედ აღიქმებოდა. მათ დაინახეს მოსალოდნელი შედეგები და გადაწყვიტეს, პროტესტის რადიკალური ფორმებით შესწინააღმდეგებოდნენ დამკვიდრებულ საეკლესიო წესრიგს, რომელიც მათივე ხედვით ყოველგვარი ნაყოფის გარეშე რჩებოდა. „პროტესტანტები" უდაბნოში გავიდნენ და დაიბადა მონაზვნობის პირველსახე, ხოლო იმპერიული ქრისტიანობა, თეოლოგია და ეკლესია ბიზანტიურ ისტებლიშმენტს დარჩა.

არსებულმა საზოგადოებრივმა წესრიგმა ჭეშმარიტი ქრისტიანები მარტო დატოვა, შეიძლება ითქვას, მიატოვა. ასე აღმოცენდა „ამა სოფლის უარყოფის" თითქოსდა დადებითი ხედვა, რომელიც თავისი თეოლოგიური არგუმენტებით სულიერი თუ ხორციელი ცხოვრებისათვის მისაღებ ნორმად იქცა. გარდა ამისა, ის აღმოსავლურ ხასიათს შეესაბამებოდა, რომელიც უბიძგებდა არა აქტიური ბრძოლისაკენ არსებული უსამართლო ეკონომიკური ან საზოგადოებრივი წესწყობილების წინააღმდეგ, არამედ ძირითადად პასიურ არსებობას ანიჭებდა უპირატესობას. შემდგგომ ეს ყველაფერი იმედგაცრუებაში, გულის გატეხასა თუ მატერიალურ სამყაროსთან მარცხში ვლინდებოდა. ასე წარმოიქმნა ხილული (შექმნილი) სამყაროს (ამქვეყნიურობის) ერთგვარი „გაუფასურების" საღვთისმეტყველო არგუმენტები. ხოლო პასიური და არასოციალური შინაარსის მქონე ასკეზა ქრისტიანული ცხოვრების უმაღლეს ფორმად გამოცხადდა.

თავდაპირველად ბასილი დიდის მოღვაწეობა იმ ქრისტიანების მსგავსი იყო, ვისაც ცხოვრების იდეალურ წინაპირობად მიაჩნდა ამქვეყნიურის უკუგდება, განმარტოება და სიმშვიდეში ლოცვით მოსაგრეობა, სადაც თვითმიზნად ქცეული ღვთისადმი მსახურება უპირობოდ და მთელი სისრულით იქნებოდა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იგი თავდაპირველად ეგვიპტელ, პალესტინელ, სირიელ, კესარიელ და მესოპოტამიელ ასკეტებთან ცდილობდა სულიერ განვითარებას, და განდეგილ ცხოვრებას ეწეოდა. „ასე დავადექი გზას პონტოსკენ, – ყვება ბასილი, – რათა იქ მეპოვა სულიერად მოსასვენებელი ადგილი, რომელიც ჩემს ცხოვრებას შეესაბამებოდა". თუ რატომ აღმოჩნდა მისთვის ეს ადგილი მისაღები, ვკითხულობთ წერილის შემდგომ ეპიზოდში: „აქ მე სახარების კითხვისას გავიაზრე, უმაღლესი ნაბიჯი სრულყოფილებისაკენ, ჩემი ქონების გაყიდვა და გაჭირვებული ძმებისათვის განაწილება. უარყოფა ამქვეყნიური მატერიალური

ცხოვრებისა, რათა მისდამი ყოველგვარი შინაგანი დამოკიდებულებისგან თავი დამეხსნა. მე მსურდა, ისეთი ძმა მეპოვა, რომელმაც ასეთი მოსაგრეობა უკვე აირჩია და ამით მე ამ წუთისოფლის გზაზე წარმიძღვებოდა“.

მარტომყოფობამ და მდუმარებამ ბასილის დაკმაყოფილება დიდხანს ვერ შეძლო. მან მალევე გააცნობიერა, რომ სიყვარული არა მხოლოდ ღვთისადმი მიმართულ ჭვრეტასა და მოუკლებელ ლოცვაში გამოიხატება, აგრეთვე საქმით გამოხატულ მოყვასის ქმედით სიყვარულში და ამის სისრულეში მოყვანა სწორედ საზოგადოებრივ ცხოვრებაშია შესაძლებელი. განმარტოებული იაზრებს, რომ ადამიანის ღმერთთან ვერტიკალური შეხვედრა არ უნდა მოხდეს ადამიანის მოყვასთან ჰორიზონტალური დამოკიდებულების ფასად, რომელიც ყველანაირად უნდა იქნეს მოფრთხილებული. სწორედ ამ თვალსაზრისიდან გამოიჭედა ბასილი დიდისეული აქტიური სამონაზვნო ასკეზის იდეა, რამაც საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი სიყვარულის, შრომის საჭიროებისა და მისი ღირებულების შესახებ სრულიად განსხვავებული შეხედულებები წარმოშვა.

ბასილი ასკეტურ საზოგადოებრივ ცხოვრებას თეოლოგიური და პედაგოგიური არგუმენტებით ამყარებდა. ეგვიპტეში, პალესტინასა და სირიაში დაგროვებული გამოცდილების საფუძველზე იგი მივიდა დასკვნამდე, რომ ანაქორეტული (განდეგილური) ცხოვრება ადამიანის ბუნებას ეწინააღმდეგებოდა და ასეთი სულიერი მოღვაწეობა საზოგადოებაზე პოზიტიური გავლენის შესაძლებლობას არ იძლეოდა. მისი აზრით, არავის ძალუძს იზოლირებული ყოფით საკუთარი საჭიროებები დაიკმაყოფილოს, ამასთანავე მარტოობაში სიყვარულის მცნების სისრულეში მოყვანა ძალზე ძნელია. ასევე, არც ის უნდა მიეცეს დავიწყებას, რომ საზოგადო სიკეთე ყოველ ადამიანს ეკუთვნის, ეს საერთო სიკეთეებია და მხოლოდ ერთეულების მიერ მათი მისაკუთრების შემთხვევაში ის უნაყოფო იქნება. დაბოლოს, მარტოობაში მყოფი ადამიანი, რომელიც არავის ემსახურება და არც სულიერად გამოიცდება, მარტივად შეიძლება ამპარტავნებაში ჩავარდეს, სადაც ის საკუთარ სულიერ სრულყოფილებასაც ირწმუნებს.

ადამიანს შეუძლია იცხოვროს, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა მხოლოდ საზოგადოებრივი სიკეთის შემოქმედებით, ვინაიდან იგი საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე, სოციალური არსებაა. არ არსებობს ინდივიდის ცალკეული შრომითი მოქმედება, ყოველი საქმე კონკრეტული საზრისის მქონეა და საერთო სიკეთის მქონე მიზნებისაკენ არის მიმართული. სწორედ ამიტომ მონაზონი სოციალური ერთობის ნაწილი უნდა იყოს, სადაც ის არ იქნება საზოგადოებისაგან გამოყოფილი, როგორც დანაკარგი. კორინთელთა მიმართ პირველი ეპისტოლის მეცამეტე თავის მეხუთე მუხლი გვასწავლის: „სიყვარული...არ უხეშობს, თავისას არ ეძიებს, არ მრისხანებს, არ განიზრახავს ბოროტს!“ ბასილისათვის ეს ხდება საფუძვლიანი არგუმენტი ასოციალური თუ ანტისოციალური მონაზვნობის ფორმის საწინააღმდეგოდ. ერთმანეთის ტვირთის ზიდვა და სამართლიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური წესრიგი, რომელიც სხვების დახმარების შესაძლებლობას გაძლევს, ღვთის საჩუქარია.

ურთიერთსიყვარული, როგორც უმაღლესი კანონი, სრულად უნდა იყოს მსაზღვრელი როგორც მონასტრული საზოგადოების შიდა ცხოვრებისა, ასევე საზოგადოების ნებისმიერი საქმიანობისა. პირველი მცნების, ღვთის სიყვარულის შემდეგ, მოყვასის სიყვარული ბასილის ეთიკური ხედვის ცენტრში დგას, რომელიც სამართლიანად იწოდება ქრისტიანულად. მოყვასის სიყვარულის აღსრულებით ვიცავთ ღვთის სიყვარულის მცნებას, ხოლო მეორით ისევ პირველს ვუბრუნდებით. „ვისაც უფალი უყვარს, მას მოყვასიც უყვარს“ – ამ ორ მცნებაზეა დაფუძნებული ყოველივე. სიყვარული არის „პირველი და უმშვენიერესი სულიერი ნაყოფი“.

განდეგილი სიყვარულის მცნებას სრულყოფილად ვერ ასრულებს, რადგან ის მხოლოდ საკუთარი საჭიროებებისათვის ზრუნავს, ხოლო მონასტრებში მონაზვნები ერთგვარ „სიყვარულის კომუნიზმს“ ამკვიდრებენ, რასაც ჩვენ ფიქრებით პირველ ქრისტიანთა კომუნებთან მივყავართ. მონასტერში გავცრელებული მიმართვის ფორმა „ძმა“ ან „და“ ნათლად გამოხატავს იქ არსებულ თანასწორობასა და ერთიანობას. აქ კვლავ ბრუნდება ბასილის თვალსაზრისი, რომ ყოველი ადამიანი ერთმანეთისათვის და ან ძმაა, რომლებიც ერთი მამისაგან არიან შობილნი.

მოგვიანებით ეპისკოპოსად გამორჩეული ბასილი სამართლიანადაა მიჩნეული ბიზანტიური მონაზვნობის მამად და სოციალური შინაარსით დატვირთული სამონასტრო წეს-განგების შემოქმედად. მასში საზოგადოებისათვის კეთილად მსახურების იდეალი განსაკუთრებულადაა ხაზგასმული, ხოლო მონაზონი ქრისტეს მიმბაძველად არის წარმოდგენილი. ეს მონაზვნის არათუ ამქვეყნიური სამყაროსადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულების ამყარებს, პირიქით, გაუცხოებულ, ან მტრულ დამოკიდებულებას ერის ადამიანებისა თუ ამსოფლიური ცხოვრებისადმი გარდაქმნის და მეგობრობის (დიალოგის მოსურნე) შინაარსს სძენს.

აქედან გამომდინარე იკვეთება ბასილისეული მონაზვნობის ორი დიადი მიზანი:

მონაზონი უნდა გახდეს ღვთის მსგავსი. კერძოდ, მისი განცხადებული მიზანია სათნოებათა აღსრულებით სწრაფვა საღვთო სრულყოფილებისაკენ.

სიყვარული – მონასტრული ცხოვრების ფუნდამენტი და მონაზვნის ღვთივბოძებული შესაქმისადმი დამოკიდებულების ერთგვარი საზომია. მას შემდეგ, რაც ქრისტიანი მონაზვნური ცხოვრების გადაწყვეტილებას იღებს, მისთვის მსახურება უმთავრეს ამოცანად იქცევა. ამ ხედვის გათვალისწინებით მონაზვნობის არა მხოლოდ სოციალური ფორმა გამოიძერწა, არამედ მონასტრები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში სოციალური მსახურების წამყვან ცენტრებად იქცა.

ბასილის თვალთახედვიდან გამომდინარე ნებისმიერი პიროვნება „საზოგადოებრივი ერთობის განუყოფელი ნაწილია“ და, იმავდროულად, „პოლიტიკური“ არსებაა. ქრისტიანის როლი და მნიშვნელობა ამ ერთობაში ადამიანისათვის ღვთივბოძებული ტალანტით მსახურებაა, რომელიც ღვთივსათნო ცხოვრების ფუნდამენტურ სათნოებად აღირაცხება. ქრისტიანის ვალდებულებად ცხადდება გაჭირვებაში მყოფი ადამიანების უპირობო მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით კაპადოკიელი ეპისკოპოსი თავად გახდა სოციალური მსახურების საუკეთესო მაგალითი. გრიგოლ ღვთისმეტყველი მას „ქვრივების დამცველად“, „ობლების მშობლად“, „ღარიბების მეგობრად“, „უცხოთა ძმად“ და „სნეულთა მკურნალად“ მოიხსენიებდა. ბასილის მსახურება სნეულთა, გაჭირვებულთა, ობოლთა თუ სხვა დაუცველი თანამოქალაქეებისადმი თავის გამოხატულებას ფართო კარიტატიულ აქტივობებში პოვებდა და გულისხმობდა ქალაქ კესარიაში გაჭირვებულთა ცენტრის, მოხუცთა თავშესაფრების და საავადმყოფოების დაარსებას.

ქრისტეს სიტყვები „მე მოვედი არა იმისათვის, რომ მემსახურონ, არამედ იმისათვის, რომ მე ვემსახურო“ მონაზვნების კანონი უნდა გამხდარიყო, სადაც ღვთის ნება მოყვასის მსახურებას მოითხოვს. მონასტრებისათვის ლოცვასთან ერთად მსახურება გახდა განუყოფელი ღვაწლი, რაც ეკლესიის სოციალურ მსახურებაში გაგრძელდა, მსგავსად მსახურებისათვის მოსული იესო ქრისტესი. მთელი ისტორიის მანძილზე ასე ჩნდებოდნენ მონაზვნები იქ, სადაც გაჭირვება და სიღარიბე სუფევდა.

მონასტრების სოციალური მსახურება, ბასილის ქმედითი სწავლების შედეგად საზოგადოებაში ეკონომიკური გაჭირვების შესამცირებლად ერთგვარ საშუალებად იქცა და დიდი გავლენა მოახდინა თვით ოფიციალურ ეკლესიასა და რიგ ეპისკოპოსებზეც. საავადმყოფოები, მოხუცთა თავშესაფრები, ობოლთა სახლები, გაჭირვებულთა გამოკვების ადგილები, მიუსაფართა და დევნილთა

სოციალური ცენტრები მონაზვნების სადიაკვნო აქტივობის ნათელ გამოხატულებად იქცა. რომ არა ათასობით უანგაროდ დასაქმებული მონაზონი, ბიზანტიაში კარიტატიული და სოციალური მსახურების ამ მასშტაბით განხორციელება წარმოუდგენელი იქნებოდა. გარდა ამისა, ეკლესიის მამები და მონაზვნები წინასწარმეტყველური გზავნილებითა და სოციალური კრიტიკით გამოირჩეოდნენ არსებული საზოგადოებრივი უსამართლობის მიმართ. ბიზანტიის იმპერიაში საავადმყოფოების უდიდესი ნაწილი მონასტრებთან იყო დაფუძნებული, თავად მონაზვნები კი სნეულთა მსახურნი და ხშირად მკურნალნიც იყვნენ. შეკითხვაზე, თუ რატომ უნდა გათავისუფლდეს ამა სოფლისაგან მონაზონი, პასუხი იყო: vita contemplativa-ს (ჭვრეტის) მიზანი vita activa-სთვის (საქმიანობისათვის) მომზადებაა. ასე ერთვებოდნენ კარიტატიულ ღვაწლში მონაზვნები და გაჭირვებული ადამიანების მეგობრის როლს ირგებდნენ. ასე გახდა მონაზვნობა ორგანიზებული სოციალური მსახურების პიონერი და ბიზანტიის იმპერიის სოციალურ ისტორიაში სამართლიანად დაიმსახურა უმნიშვნელოვანესი ადგილი.

ბასილი დიდის სწავლებანი, განსაკუთრებით კი მისი მონაზონთა წეს-განგება, როგორც თავად აღნიშნავს, მხოლოდ მონაზვნებისათვის კი არა, ერში მცხოვრები ადამიანებისათვისაც არის დაწერილი. ასევე, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შეუძლებელია, მონაზვნებისათვის შექმნილი ამგვარი სახის წეს-განგებანი ყველა დროში ერთნაირად იყოს ქმედითი. ვინაიდან ასეთი წესები სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული საზოგადოებრივი წყობილების ჟამს იქმნებოდა, დღევანდელობას ხშირად არ შეესაბამება. აღმოსავლეთის საეკლესიო ცხოვრებაში ისე გამყარდა გვიანი იზოლაციონისტური მონაზვნური ეთოსი, რომ სრულიად შეიზღუდა ადგილი სხვა ეთიკური შეხედულებებისათვის.[2]

ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის მანძილზე მართლმადიდებელ ეკლესიაში მონაზვნებისათვის გამოძერწილი ეთოსი გაგებულ იქნა როგორც უნივერსალური ქრისტიანული ეთიკა მონასტერსა და მის კედლებს გარეთ მყოფი ადამიანებისათვის. ყოველივე ამან დააბრკოლა აღმოსავლეთში ქმედითი სოციალური სწავლებისა და ეთიკის წარმოქმნა-განვითარება, რომელიც ადამიანის მიერ ამა სოფლის აღქმის პოზიტიურად მიმღებლობასა და სახარებისეულ შუქზე გააზრებისაკენ იქნებოდა მიმართული, რაც საზოგადოებასა და სოციალურ ცხოვრებაში ქრისტიანების პასუხისმგებლობით სავსეთანამონაწილეობამდე მიგვიყვანდა. იმავდროულად ბასილი დიდის სწავლება მონასტრული ერთობის სოციალური საზრისისა და ამოცანების შესახებ დავიწყებას მიეცა, შემდგომ ისტორიულ პერიოდში აღმოსავლეთში გარკვეულწილად მოხდა მონაზვნობის და მისი იდეალების დაცემა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბასილის სოციალური სწავლება და ეთიკა, სამწუხაროდ, აღმოსავლეთში უნაყოფო მიწაზე დაეცა, ხოლო

2. საკითხი ეხება ბასილი დიდის სოციალურ ეთოსსაც, რომელიც ფაქტობრივად გვიანი პერიოდის მართლმადიდებელ ეკლესიებში დავიწყებას მიეცა.

დასავლეთში, პირიქით, მოხდა მისი გააზრება და ხორცშესხმა. ეს დასავლეთის ეკლესიაში „ლოცვისა და შრომის“ ერთმანეთისაგან მოუცილებელ სამონაზვნო კანონში გამოიხატა. ისტორიკოსები და სოციოლოგები სამართლიანად უსვამენ ხაზს, რომ ცნობილი ფორმულის – ora et labora – ქმედითუნარიანობა ერთ-ერთი მიზეზთაგანია, დასავლური სამყაროს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარებისა. კათოლიკური მონასტრული ორდენების გარდა, შრომას (კონკრეტულ პროფესიებსაც) გაცილებით დიდი საზრისი მარტინ ლუთერმა შესძინა. ასევე, კალვინისტურმა მკაცრმა, შინაგანზე ორიენტირებულმა ასკეზამ, როგორც აუცილებელმა ნაწილმა დასავლური ყოველდღიური ყოფისა, მყარად განსაზღვრა ადგილობრივი შრომის კულტურა. სწორედ აქედან მომდინარეობს მოსაზრება, რომ მონაზვნური ფორმულა „ლოცვა და შრომა“ უფრო დასავლური ფენომენია და მისი საწყისები ბენედიქტელთა ორდენთან არის კავშირში. თუმცა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის აღმოსავლური ქრისტიანული ღვთისმეტყველების მონაპოვარია და კვლავაც ელოდება გაცოცხლებას ადგილობრივ მართლმადიდებელ ეკლესიებში თუ მორწმუნეთა სოციალურ ერთობაში.

წყარო: Savramis Demosthenes, Zwischen Himmel und Erde. Die orthodoxe Kirche heute, Stuttgart 1982, 57-66.

გერმანულიდან თარგმნა შოთა კინწურაშვილმა.

სიყვარული – მონასტრული ცხოვრების ფუნდამენტი და მონაზვნის ღვთივბოძებული შესაქმისადმი დამოკიდებულების ერთგვარი საზომია. მას შემდეგ, რაც ქრისტიანი მონაზვნური ცხოვრების გადაწყვეტილებას იღებს, მისთვის მსახურება უმთავრეს ამოცანად იქცევა. ამ ხედვის გათვალისწინებით მონაზვნობის არა მხოლოდ სოციალური ფორმა გამოიძერწა, არამედ მონასტრები ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში სოციალური მსახურების წამყვან ცენტრებად იქცა. ბასილის თვალთახედვიდან გამომდინარე ნებისმიერი პიროვნება „საზოგადოებრივი ერთობის განუყოფელი ნაწილია“ და, იმავდროულად, „პოლიტიკური“ არსებაა. ქრისტიანის როლი და მნიშვნელობა ამ ერთობაში ადამიანისათვის ღვთივბოძებული ტალანტით მსახურებაა, რომელიც ღვთივსათნო ცხოვრების ფუნდამენტურ სათნოებად აღირაცხება. ქრისტიანის ვალდებულებად ცხადდება გაჭირვებაში მყოფი ადამიანების უპირობო მხარდაჭერა. ამ თვალსაზრისით კაპადოკიელი ეპისკოპოსი თავად გახდა სოციალური მსახურების საუკეთესო მაგალითი. გრიგოლ ღვთისმეტყველი მას „ქვრივების დამცველად“, „ობლების მშობლად“, „ღარიბების მეგობრად“, „უცხოთა ძმად“ და „სნეულთა მკურნალად“ მოიხსენიებდა. ბასილის მსახურება სნეულთა, გაჭირვებულთა, ობოლთა თუ სხვა დაუცველი თანამოქალაქეებისადმი თავის გამოხატულებას ფართო კარიტატიულ აქტივობებში პოვებდა და გულისხმობდა ქალაქ კესარიაში გაჭირვებულთა ცენტრის, მოხუცთა თავშესაფრების და საავადმყოფოების დაარსებას.

დემოსთენე სავრამისი

მოყვასის მსახურება

დიტრიხ ბონჰიოფერი
(1906-1945)

დიტრიხ ბონჰიოფერი (1906-1945) იყო ლუთერული ეკლესიის პასტორი, თეოლოგი და ნაციზმის წინააღმდეგ მებრძოლი მშვიდობის აქტივისტი. ის ღრმად იაზრებდა სარწმუნოების, ქრისტიანული თემის, მადლისა და ეთიკის საკითხებს დღევანდელობის კონტექსტში, იმას, თუ რა ადგილი აქვს ქრისტეს ჩვენს დღევანდელ ცხოვრებაში. სასტიკმა ნაცისტურმა რეჟიმმა ენით აუწერელი ტანჯვა მიაყენა კაცობრიობას და ბონჰიოფერი იძულებული გახდა, აქტიურად ჩართულიყო ჰიტლერული რეჟიმთან ბრძოლაში. ციხეში გატარებული ორი წლის შემდეგ, ომის დასრულებამდე სულ რამდენიმე კვირით ადრე, დიტრიხ ბონჰიოფერი სიკვდილით დასაჯეს.

წინამდებარე სტატია ფრაგმენტია დიტრიხ ბონჰიოფერის წიგნისა „თანაცხოვრება“, რომელიც მან სასულიერო სემინარიის ხელმძღვანელობის დროს დაწერა და ის ავტორის ქრისტიან საძმოსთან თანაცხოვრებისა და თანამოღვაწეობის პირად გამოცდილებას ეფუძნება. ბონჰიოფერი პრაქტიკულ რჩევებს იძლევა იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვა ადამიანის მიღება ქრისტეში და მისდამი მსახურება ოჯახსა თუ ქრისტიანულ თემში.

●

„ერთი აზრი კი დაებადათ: ვინ იყო უდიდესი მათ შორის“ (ლუკა 9:46). ჩვენ ვიცით, ვინ თესავს ამ აზრს ქრისტიანულ საზოგადოებაში. თუმცა, შესაძლოა, საკმარისად არ ვითვალისწინებთ იმას, რომ არცერთი ქრისტიანული საზოგადოება არ ყალიბდება ისე, რომ ეს აზრი თავიდანვე უთანხმოების თესლად არ აღმოცენდეს. ამრიგად, ქრისტიანული ერთობის დასაწყისშივე წარმოიქმნება ეს უხილავი, ხშირად გაუცნობიერებელი, სამკვდრო-სასიცოცხლო მეტოქეობა. „აზრის დაბადებაც“ კი საკმარისია ნებისმიერი საზოგადოების გასანადგურებლად.

ამგვარად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ყოველმა ქრისტიანულმა თემმა საფუძველშივე თამამად გაუსწოროს თვალი ამ საშიშ მტერს და მყისვე აღმოფხვრას. აქ დროის დაკარგვა არ შეიძლება, რადგან, როგორც წესი, სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანი ხვდება სხვას, ის სტრატეგიულ პოზიციებს იმყარებს მის წინააღმდეგ. არსებობენ ძლიერი და სუსტი ადამიანები. თუ კაცი ძლიერი არ არის, ის მაშინვე სუსტის უფლებებს მოირგებს ძლიერის წინააღმდეგ. არსებობენ ნიჭიერი და უნიჭო, მარტივი და რთული ადამიანები, ღვთისმოსავები და ნაკლებად ღვთისმოსავები, კონტაქტურები და მარტოსულები. განა უნიჭოები ისევე არ იკავებენ თანამდებობებს, როგორც ნიჭიერები, რთული ან მარტივი ადამიანები? და თუ მე არ ვარ ნიჭიერი, მაშინ შეიძლება, ასე თუ ისე, ღვთისმოსავი მაინც ვიყო; ან, თუ ღვთისმოსავი არა ვარ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არ მინდა, ვიყო. განა არ ხდება ხოლმე, რომ სოციალურად აქტიური ინდივიდი წარმატებას აღწევს და თავისი წარმატებით მორიდებულ, მარტოსულ ადამიანს ჩრდილში აყენებს? შესაბამისად, განა ეს მარტოსული ადამიანი თავისი სოციალურად აქტიური მოწინააღმდეგის დაუძინებელი მტერი ვერ გახდება, რომ ის საბოლოოდ დაამარცხოს? არსებობს კი ვინმე, ვინც ინსტინქტური თავდაჯერებით არ ეძიებს იმ უსაფრთხო ადგილს, რომელსაც არასდროს არავის დაუთმობს და რომლის დასაცავადაც მთელი თავისი თვითგამორკვევის ინსტინქტით არ იბრძოლებს?

ეს ყველაფერი ყველაზე თავაზიან და ღვთისმოსავ გარემოშიც კი შეიძლება მოხდეს. თუმცა მნიშვნელოვანი ისაა, რომ ქრისტიანულმა თემმა იცოდეს, რომ მის წიაღშიც კი სადღაც აუცილებლად დაიბადება აზრი იმის შესახებ, „თუ ვინაა უდიდესი მათ შორის“. ეს არის ბუნებითი ადამიანის ბრძოლა თვითგამართლებისთვის, რომელსაც ის მხოლოდ სხვებთან საკუთარი თავის შედარებაში, სხვების გმობასა და განკითხვაში პოულობს. თვითგამართლება და სხვების განსჯა ისეთსავე ურთიერთკავშირშია, როგორც მადლით გამართლება და სხვათა მსახურება.

მდუმარება

ხშირად საკუთარ უკეთურ აზრებს ყველაზე ეფექტიანად ჩვენ მაშინ ვებრძვით, როდესაც მათ საერთოდ არ გამოვთქვამთ. თავის მართლების სულის დაძლევა მხოლოდ მადლითაა შესაძლებელი. სხვისი განკითხვისაგან თავის დაღწევას სწორედ მაშინ შევძლებთ, თუ მათ არ გამოვთქვამთ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ცოდვებს ვაღიარებთ. ამას ჩვენ მოგვიანებით განვიხილავთ. ის, ვისაც გაჩუმება შეუძლია, თავის გონებასაც მართავს და სხეულსაც (იხ. იაკობი 3:2). ამგვარად, ეს ყველა ქრისტიანულ საძმოში სასურველ წესად უნდა დაინერგოს, რომ თითოეულ ინდივიდს ეკრძალებოდეს მრავალსიტყვაობა იმის შესახებ, რაც თავს გადახდება. ეს აკრძალვა პირად რჩევა-დარიგებას არ მოიცავს. ამ საკითხსაც მოგვიანებით უფრო ვრცლად შევეხებით. მოყვასის შესახებ ზურგს უკან ლაპარაკი, დახმარებისა და კეთილი სურვილითაც კი, არ შეიძლება, რადგანაც სწორედ ამ დროს შემოძვრება ხოლმე ძმებს შორის სიძულვილის სული.

აქ არ არის ამ წესის ნაკლოვანებების განხილვის ადგილი. ეს ნაკლოვანებები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს. თუმცა აზრი მკაფიო და ბიბლიურია: „დაჯდები და შენს ძმაზე ლაპარაკობ და დედაშენის შვილის შერცხვენას ცდილობ. ეს ჩაიდინე შენ და მე გავჩუმდი; გეგონა, რომ მეც შენსავით ვარ; გამხილებ და შენს თვალწინ დაგიმტკიცებ“. (ფსალმ. 49:20-21).

„ნუ იტყვით, ძმანო, ერთურთის ძვირს; ვინც ძმის ძვირს იტყვის და განსჯის ძმას, რჯულის ძვირს იტყვის და განსჯის რჯულს; ხოლო თუ რჯულს განსჯი, რჯულის აღმსრულებელი კი არა ხარ, არამედ მსაჯული. ერთია რჯულმდებელი და მსაჯული, რომელსაც ძალუძს თქვენი ცხონებაც და წარწყმედაც; შენ კი ვინა ხარ, რომ განსჯი მოყვასს?“ (იაკობი 4:11-12)

„ნურავითარი უგვანი სიტყვა ნუ დასცდება თქვენს ბაგეს, არამედ მხოლოდ კეთილი შესაგონებლად, რათა მადლი მიაგოს მსმენელთ“ (ეფეს. 4:29).

იქ, სადაც ლაპარაკში ამგვარი დისციპლინა თავიდანვე მოქმედებს, თითოეულ ინდივიდს განუმეორებელი აღმოჩენის გაკეთების შანსი აქვს. ახლა მას უკვე შეუძლია, შეწყვიტოს სხვა ადამიანზე გაუთავებელი დაკვირვება, განსჯა, დაგმობა და ისეთი ადგილის მიჩენა, სადაც თვითონ მასზე აღმატებული იქნება და ამით მის პიროვნულ ღირსებას შელახავს. ახლა მას შეუძლია, ნება დართოს თავის ძმას, რომ მან იარსებოს, როგორც სრულიად თავისუფალმა პიროვნებამ, ისეთმა,

როგორადაც ის ღმერთმა შექმნა. მისი თვალსაწიერი ფართოვდება და, თავისდა გასაოცრად, პირველად ხედავს, თავისი ძმების თავზე გამობრწყინებულ ღვთაებრივი შემოქმედებითი დიდების სიუხვეს. ღმერთს ადამიანი ისე არ შეუქმნია, როგორადაც მე შევქმნიდი. მან ის ძმად იმიტომ კი არ მომივლინა, რომ მე მასზე ვიბატონო და ვმართო, არამედ იმისთვის, რომ მის თავს ზეარსებული შემოქმედი ვიპოვო. ახლა ეს სხვა ადამიანი იმ თავისუფლების მეშვეობით ხდება სიხარულის საგანი, რომლითაც ისაა შექმნილი, თუმცა მანამდე ის მხოლოდ უბედურების და ტანჯვის მომტანი იყო. ღმერთს არ სურს, რომ მე სხვა ადამიანი ჩემთვის მოსაწონი სახით, ანუ ჩემს ხატად აღვიქვა; უფრო სწორად, ჩემგან თავისუფალმა ღმერთმა ეს ადამიანი საკუთარ ხატად შექმნა. შეუძლებელია, წინასწარ ვიცოდე, თუ როგორ გამოვლინდება ღვთის ხატება სხვა ადამიანებში. ეს ხატება თითოეულ შემთხვევაში სრულიად ახალი და უნიკალური ფორმით ვლინდება, რომელიც მხოლოდ ღმერთის თავისუფალი და უზენაესი შემოქმედებიდან გამომდინარეობს. მე ეს გამოვლინება შეიძლება უცნაურად და უღმერთოდაც კი მომეჩვენოს, მაგრამ ღმერთი ყოველ ადამიანს თავისი ჯვარცმული ძის მსგავსად ქმნის. ყველაფრის მიუხედავად, მე ეს სურათიც კი, რა თქმა უნდა, უცნაურად და უღმერთოდ მეჩვენებოდა, სანამ მას ჩავწვდებოდი.

ძლიერი და სუსტი, ბრძენი და სულელი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ღვთისმოსავი თუ ურწმუნო - საზოგადოების მრავალფეროვანი წევრები აღარ წარმოადგენენ საუბრის, განსჯის და გაკიცხვის ობიექტებს და, შესაბამისად, ისინი თავის მართლების მიზეზს აღარ იძლევიან. ახლა ისინი უფრო ურთიერთგახარებისა და ერთმანეთის მსახურების მიზეზი ხდებიან. საზოგადოების თითოეულ წევრს თავისი განსაკუთრებული ადგილი ენიჭება, თუმცა ეს ის ადგილი კი აღარ არის, სადაც მას ყველაზე წარმატებით შეუძლია საკუთარი თავის დამკვიდრება, არამედ აქ მას შეუძლია, საუკეთესოდ აღასრულოს თავისი მსახურება.

ქრისტიანულ თემში ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რომ თითოეული ინდივიდი ჯაჭვის შეუცვლელი რგოლია. ჯაჭვი მხოლოდ მაშინ არ წყდება, თუ ყველაზე პატარა რგოლიც კი საიმედოდ არის გადაბმული. თემი, რომელიც უმოქმედო წევრების არსებობას დაუშვებს, დაღუპვისთვის არის განწირული. თუმცა მას კეთილდღეობა ელის იმ შემთხვევაში, თუ მის ყოველ წევრს განსაზღვრული ამოცანა აქვს შესასრულებელი თემისათვის, რათა მათ შეეჯვების მომენტშიც ახსოვდეთ, რომ ისინი უსარგებლო და გამოუსადეგარნი არ არიან. თითოეულ ქრისტიანულ თემს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ არა მხოლოდ სუსტებს სჭირდებათ ძლიერები, არამედ არც ძლიერებს შეუძლიათ სუსტების გარეშე არსებობა. სუსტების განადგურება საზოგადოების აღსასრულის მომასწავებელია.

ქრისტიანული თემი, თავის გამართლებით კი არა, რაც ბატონობასა და ძალაზე მიანიშნებს, არამედ მადლით უნდა მართლდებოდეს და, შესაბამისად, მსახურების სულისკვეთებით უნდა წარიმართებოდეს. როგორც კი ადამიანი ღვთის წყალობას მიიღებს, ის მხოლოდ მსახურებისკენ მიისწრაფვის. განმსჯელის მაღალი ტახტი მას ვეღარ აცდუნებს. მას გული დაბლა მიუწევს მდაბლებისა და შეჭირვებულებისკენ, რადგან სწორედ აქ იპოვა ის ღმერთმა: „მაღლად მხედობას ნუკი ცდილობთ, არამედ ემსგავსეთ მდაბალთ, ბრძენკაცებად ნუ მოგაქვთ თავი“ (რომ. 12:16).

თავმდაბლობა

მან, ვისაც მსახურება სურს, ჯერ ის უნდა ისწავლოს, რომ საკუთარ თავზე ნაკლებად იფიქროს. „ნურავინ იფიქრებს თავის თავზე უფრო მეტს, ვიდრე უნდა ფიქრობდეს“ (რომ. 12:3). ეს უმაღლესი და ყველაზე სასარგებლო გაკვეთილია იმისათვის, რომ ჭეშმარიტად ვიცნობდეთ საკუთარ თავს და მოვიძულოთ ის. „საკუთარ თავზე წარმოდგენის არქონა და სხვებზე კარგი და მაღალი შეხედულება დიდი სიბრძნე და სრულყოფილებაა“ (თომას კემპელი). „მაღლად მხედობას ნუკი ცდილობთ“ (რომ. 12:16).

მხოლოდ მას, ვინც ცოდვათა მიტევებით ცხოვრობს იესო ქრისტეში, შეუძლია, სწორად და მდაბლად იფიქროს საკუთარ თავზე. მას ეცოდინება, რომ მისი სიბრძნის ფიალა მაშინ აივსო, როდესაც იესო ქრისტემ მას ცოდვები მიუტევა. მას ახსოვს პირველი ადამიანის ამბიცია, რომელსაც უნდოდა გაეგო, თუ რა იყო კარგი და ცუდი და საკუთარ სიბრძნეში წარწყმდა. ის პირველი ადამიანი იყო კაენი – ძმის მკვლელი. მისი დანაშაული კაცობრივი სიბრძნის ნაყოფი იყო. რაკი ქრისტიანს უკვე აღარ ხიბლავს საკუთარი სიბრძნე, მას არც საკუთარ სქემებსა და გეგმებზე ექნება დიდი წარმოდგენა. ის მზად არის, რომ მოყვასის ნება უფრო მნიშვნელოვნად და აქტუალურად მიიჩნიოს, ვიდრე საკუთარი. რით იქნება ეს მნიშვნელოვანი, თუკი ჩვენი გეგმები ჩაიშლება? არ ჯობია, მოყვასს ვემსახუროთ, ვიდრე ჩვენი ნება აღვასრულოთ?

თუმცა, არა მარტო მოყვასის ნება, არამედ მისი პატივი და დიდებაც ჩემსაზე უფრო მნიშვნელოვანია. „როგორ შეგიძლიათ ირწმუნოთ, თუკი ერთმანეთისაგან იღებთ დიდებას, მაგრამ არ ეძებთ დიდებას, რომელიც ერთი ღმრთისგან არის?“ (იოანე 5:44) საკუთარი დიდების წყურვილი რწმენას ხელს უშლის. ის, ვინც საკუთარ დიდებას ეძიებს, ღმერთს და მოყვასს აღარ დაეძებს. მერე რა, რომ უსამართლობის გამო ვიტანჯები? განა უარეს სასჯელს არ ვიმსახურებდი ღვთისგან, ის რომ მოწყალედ არ მომპყრობოდა? განა იმ უსამართლობათა შორისაც კი, რაც გადამხდენია, ათასი სამართლიანობა არ გამოვლენილა? განა ჩემივე თავმდაბლობისთვის არ არის სასარგებლო და სასურველი, რომ ასეთი წვრილმანი ბოროტების ჩუმად და მოთმინებით ატანა ვისწავლო? „სულგრძელი კაცი სჯობს ამპარტავანს“ (ეკლ. 7.8).

ის, ვინც მადლით გამართლდება, მზად არის შეურაცხყოფა და იარები უდრტვინველად მიიღოს ღმერთის მწვრთნელი და მადლიანი ხელისგან. არცთუ ისე კარგის მანიშნებელია, როდესაც ამის მოსმენას ვეღარ ვახერხებთ უმალ იმაზე მითითების გარეშე, რომ პავლე მოციქულმაც კი თავისი უფლებები ახსენა, როგორც რომაელმა მოქალაქემ და რომ იესომაც კი, იმ კაცს, რომელმაც მას სილა გააწნა, მიუგო: „რატომ მცემ?“ (იოანე 18:23). ნებისმიერ შემთხვევაში, ვერცერთი ჩვენგანი ვერ მოიქცევა იესო ქრისტესავით და პავლე მოციქულივით, თუ ჯერ მათ მსგავსად ჩაგვრაში მდუმარებას არ ვისწავლით. გულისწყრომის ცოდვა, რომელიც ასე სწრაფად იფეთქებს ძმობაში, ისევ და ისევ იმაზე მიუთითებს, თუ რაოდენ დიდია ჯერ კიდევ განდიდების ამაო ჟინი და ურწმუნოება ამა თუ იმ თემში.

დაბოლოს, ერთი უკიდურესობა უნდა აღინიშნოს. თავმოყვარეობაზე უარის თქმა და დაბალ ფენასთან ასოცირება, სრული პირდაპირობითა და მიკიბ-მოკიბვის

გარეშე ნიშნავს, რომ საკუთარი თავი ყველაზე დიდ ცოდვილად მიიჩნიო. ეს ბუნებით ადამიანშიც ისევე იწვევს წინააღმდეგობას, როგორც მორწმუნე ქრისტიანში, რადგან ეს თითქოს გადაჭარბებულად და არადამაჯერებლად ჟღერს. თუმცა პავლემ საკუთარ თავზე თქვა, რომ ის ცოდვილთა შორის პირველი იყო (I ტიმ. 1.15); მან ეს იმ კონკრეტულ მომენტში თქვა, როდესაც მოციქულის მსახურებაზე ლაპარაკობდა. შეუძლებელია, ცოდვის ჭეშმარიტმა აღიარებამ ამ უკიდურესობამდე არ მიგვიყვანოს. თუ ჩემი ცოდვა სხვების ცოდვებთან შედარებით უფრო მცირედ ან ნაკლებ საზარლად მეჩვენება, ესე იგი ჩემს ცოდვილობას საერთოდ ვერ ვაღიარებ. აუცილებელია, რომ ჩემი ცოდვა ყველაზე უარესად, ყველაზე მძიმედ და ყველაზე გასაკიცხად მიმაჩნდეს. ძმური სიყვარული სხვათა ცოდვების მისატევებლად მრავალ მიზეზს გამონახავს; მხოლოდ ჩემს ცოდვას არ აქვს გამართლება. ამიტომ ჩემი ცოდვა ყველაზე მძიმეა. ის, ვინც საძმოში ძმას ემსახურება, თავმდაბლობის სიღრმეებში უნდა ჩაიძიროს. როგორ უნდა ვემსახურო სხვა ადამიანს გულწრფელი თავმდაბლობით, თუკი მის ცოდვას მთელი სერიოზულობით ჩემსაზე უარესად მივიჩნევ? განა ამით ჩემს თავს მასზე მაღლა არ დავაყენებ? შევძლებ კი, რომ მისი იმედი მქონდეს? ასეთი მსახურება ფარისევლობა იქნებოდა. „არასოდეს იფიქრო, რომ რაიმე წარმატებას მიაღწიე, სანამ საკუთარ თავს ყველაზე მდაბლად არ მიიჩნევ“ (თომას კემპელი).

მაშ როგორ აღესრულება ჭეშმარიტი ძმური მსახურება ქრისტიანულ თემში? დღეს მყისვე ვუპასუხებთ, რომ ჩვენი მხრიდან მოყვასისადმი ნამდვილი მსახურება მისთვის ღვთის სიტყვის ქადაგებაა. მართალია, მას ვერცერთი სხვა მსახურება ვერ შეედრება, და უფრო მეტიც, ყველა მსახურება ღვთის სიტყვის ქადაგებისთვის სრულდება. მაგრამ ქრისტიანული საზოგადოება არ შედგება მხოლოდ სიტყვის მქადაგებელთაგან. აქ შეიძლება მწარედ შევცდეთ, თუკი უამრავ სხვა საკითხს გამოვტოვებთ.

მოსმენა

პირველი მსახურება, რომელიც ადამიანს სხვებისადმი მართებს, არის მათი მოსმენა. ისევე, როგორც ღმერთის სიყვარული მისი სიტყვის მოსმენით იწყება, ძმათა სიყვარულის დასაწყისიც მათი მოსმენის სწავლაშია. ღმერთის ჩვენდამი სიყვარულის გამოხატულებაა ისიც, რომ ის მხოლოდ თავის სიტყვას კი არ გვაძლევს, არამედ ყურსაც გვიგდებს. ასე რომ, ეს საღვთო საქმეა, რომელსაც ჩვენ ჩვენი მოძმისათვის აღვასრულებთ მაშინ, როდესაც მოსმენას ვსწავლობთ. ქრისტიანები, განსაკუთრებით ღვთისმსახურები, ხშირად ფიქრობენ, რომ რაღაც წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოებაში და რომ ეს ერთადერთი სამსახურია, რომელიც მათ უნდა გასწიონ. მათ ავიწყდებათ, რომ მოსმენა შეიძლება უფრო დიდი მსახურება იყოს, ვიდრე ლაპარაკი.

ბევრი ეძიებს ისეთ ადამიანს, რომელსაც ჭეშმარიტი მოსმენა შეუძლია. ისინი ამას ქრისტიანთა შორის ვერ პოულობენ, რადგან ხშირად ქრისტიანები ლაპარაკობენ მაშინ, როდესაც მოსმენაა საჭირო. ის კი, ვინც თავის ძმას ვეღარ უსმენს, მალე ვეღარც ღმერთს მოუსმენს. ის მხოლოდ ილაყბებს ღვთის წინაშე. ეს სულიერი ცხოვრების

სიკვდილის დასაწყისია და სხვა არაფერია, თუ არა საღვთისმეტყველო ტერმინებით სულიერი ჭორაობა და კლერიკალური ქედმაღლობა. ვისაც ხანგრძლივად და მოთმინებით მოსმენა არ შეუძლია, ის სულ სხვა თემაზე ლაპარაკობს და სინამდვილეში არასოდეს ესაუბრება სხვას, თუმცა თვითონ არც კი იცის ამის შესახებ. ვისაც თავისი დრო მეტისმეტად ძვირფასად მიაჩნია იმისთვის, რომ მდუმარებაში გაატაროს, მას საბოლოოდ დრო ღმერთისა და მოძმისთვის კი აღარ რჩება, არამედ მხოლოდ საკუთარი თავისთვის და თავისი ახირებებისთვის.

ძმური დამრიგებლური მზრუნველობა ქადაგებისგან არსებითად იმით გამოირჩევა, რომ ღვთის სიტყვის გამოთქმის ამოცანას მოსმენის ვალდებულებაც ემატება. არსებობს ერთგვარი მოსმენა ცალი ყურით, რაც გულისხმობს, რომ მე თითქოს უკვე ვიცი, რის თქმას აპირებს სხვა. ეს არის მოუთმენელი, უგულისყურო მოსმენა, რომელიც შეურაცხყოფს ძმას და მხოლოდ საუბრისათვის თავის არიდების და, ამგვარად, სხვა ადამიანის მოშორების მომენტს ელის. ეს არ აღასრულებს ჩვენს ვალდებულებას და დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სიტუაციაშიც კი, მოძმისადმი ჩვენს დამოკიდებულებაში აირეკლება ჩვენი ღმერთთან ურთიერთობა. გასაკვირი არ არის, რომ აღარ შეგვწევს ძალა, ღმრთის მიერ დავალებული უდიდესი მსახურებისათვის – ძმის აღსარების მოსმენისათვის; უარს ვამბობთ მოძმის მოსმენაზე მაშინ, როდესაც ის ნაკლებ მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება. დღეს საერო განათლებაში კარგადაა გაცნობიერებული, რომ ხშირად ადამიანის დახმარება იმითაც კი არის შესაძლებელი, რომ ჰყავდეს ვინმე, ვინც მას სერიოზულად მოუსმენს. სწორედ ამ შეხედულებაზე აიგო სულის თერაპია, რომელმაც უამრავი ადამიანი მიიზიდა ქრისტიანების ჩათვლით. თუმცა ქრისტიანებს დაავიწყდათ, რომ მოსმენის მსახურება მათ სწორედ იმან დაავალა, ვინც თავად არის ყველაზე გულისყურიანი მსმენელი და ვისი საქმეც მათ უნდა გაიზიარონ. ჩვენ ღვთის ყურით უნდა ვისმინოთ იმისთვის, რომ ღვთის სიტყვა გამოვთქვათ.

შეწევნა

მეორე მსახურება, რომელიც ქრისტიანულ თემში ადამიანმა სხვისთვის უნდა აღასრულოს, არის აქტიური დახმარება. ეს პირველ რიგში ნიშნავს უბრალოდ ხელის გამართვას წვრილმან, ყოფით საკითხებში. ყველგან, სადაც ხალხი ერთად ცხოვრობს, უამრავი ასეთი საჭიროება არსებობს. დამამცირებლად არ უნდა აღიქმებოდეს ამგვარი უბრალო, ყოფითი მსახურება. ის, ვინც ასეთი წვრილმანისთვის დროის ხარჯვას ფუჭად მიიჩნევს, როგორც წესი, საკუთარი კარიერის მნიშვნელობას მეტისმეტი სერიოზულობით ეკიდება.

მზად უნდა ვიყოთ იმის გასაცნობიერებლად, რომ ღმერთს შეუძლია, გზაზე შეგვაჩეროს. ღმერთი მუდამ გვეღობება ხოლმე და გეგმებსაც გვიშლის, გვიგზავნის ადამიანებს ათასგვარი ჩივილითა და სათხოვრით. ჩვენ თუ გვეგონება, რომ უფრო მნიშვნელოვანი საქმეებით ვართ დაკავებული, მაშინ ამ ყველაფერს გვერდით ჩავუვლით. ისე, როგორც, მაგალითად, მღვდელმა აუარა გვერდი მძარცველების ხელში ჩავარდნილ კაცს, ამ დროს ის ალბათ ბიბლიის კითხვით იყო გართული.

ასეთ შემთხვევაში ჩვენ ჯვრის ნიშანსვეტს ავუვლით გვერდს, აღმართულს, რათა დაგვანახოს, ჩვენი ნება კი არა, ღვთის ნება უნდა აღსრულდეს. უცნაურია, ქრისტიანები და ღვთისმსახურებიც კი ხშირად მიიჩენვენ, რომ თავიანთი საქმეები უაღრესად მნიშვნელოვანი და გადაუდებელია, ისინი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ ხელი არ შეეშალოთ; ფიქრობენ, რომ ამ საქმეებით ღმერთს ემსახურებიან, მაგრამ სინამდვილეში ისინი არაფრად აგდებენ ღმერთის „მრუდე, მაგრამ სწორ გზას“ (გოტფრიდ არნოლდი). მათ არ უნდათ აბურდული და გზაარეული ცხოვრება. თუმცა სწორედ თავმდაბლობაში წვრთნის ნაწილია ის, რომ არ დავიშუროთ ხელის გაწვდენა იქ, სადაც შეგიძლია ვინმეს დაეხმარო და აგრეთვე ისიც, რომ არ ვიფიქროთ, თითქოს ჩვენი ცხოვრების განრიგი ჩვენს ხელთაა, - იგი ღმერთს უნდა დავუთმოთ.

მონასტერში ბერის მიერ წინამძღვრისვის მიცემული მორჩილების აღთქმა მას საკუთარი დროის განკარგვის უფლებას ართმევს. ევანგელურ საზოგადოებაში აღთქმის ადგილს იკავებს მოძმისადმი უანგარო მსახურება. მხოლოდ მაშინ შეუძლია ადამიანს სიხარულით და სარწმუნოდ იქადაგოს ღვთის სიყვარულისა და წყალობის სიტყვა, როდესაც ის არ ფიქრობს, რომ თავისი ხელები მეტისმეტად სათუთია ყოველდღიური საჭიროებების მოსაგვარებლად გაღებული სიყვარულისა და მოწყალებისათვის.

ერთმანეთის ტვირთვა

ვისაუბროთ მესამე მსახურებაზე, რომელიც სხვის ტვირთვას მოიცავს: „ერთმანეთის ტვირთი იტვირთეთ და ასე აღასრულეთ ქრისტეს რჯული“ (გალ. 6:2). ამგვარად, ქრისტეს რჯული გვავალდებულებს, თავს ვიდოთ სხვისი ტვირთი. ეს ნიშნავს მოთმენას და ატანას. მოძმე სწორედ იმიტომ არის ტვირთი ქრისტიანისთვის, რომ ის ქრისტიანია. წარმართისთვის სხვა ადამიანი არასოდეს ხდება ტვირთი. ის უბრალოდ გვერდს უვლის ყველა ტვირთს, რომელიც შეიძლება სხვებმა აჰკიდონ.

ქრისტიანმა კი მოძმის მძიმე ტვირთი უნდა იტვირთოს, თავისი მოძმე უნდა დაითმინოს და გაუძლოს მას. მხოლოდ მაშინ არის სხვა ადამიანი ნამდვილად ძმა და არა მანიპულირების ობიექტი, როდესაც ის ტვირთია. ადამიანის ტვირთი იმდენად მძიმე იყო თვით ღმერთისთვის, რომ მან ჯვარცმა დაითმინა. ღმერთმა იესო ქრისტეში ჭეშმარიტად თავის თავზე აიღო ადამიანთა ტვირთი. თუმცა მან ისე იტვირთა ისინი, როგორც დედა ატარებს შვილს, როგორც მწყემსი იკრავს გულში ახლად ნაპოვნ დაკარგულ კრავს. ღმერთმა ადამიანები მხრებზე წამოიკიდა და მათ ის მიწამდე დაამძიმეს, მაგრამ ღმერთი მათთან დარჩა და ისინი ღმერთთან. ადამიანებთან ურთიერთობისას ღმერთმა მათთან მეგობრობა შეინარჩუნა. ეს არის ქრისტეს სჯული, რომელიც ჯვარზე აღსრულდა და ქრისტიანებმა ეს უნდა გაიზიარონ. მათ უნდა დაითმინონ საკუთარი ძმები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ მხოლოდ ქრისტეს სჯულის აღსრულების შემდეგ შეუძლიათ იტვირთონ მოყვასის სიმძიმე.

ბიბლია „ტვირთვის“ შესახებ გასაოცრად ხშირად საუბრობს. ამ სიტყვით იესო ქრისტეს მთელი საქმეების შეჯამება შეიძლება. „ნამდვილად კი, მან იკისრა ჩვენი სნებები და იტვირთა ჩვენი სატანჯველი; მასზე იყო სასჯელი ჩვენი სიმრთელისთვის“

(ესაია 53:4-5). მაშასადამე, ბიბლიას შეუძლია, ქრისტიანის მთელი ცხოვრებაც აღწეროს, როგორც ჯვრის მტვირთველის ცხოვრება. სხვისი ტვირთის გათავისება ჯვრის გაზიარებას ნიშნავს. თუ ვინმე ამას არ განიცდის, მაშინ ის საძმო, რომელსაც ის ეკუთვნის, ქრისტიანული ვერ იქნება. თუ რომელიმე წევრი უარს ამბობს ამ ტვირთის ზიდვაზე, ის ქრისტეს სჯულს უარყოფს.

უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანისთვის ტვირთი სხვისი თავისუფლებაა, რომლის შესახებ ადრეც ვისაუბრეთ. სხვისი თავისუფლება ეწინააღმდეგება მის ავტონომიას, მაგრამ ვალდებულია, რომ ეს თავისუფლება აღიაროს. მას შეეძლო თავი დაეღწია ამ ტვირთისთვის სხვა ადამიანის თავისუფლების უარყოფით, მისი შეზღუდვით და, ამგვარად, მისი პიროვნების დაკნინებით, მასზე საკუთარი წარმოდგენის თავსმოხვევით. მაგრამ, თუ ღმერთს დავუთობთ იმას, რომ თავად შექმნას სხვაში თავისი ხატი, ამით სხვა ადამიანის თავისუფლების ტვირთს ვიტვირთავთ, ღმერთის სხვა ქმნილების თავისუფლებას მივიღებთ, როგორც ტვირთს. სხვა ადამიანის თავისუფლება მოიცავს ყველაფერს, რასაც ჩვენ ვგულისხმობთ, როდესაც ვლაპარაკობთ ადამიანის ბუნებაზე, ინდივიდუალურობაზე, ნიჭიერებაზე. ის მოიცავს მის სისუსტეებსა და უცნაურობებსაც, რომლებიც ისევე გამოცდის ჩვენს მოთმინებას, როგორც ის ყველაფერი, რაც იწვევს ჩვენ შორის უთანხმოებას, კონფლიქტს და დაპირისპირებას. სხვისი ტვირთის ზიდვა ნიშნავს სხვის შექმნილ რეალობაში ჩართვას, მის მიღებას, დათანხმებას და იქამდე ტვირთვას, ვიდრე ეს პროცესი სიხარულის მომტანი არ გახდება.

ეს განსაკუთრებით ძნელი იქნება საძმოში, სადაც ძლიერი და სუსტი რწმენის ვარიაციები თანაარსებობს. სუსტმა არ უნდა განსაჯოს ძლიერი, ძლიერს არ უნდა სძულდეს სუსტი. სუსტებმა თავი უნდა დაიცვან სიამაყისგან, ძლიერებმა კი გულგრილობისგან. არავინ უნდა ეძიებდეს საკუთარ უფლებებს. თუ ძლიერი დაეცემა, სუსტმა თავისი გული უნდა დაიცვას მისი დაცემით მიღებული ღვარძლიანი სიხარულისგან. თუ სუსტი დაეცემა, ძლიერმა ის კეთილი გულით უნდა წამოაყენოს. ერთს ისეთივე მოთმინება სჭირდება, როგორც მეორეს. „ვაი, მარტომყოფს, თუ დაეცა ვინღა უშველის?“ (ეკლ. 4:10). ეჭვგარეშეა, რომ წმინდა წერილი გულისხმობს სწორედ სხვა ადამიანის ტვირთვას თავისი თავისუფლებიანად, როდესაც „ერთმანეთის შეწყნარებაზე“ ლაპარაკობს (კოლ. 3.13): „მთელი ქედმოდრეკილობით და თვინიერებით, დიდსულოვნებითა და სიყვარულით შეიწყნარეთ ერთმანეთი“ (ეფეს. 4.2).

მაგრამ, სხვის თავისუფლებასთან ერთად, თავისუფლების ბოროტად გამოყენებაც ხდება, რაც ტვირთად იქცევა ქრისტიანისთვის. სხვა ადამიანის ცოდვა უფრო მძიმე სატარებელია, ვიდრე მისი თავისუფლება; რადგან ცოდვა ამსხვრევს ღმერთთან და ძმასთან ურთიერთობას. ქრისტიანი განიცდის სხვა ადამიანთან იმ მეგობრული ურთიერთობის გაწყვეტას, რომელსაც საფუძველი იესო ქრისტეში ჰქონდა. თუმცა აქაც მხოლოდ მოთმინებაში ვლინდება ღვთის დიდი მადლი. ცოდვილის მიმართ არათუ ზიზღის განცდა, არამედ მისი შეწყნარების მეშვეობით პატივის მიგება ნიშნავს, რომ ის არ დაკარგო, შეგეძლოს მისი მიღება და მასთან ურთიერთობა მიტევების გზით შეინარჩუნო. „ძმანო, თუ კაცმა რაიმე ცოდვაში ჩაიდგა ფეხი, თქვენ, ვინცა

ხართ სულიერნი, შეაგონეთ მას თვინიერების სულით“ (გალ: 6.1). როგორც ქრისტემ დაგვითმინა და მიგვიღო, როგორც ცოდვილები, ჩვენც მასთან თანაზიარებაში შეგვიძლია ავიტანოთ და ცოდვების მიტევებით მივიღოთ ცოდვილები იესო ქრისტეს საძმოში.

ჩვენ უნდა განვიცდიდეთ ჩვენი ძმის ცოდვებს და არა - განვსჯიდეთ მას. ქრისტიანისთვის ეს წყალობაა; რადგან, როდესაც საზოგადოებაში ვინმე სცოდავს, განა მან არ უნდა გამოიკვლიოს და თავი დაიდანაშაულოს ლოცვისა და მეოხებისას ძმური მსახურების ნაკლებობაში, შეორგულებაში, ძმურ გაკიცხვასა და გამხნევებაში, თავის პირად ცოდვასა და სულიერ სისუსტეში, რითაც მან საკუთარი თავი, საძმო და ძმები დააზიანა? ვინაიდან თითოეული წევრის თითოეული ცოდვა ამძიმებს და დამნაშავედ აქცევს მთელ საზოგადოებას, მოძმის ცოდვით მიყენებული ტკივილისა და ტვირთის შუაგულში მრევლი ხარობს იმით, რომ მათ წილად ხვდათ მისი ტვირთვის და მიტევების პატივი. „აჰა, თქვენ მათ ტვირთულობთ და ისინი კი თქვენ გტვირთულობენ; ყველაფერი საზიაროა, კარგიცა და ცუდიც“ (ლუთერი).

შენდობის მსახურებას ადამიანი ყოველდღიურად აღასრულებს სხვებისათვის. ეს ხდება უსიტყვოდ, ერთმანეთის მეოხებით. საძმოს თითოეულ წევრს, რომლებსაც არ ბეზრდებათ ეს მსახურება, შეუძლიათ, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მსახურებას მათ მიმართ მისი ძმებიც აღასრულებენ. მან, ვინც სხვებს ტვირთულობს, იცის, რომ თავადაც ტვირთულობენ და მხოლოდ ამ მინიჭებული ძალით შეუძლია, განაგრძოს სხვების ტვირთვა.

მაშასადამე, სადაც ერთგულად აღსრულდება მოსმენის, აქტიური შეწევნისა და სხვათა დათმენის მსახურება, საბოლოო და უმაღლესი მსახურებაც შეიძლება აღესრულოს, კერძოდ, ღვთის სიტყვის მსახურება.

ღვთის სიტყვის ქადაგება

აქ ჩვენ ვისაუბრებთ იმის შესახებ, როგორ გადასცემს ერთი ადამიანი მეორეს თავისუფალ სიტყვას და არა ქადაგებაზე ხელდასხმული მსახურების ფარგლებში, რომელიც კონკრეტულ სასულიერო წოდებასთან, დროსთან და ადგილთანაა დაკავშირებული. ჩვენ ვეხებით იმ განსაკუთრებულ სიტუაციას, როდესაც ერთი ადამიანი ადამიანური სიტყვებით ემოწმება მეორეს, მიუთითებს ღმერთის ნუგეშზე, შეგონებაზე, სიკეთესა და ღმერთის სიმკაცრეზე. ამ სიტყვის გაზიარება უკიდეგანო საფრთხეებს შეიცავს. როგორ უნდა იყოს ის ჭეშმარიტი სიტყვა სხვა ადამიანისთვის, თუ ის ღირსეული მოსმენის თანხლებით არ არის გამოთქმული? როგორ უნდა იყოს ეს სიტყვა დამაჯერებელი და გულწრფელი, თუ მას თან არ ახლავს ქმედითი დახმარება? როგორ უნდა იყოს ის განმათავისუფლებელი და კურნების სიტყვა, თუ ის მოთმინებისა და შემწყნარებლობის სულისკვეთებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ მოუთმენლობისა და მისი მიღების დაძალების სურვილიდან?

უფრო მეტიც, ის, ვინც ნამდვილად უსმენს, ემსახურება და უთმენს სხვებს, არის სწორედ ის, ვინც სავარაუდოდ არაფერს ამბობს. საფუძვლიანი უნდობლობა

ყველაფრისადმი, რაც მხოლოდ სიტყვებად რჩება, ხშირად ახშობს მოძმისათვის ნათქვამ სიტყვას. რას მოუტანს სხვებს სუსტი ადამიანური სიტყვები? რა საჭიროა ცარიელი ლაპარაკი? ჩვენც, იმათ მსგავსად, ვინც ღვთისმოსაობას პროფესიად იჩენს, ვაპირებთ, რომ მიკიბ-მოკიბვით თავი ავარიდოთ სხვა ადამიანის რეალურ საჭიროებებს? არის რაიმე იმაზე უფრო საშიში, ვიდრე ღვთის სიტყვით უხვსიტსიტყვაობაა? თუმცა, მეორე მხრივ, ვის უნდა, პასუხისმგებლობა აიღოს იმაზე, რომ გაჩუმდა მაშინ, როცა უნდა ელაპარაკა? რაოდენ უფრო მარტივია ამბიონზე დაკვეთილი გამოსვლა ამ სრულიად თავისუფალ სიტყვასთან შედარებით, რომელიც დუმილის პასუხისმგებლობასა და ლაპარაკის პასუხისმგებლობას შორის წარმოითქმის!

ლაპარაკის პასუხისმგებლობის შიშს ემატება სხვა ადამიანის შიში. რა ძნელია ხშირად იესო ქრისტეს სახელის წარმოთქმა ძმის თანდასწრებითაც კი! აქაც გვიჭირს სწორისა და არასწორის გარჩევა. ვინ გაბედავს, რომ მოყვასს თავს მოახვიოს საკუთარი თავი? ვის აქვს იმის უფლება, რომ მოყვასს შეუჩნდეს და აიძულოს, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბროს? დიდი ქრისტიანული გამჭრიახობის ნიშანი არ იქნება, თუ უბრალოდ ამ ეტაპზე ვიტყვით, რომ ყველას აქვს ამის უფლება და ვალდებულებაც კი. შესაძლოა, ამ მომენტში დომინირების სურვილი კვლავ ყველაზე მზაკვრულად იჩენდეს თავს. სხვა პირს, ფაქტობრივად, აქვს უფლება, პასუხისმგებლობა და თუნდაც მოვალეობა, რომ თავი დაიცვას უნებართვო ჩარევისგან. სხვა ადამიანს აქვს თავისი საიდუმლო, რომელში ჩარევაც დიდ ზიანს მოიტანს და რომლის გამხელაც მას არ შეუძლია საკუთარი თავის განადგურების გარეშე. ეს ცოდნასა ან გრძნობებზე დამოკიდებული საიდუმლო კი არ არის, არამედ მისი თავისუფლების, გადარჩენის და ყოფიერების საიდუმლოა. და მაინც, ეს მართებული განაჩენი საშინლად ახლოსაა კაენის მომაკვდინებელ გამონათქვამთან: „ჩემი ძმის დარაჯი ხომ არა ვარ?“. სხვისი თავისუფლების ერთი შეხედვით წმინდა პატივისცემა შეიძლება ღმერთის წყევლას დაექვემდებაროს: „მის სისხლს შენ მოგკითხავ“ (ეზეკ. 3.18).

ქრისტიანთა თანაცხოვრებაში აუცილებლად დადგება დრო, როდესაც რაიმე კრიზისის დროს ერთ ადამიანს მოუწევს მეორისათვის ღვთის სიტყვისა და ნების გამოცხადება. წარმოუდგენელია, რომ ის, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია თითოეული ინდივიდისთვის, ერთმა ადამიანმა მეორეს არ უთხრას. არაქრისტიანულია, რომ შეგნებულად მოაკლო სხვა ადამიანი იმ მსახურებას, რომელიც შეგიძლია მას გაუწიო. თუ ჩვენ ვერ ვახერხებთ მის ხმამაღლა წარმოთქმას, მაშინ ჩვენს თავს უნდა ვკითხოთ, ჯერ კიდევ ვხედავთ თუ არა ჩვენს ძმას შემოსილს თავისი ადამიანური ღირსებით, რომლის შეხებისაც გვეშინია, და ამით გვავიწყდება ყველაზე მთავარი, რომ ისიც, განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკისაა ან რამდენად მაღალ თანამდებობას იკავებს, ჩვენნაირი ადამიანია, ცოდვილი, რომელსაც ღვთის მადლი სჭირდება. მას ისეთივე დიდი მოთხოვნილებები აქვს, როგორიც ჩვენ გვაქვს და მასაც ჩვენსავით სჭირდება დახმარება, წახალისება და პატიება.

ქრისტიანებს ერთმანეთთან საუბარი იმის საფუძველზე შეუძლიათ, რომ ისინი ერთმანეთს იცნობენ, როგორც ცოდვილებს, რომლებიც მთელი თავიანთი

ადამიანური ღირსებით მარტოსულები და გზააბნეულები იქნებიან, თუკი მათ ვინმე არ დაეხმარება. ეს არ იძლევა სხვის მიმართ ზიზღის საფუძველს და არც რაიმე სახის შეურაცხყოფას ნიშნავს. პირიქით, ეს ხაზს უსვამს იმ ერთ ნამდვილ ღირსებას, რაც ადამიანს აქვს, კერძოდ, იმას, რომ, ცოდვილობის მიუხედავად, ადამიანს შეუძლია, ღვთის მადლსა და დიდებას ეზიაროს და იყოს ღვთის შვილი. ამის აღიარება ჩვენს ძმურ საუბარს მისთვის საჭირო თავისუფლებას და გულწრფელობას ანიჭებს. ჩვენ ერთმანეთს იმ დახმარების საფუძველზე ვესაუბრებით, რომელიც ორივეს გვჭირდება. ჩვენ ერთმანეთს შევაგონებთ, რომ ვიაროთ ისე, როგორც ქრისტე გვიკარნახებს. ერთმანეთს ვაფრთხილებთ იმ ურჩობის შესახებ, რომელიც ჩვენთვის ყველასთვის დამღუპველია. ერთმანეთს სათუთადაც ვეპყრობით და სასტიკადაც, რადგან ვიცით როგორც ღვთის სიკეთე, ასევე ღვთის სიმკაცრეც. რატომ უნდა გვეშინოდეს ერთმანეთისა, როცა ორივეს მხოლოდ ღმერთის უნდა გვეშინოდეს? რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენი ძმა ვერ გაგვიგებდა, როცა თავად კარგად გავიგეთ, რას გულისხმობდნენ, როცა ვინმე, თუნდაც ენის ბორძიკით და გაუწაფავი მეტყველებით ღვთის ნუგეშის ან ღვთის შეგონების სიტყვებს გვამცნობდა? ან მართლა გვგონია, რომ ამქვეყნად ერთი ადამიანი მაინც არის, რომელსაც გამხნევება და შეგონება არ სჭირდება? მაშ, რისთვის გვიბოძა ღმერთმა ქრისტიანული საზოგადოება?

რაც უფრო კარგად ვისწავლით სხვებისთვის იმის საშუალების მიცემას, რომ ღვთის სიტყვა გვითხრან, რომ თავმდაბლად და მადლიერებით მივიღოთ სასტიკი საყვედურები და შეგონებებიც, მით უფრო თავისუფლები და ობიექტურები ვიქნებით საკუთარ თავზე ლაპარაკისას. ადამიანი, რომელსაც სიფიცხე და თავმომწონეობა აიძულებს, რომ ძმის გულწრფელი საყვედური ზიზღით უკუაგდოს, სხვებთან სიმართლეს თავმდაბლად ვერ იტყვის; მას ეშინია, რომ გაკიცხავენ და გულს ატკენენ. ფიცხი ადამიანი ყოველთვის მაამებელი ხდება და ძმის ზიზღსა და ცილისწამებაში ვარდება. თავმდაბალი ადამიანი კი სიმართლის და სიყვარულის ერთგული რჩება. ის ღვთის სიტყვას ემორჩილება და მას თავისი მოძმისაკენ მიმავალ გზაზე გაჰყვება. მას შეუძლია, ძმას სიტყვით დაეხმაროს სწორედ იმიტომ, რომ ის არაფერს ეძიებს თავისთვის და თვითონ არაფრის ეშინია.

გაკიცხვა გარდაუვალია. ამას ღვთის სიტყვა მოითხოვს, როდესაც შენი ძმა აშკარა ცოდვაში ვარდება. მრევლში დისციპლინა ყველაზე ვიწრო წრიდან იწყება. იქ, სადაც მოძღვრებაში ან ცხოვრებაში ღვთის სიტყვიდან გადახვევა საფრთხეს უქმნის ოჯახურ ერთობას და მასთან ერთად მთელი მრევლისას, შეგონებისა და გაკიცხვის სიტყვა უნდა იქნას გამოყენებული. არაფერია იმაზე უფრო სასტიკი, ვიდრე ლმობიერება, რომლითაც სხვა ადამიანს თავის ცოდვასთან მიატოვებენ. ვერაფერი იქნება იმაზე უფრო გულისხმიერი, ვიდრე მკაცრი გაკიცხვა, რომელიც ძმას ცოდვის გზიდან უკან მოაბრუნებს. ეს მოწყალების მსახურებაა, ჭეშმარიტი ძმობის უმაღლესი შეწირულობაა, როდესაც ღვთის სიტყვის გარდა არაფერს ვაძლევთ უფლებას, დადგეს ჩვენ შორის, განსჯითა და მეოხებით. ამ შემთხვევაში ჩვენ არ განვიკითხავთ; მხოლოდ ღმერთი განსჯის და ღვთის განაჩენს დახმარების და კურნების მიზანი აქვს. საბოლოო ჯამში, ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობა ძმის მსახურებაა, რომ არასდროს დავაყენოთ თავი მასზე მაღლა და მაშინაც კი ვემსახუროთ, როცა ღვთისაგან განკიცხვისა და

გარიყვის სიტყვა უნდა მივუტანოთ, მაშინაც კი, როცა ღმერთის მორჩილების გამო მასთან ურთიერთობა უნდა გავწყვიტოთ. უნდა ვიცოდეთ, რომ ეს ჩვენი ადამიანური სიყვარული კი არ არის, რომელიც სხვა ადამიანის ერთგულებას გვაიძულებს, არამედ ღმერთის სიყვარულია, რომელიც მისკენ მიმავალ გზას მხოლოდ განსჯის გზით გაარღვევს. სწორედ იმით, რომ ღვთის სიტყვა განსჯის, ის პიროვნებას ემსახურება. ის, ვინც იღებს ღვთის სამსჯავროს მსახურებას, დახმარებას იღებს. ამ დროს აშკარად იკვეთება მოძმისადმი ნებისმიერი ადამიანური მოქმედების შესაძლებლობათა საზღვრები: „ძმა დახსნით ვერ დაიხსნის კაცს, ვერ მისცემს ღმერთს მის გამოსასყიდს (ძვირია მათი სულის გამოხსნა და არ ეგების უკუნისამდე)“ (ფსალმ. 48:8-9).

ჩვენივე შესაძლებლობებზე უარის თქმა სწორედაც რომ წინაპირობა და ნებართვაა იმ გამომსყიდველი შემწეობისათვის, რომელიც მხოლოდ ღვთის სიტყვას შეუძლია ძმისთვის გაიღოს. ჩვენი ძმის ქცევა ჩვენს ხელთ არ არის; ჩვენ ვერ გავამთელებთ იმას, რაც იმსხვრევა; ჩვენ ვერ შევუნარჩუნებთ სიცოცხლეს იმას, რაც სასიკვდილოდაა განწირული. თუმცა ღმერთი ამთელებს დამსხვრეულს, დანაწევრებულს თემად აქცევს, მადლს ანიჭებს სამსჯავროს გზით. მან ჩვენი პირი თავისი სიტყვით აღავსო. სურს, რომ ის ჩვენი მეშვეობით იყოს ნაქადაგები. თუ მის სიტყვას შევაკავებთ, ცოდვილი ძმის სისხლი ჩვენზე იქნება. თუ მის სიტყვას აღვასრულებთ, ღმერთი ჩვენს ძმას ჩვენი მეშვეობით იხსნის. „ცოდვილის მოქცევა მცდარი გზიდან სიკვდილისაგან იხსნის სულს და დაჩრდილავს უთვალავ ცოდვას“ (იაკობი 5:20).

სულიერი უფროსობა

„ვინც თქვენში მოისურვებს უფროსობას, ის იყოს თქვენი მსახური“ (მარკოზი 10:43). იესომ საზოგადოების ხელმძღვანელობა ძმურ მსახურებაზე დამოკიდებული გახადა. ჭეშმარიტი სულიერი ხელმძღვანელობა მხოლოდ იქ არსებობს, სადაც სრულდება მოსმენის, შეწევნის, ტვირთვისა და ქადაგების მსახურება. პიროვნების ყოველი კულტი, რომელიც ხაზს უსვამს სხვა ადამიანის გამორჩეულ თვისებებს, სათნოებებსა და ნიჭს, მიუხედავად იმისა, რომ მათ სულიერი ხასიათი აქვთ, ამქვეყნიურია და ქრისტიანულ საზოგადოებაში მისი ადგილი არ არის; პირიქით, ის წამლავს ქრისტიანულ საზოგადოებას. დღესდღეობით, „საეპისკოპოსო მოღვაწეების“, „სამღვდელო პირთა“ და „ავტორიტეტების“ მიმართ ლტოლვა საკმაოდ ხშირად გამომდინარეობს ადამიანებით აღტაცების სულიერად ავადმყოფური მოთხოვნილებიდან და ხილული ადამიანური ავტორიტეტის დამკვიდრებიდან, რადგან მოძმის მსახურების ნამდვილი ავტორიტეტი, როგორც ჩანს, არცთუ ისე შთამბეჭდავად გამოიყურება. არაფერი ისე მკვეთრად არ ეწინააღმდეგება ამ სწრაფვას, როგორც თავად ახალი აღთქმა ეპისკოპოსის აღწერა (I ტიმ. 3:1.). აქ არაფერია ნათქვამი ამქვეყნიურ მომხიბვლელობასა და სულიერი პიროვნების ბრწყინვალე შემამკობელი ნიჭების შესახებ. ეპისკოპოსი უბრალო, ერთგული, რწმენითა და ცხოვრებით გაწონასწორებული ადამიანია, რომელიც პირნათლად

ასრულებს თავის მოვალეობას ეკლესიის წინაშე. მისი უფლებამოსილება მდგომარეობს მისი მსახურების აღსრულებაში. მასში, ადამიანური თვალსაზრისით, აღმაფრთოვანებელი არაფერია.

საბოლოო ჯამში, ცრუ ავტორიტეტისკენ სწრაფვას სათავეში იმის სურვილი უდევს, რომ აღდგეს გარკვეული სიახლოვე, ეკლესიაში ადამიანებზე დამოკიდებულება. ჭეშმარიტმა ავტორიტეტმა იცის, რომ ყოველგვარი სიახლოვე განსაკუთრებით საზიანოა ავტორიტეტთან მიმართებაში. ის აცნობიერებს, რომ სიახლოვე შეიძლება მხოლოდ მსახურებაში არსებობდეს, რომელიც თვითონ არის ერთადერთი ნამდვილი ავტორიტეტი. ნამდვილმა ავტორიტეტმა იცის, რომ მას მკაცრი გაგებით უკავშირდება იესოს ნათქვამი: „ერთია თქვენი მოძღვარი - ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ“ (მათ.23.8). ეკლესიას არ სჭირდება ბრწყინვალე პიროვნებები, არამედ იესო ქრისტეს და ძმათა ერთგული მსახურები. ნაკლებობა არა პირველში, არამედ სწორედ რომ მეორეში შეინიშნება. ეკლესია მხოლოდ იესო ქრისტეს სიტყვის უბრალო მსახურს უცხადებს ნდობას, რადგან იცის, რომ ის ადამიანური სიბრძნით და ადამიანური გონებით კი არ იხელმძღვანელებს, არამედ კეთილი მწყემსის სიტყვით.

ნდობის საკითხი, რომელიც ასე მჭიდრო კავშირშია ავტორიტეტთან, იესო ქრისტეს მსახურებისადმი ერთგულებით განისაზღვრება და არა იმ არაჩვეულებრივი ნიჭით, რომელსაც ის ფლობს. სამოძღვრო ავტორიტეტის მოხვეჭა მხოლოდ იესო ქრისტეს მსახურს შეუძლია, რომელიც არ ეძიებს საკუთარ ძალაუფლებას და რომელიც თავად არის ძმა ღვთის სიტყვის ძალაუფლებისადმი მორჩილ ძმათა შორის.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ გოგუაძემ

საბოლოო ჯამში, ცრუ ავტორიტეტისკენ სწრაფვას სათავეში იმის სურვილი უდევს, რომ აღდგეს გარკვეული სიახლოვე, ეკლესიაში ადამიანებზე დამოკიდებულება. ჭეშმარიტმა ავტორიტეტმა იცის, რომ ყოველგვარი სიახლოვე განსაკუთრებით საზიანოა ავტორიტეტთან მიმართებაში. ის აცნობიერებს, რომ სიახლოვე შეიძლება მხოლოდ მსახურებაში არსებობდეს, რომელიც თვითონ არის ერთადერთი ნამდვილი ავტორიტეტი. ნამდვილმა ავტორიტეტმა იცის, რომ მას მკაცრი გაგებით უკავშირდება იესოს ნათქვამი: „ერთია თქვენი მოძღვარი - ქრისტე, ხოლო თქვენ ყველანი ძმები ხართ“ (მათ.23.8). ეკლესიას არ სჭირდება ბრწყინვალე პიროვნებები, არამედ იესო ქრისტეს და ძმათა ერთგული მსახურები. ნაკლებობა არა პირველში, არამედ სწორედ რომ მეორეში შეინიშნება. ეკლესია მხოლოდ იესო ქრისტეს სიტყვის უბრალო მსახურს უცხადებს ნდობას, რადგან იცის, რომ ის ადამიანური სიბრძნით და ადამიანური გონებით კი არ იხელმძღვანელებს, არამედ კეთილი მწყემსის სიტყვით.

დიტრიჰ ბონჰიოფერი

ვინ იცავს მცველებს? ვინ ლაპარაკობს ეკლესიის სახელით?

დეკანოზი ჯონ ბერი

ამ დღეებში ვებგვერდზე[1] გამოქვეყნებულ რამდენიმე სტატიაში წამოიჭრა ღრმა, რთული და დამაფიქრებელი კითხვები. დედა ვასამ დასვა კითხვა, თუ შეიძლებოდა „მწვალებლობის“ ბრალდება წაეყენებინათ „რუსი ხალხის XXV მსოფლიო ყრილობის“ „ედიქტისთვის“, რომელიც 2024 წლის 27 მარტს დაამტკიცა მოსკოვის პატრიარქმა კირილემ. დედა ვასამ დაასკვნა, რომ ის მართლაც გამოხატავდა, მწვალებლობის შესახებ წმინდა ბასილი დიდის მიხედვით, „თვით ღმერთის რწმენისგან აშკარა განსხვავებას“.[2] უფრო მეტიც, დედა ვასამ მიუთითა 861 წლის კონსტანტინოპოლის კრების 15-ე კანონზე, რომლის თანახმად, „ვინც გამოეყოფა მის წინამძღვართან ზიარებას მამათა წმინდა კრების მიერ დაგმობილი რომელიმე მწვალებლობის გამო, როდესაც წინამძღვარი საჯაროდ ქადაგებს მწვალებლობას და ღიად ასწავლის ეკლესიაში . . . არათუ არ იმსახურებს კანონებით გათვალისწინებულ სასჯელებს, არამედ მართლმადიდებლისთვის შესაფერისი პატივის ღირსია. რადგან ასეთები გმობენ არათუ ეპისკოპოსებს, არამედ ცრუ-ეპისკოპოსებს და ცრუ-მოძღვრებს, და არ განყოფენ ეკლესიის ერთობას განხეთქილებით, არამედ ცდილობენ ეკლესიის დაცვას განხეთქილებებისგან და განყოფებისგან“.

არქიდიაკონი იოანე ხრისავგისი აღიარებს „რუსული სამყაროს“ მწვალებლობის წინააღმდეგ მიმართული ძირითადი არგუმენტების მართებულობას და აღნიშნავს პრობლემას, რომ ამ საკითხის წამოსაჭრელად სხვა მართლმადიდებელი ეპისკოპოსები ძალიან ცოტა რამეს ან საერთოდ არაფერს აკეთებენ. ის ამბობს: „მისასალმებელი იქნებოდა, თუკი მართლმადიდებელი ეპისკოპოსები დაგმობდნენ მოსკოვის პატრიარქს კრებსითი ერთსულოვნებით, ისევე როგორც აღფრთოვანების ღირსი იქნებოდა, მართლმადიდებელ ქრისტიანებს რომ მოძრაობაში მოეყვანათ უღირსი და დესპოტური მოძღვრისთვის წინააღმდეგობის გაწევისა და საკუთარი თავის დაცვის ჯაჭვური რეაქცია.“ თუმცა, მწვალებლობაში დადანაშაულების ნაცვლად, ხრისავგისი ფიქრობს, უკეთესი იქნებოდა პატრიარქ კირილეს დაგმობა როგორც „პოლიტიკური დამშინებლისა და ომის კრიმინალის“. მაგრამ არ არსებობს საერო და საეკლესიო კანონები „დამშინებლის“ (ბულერის) წინააღმდეგ. თუმცა, რა თქმა უნდა, გვაქვს ომის დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული კანონები. მართლაც, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2024 წლის 17 აპრილს ზუსტად ეს გააკეთა (რეზოლუცია 2540, 13-ე მუხლი), როცა დაგმო პატრიარქ კირილესა და მოსკოვის საპატრიარქოს იერარქთა რიტორიკა „რელიგიის შეურაცხყოფისა და ქრისტიანული მართლმადიდებლური ტრადიციის დამახინჯების გამო“. რეზოლუციაში

---

1 სტატია გამოქვეყნდა 24 აპრილს 2024 წელს, ვებგვერდზე, „საჯარო მართლმადიდებლობა“. ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://publicorthodoxy.org/2024/04/24/ who-guards-the-guardians/?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTEAAR0Elz10FPT3wRvKKex2LOJ6SUy-8SJNzQZNwYcgLqP16BSS0gwMmK_XUFQ_aem_AaBVPIsmaCiNoF69DfpdIJDZ-b10wE0ONLI6xAJ-pKR4Zf01yn1Tn1fcy7X798sDLs0zIbIuH4kW4IB4Bm1-rTS8

2 იხ. ასევე სერღი შუმილოს ანალიზი.

ხაზგასმულია, რომ „ძალადობის, გენოციდისა და ომის დანაშაულთა წახალისება თავისთავად დანაშაულია“.

ომის დანაშაული შეიძლება არ შედიოდეს იერარქიის კანონიკური ვალდებულებების სფეროში, მაგრამ მწვალებლობა, რა თქმა უნდა, შედის. მაშინ, რატომ აღმოჩნდნენ მართლმადიდებელი იერარქები ამ მხრივაც უუნარო? არქიდიაკონ იოანეს (ხრისავგისი) თანახმად, მართლმადიდებელი ეკლესიები (რაშიც ის ალბათ პატრიარქებს გულისხმობს) მერყეობენ, რადგან „აგონიურად აღიარების გარეშე აცნობიერებენ, რომ არსებითად თვითონაც ყელამდე სავსე არიან იგივე სისუსტეებით და შეცდომებით; აცნობიერებენ, რომ ისინიც შეიძლება შეირაცხონ „მწვალებლებად“. თავის სტატიაში ის სვამს კითხვას: „რამდენი მართლმადიდებელი ეკლესიაა მიდრეკილი ეროვნებისა და სახელმწიფოს განდიდებისკენ? რამდენი მართლმადიდებლური უმრავლესობის მქონე ერი ურევს ერთმანეთში ღვთისმსახურებას და დროშის პატივისცემას? იქნებ თუ ყველა არა, უმრავლესობა მართლმადიდებელი ეკლესიებისა გაცილებით ახლოს დგას გარყვნილ რუსულ იდეოლოგიასთან, ვიდრე მათ სურთ ამის აღიარება?“ და ბოლოს, თუ დავიჯერებთ, რომ კირილე „დამპალი ვაშლია ძირითადად ჯანმრთელი ვაშლებით სავსე კალათში“, ხრისავგისის სიტყვებით, მაშინ ეს „უდარდელობასა და თვითკმაყოფილებაში ჩაკეტვა“ გამოვა.

ამ სამწუხარო ვითარებაში, ალბათ, ყველაზე მწვავე კითხვა სატირიკოსი იუვენალის მიერ არის დასმული: „ვინ იცავს მცველებს?“ ეს მართლაც არის ის კითხვა, რომელსაც საშუალება უნდა მივცეთ, გახვრიტოს ეკლესიოლოგიის ნებისმიერი ფორმის ბუშტი. ამაში ვგულისხმობ ისეთი პოზიციებისა თუ პრივილეგიების გაიდეალებას ან გაკერპებას, რომლებიც არსებულ საეკლესიო სტრუქტურებს ღვთის სიტყვის ქადაგების დამხმარე დროებით ფუნქციად კი არა, სასუფევლის მარადიულ რეალობად მიიჩნევს. და ეს არ არის უბრალოდ თეორიული კითხვა. როდესაც „წმინდა ომის“ სახელით ცოცხალ ადამიანებს თავის გასაწირად ან სხვების მოსაკლავად გზავნიან, მაშინ ჭეშმარიტების დამახინჯება – შავის თეთრად გასაღება – პირდაპირი გაგებით, დამანგრეველი შედეგის მომტანია როგორც სასწორზე შეგდებული სიცოცხლეებისთვის, ასევე იმისთვის, რასაც „წმინდას“ ვუწოდებთ. ასეთი რამ ახლა ხდება კიდეც და ეს ტაძარში გაბატონებული ნამდვილი გაპარტახების სიბილწეა.

ეპისკოპატს – „შენი ჭეშმარიტების მართებულად განმჭვრეტს“ (როგორც ვლოცულობთ ხოლმე ლიტურგიისას, რათა მან ეს როლი შეასრულოს და არა იმიტომ, რომ ნამდვილად ასრულებს), ჭეშმარიტების მცველისა და ეკლესიის სახელით მოსაუბრის უპირატესი ადგილი უკავია. ის ხშირად გაიგივებულიც კი არის ეკლესიასთან: „სადაც ეპისკოპოსია, იქ არის ეკლესია“. მუდამ მესმოდა ეს ფრაზა, რომელსაც ხშირად თვითონ ეპისკოპოსები მიმეორებდნენ, და ის წმინდა ეგნატე ანტიოქიელს მიეწერებოდა. მაგრამ ეს არ არის ის, რასაც წმინდა ეგნატე ამბობს. ის წერს: „სადაც არის ეპისკოპოსი, დაე, იქ იყოს ხალხი, ისევე როგორც, სადაც იესო ქრისტეა, იქ არის კათოლიკე ეკლესია“.[3] ნებისმიერი წესის მიხედვით, შეცდომაა იესო ქრისტეს და ხალხის გამოტოვება! უფრო მეტიც, როდესაც წმინდა ეგნატე ამას წერდა, ეპისკოპოსს არ ჰქონდა ის პოზიცია, რომელიც მას დღეს უკავია: ის იყო კერძო სახლეულის კრებულის ეპისკოპოსი/ზედამხედველი (დღევანდელი სამრევლოს

3 ეპისტოლე სმირნელების მიმართ 8.

მღვდელი) და არა ეპარქიის ზედამხედველი. თავის დროზე, როდესაც კერძო საკრებულოები გეოგრაფიულად გამრავლდა, საჭირო გახდა მათი საქმიანობის კოორდინირება, ჯერ დიდ ქალაქებში, შემდეგ უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალებში. ასეთი საკრებულოების ერთ-ერთ წინამძღვარს, როგორც „პირველს თანასწორთა შორის“ (არასოდეს „პირველს თანასწორთა გარეშე“), ევალებოდა საკრებულოების სხვა წინამძღვართა შეკრება, რათა მოცემულ არეალში ზრუნველეყო ეკლესიების მშვიდობიანი და კოორდინირებული საქმიანობა. მესამე საუკუნეში, როდესაც ეს საქმიანობა გაიზარდა, გამართული კრებები უფრო დიდ რეგიონებს მოიცავდა და კანონიკური კორპუსიც ამ სტრუქტურების მართვის გასაუმჯობესებლად ვითარდებოდა. ჯერ იმპერატორ კონსტანტინეს, ხოლო შემდეგ, უკვე იმპერიის მოქცევით (რასაც არ უნდა ნიშნავდეს ეს მოვლენა), აღნიშნული სტრუქტურები მანამდე წარმოუდგენელ მასშტაბამდე გაფართოვდა, რითაც შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს მხრიდან ეკლესიების დაფინანსება და მსოფლიო (არ დაგვავიწყდეს, საიმპერიო) კრებების მოწვევა. ყველა ეს სტრუქტურა განვითარდა ეკლესიის კეთილმოწყობისთვის, bene esse, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი ეკლესიის არსის, esse -ს, ნაწილს არ წარმოადგენენ. ახლაც, როცა ლიტურგიაზე ეპისკოპოსისთვის ვლოცულობთ, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ „ის ემსახუროს შენს ეკლესიებს მშვიდობით“. ეპარქია არ არის „ეკლესია“, არც რომელიმე ფართო სტრუქტურაა „ეკლესია“, - იმის მიუხედავად, რომ საპატრიარქოს ან სინოდის შესახებ ამის თქმას დავეჩვიეთ. ნაციონალური სახელმწიფოებისა და მათი შესატყვისი „ნაციონალური ეკლესიების“ წარმოშობამ ვითარება ამ კუთხით კიდევ უფრო დაამძიმა.

მეოცე საუკუნის ადრეულ წლებში დევნულებაში მყოფმა მართლმადიდებელმა ქრისტიანებმა (რაც არის ამქვეყნად ქრისტიანის ნამდვილი ცხოვრების წესი), მშობლიური საეკლესიო სტრუქტურებისგან გაუცხოებულებმა, საეკლესიო ცხოვრების გამოცდილების ფოკუსი საღვთო ლიტურგიის ერთობლივი აღსრულებისკენ მიმართეს. პარალელურად მსგავს ტენდენციებს ადგილი ჰქონდა რომაულ კათოლიციზმში: „სადაც აღსრულდება ევქარისტია, იქ არის ეკლესია“. უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ამ „ევქარისტიული ეკლესიოლოგიის“ ნაყოფი. მართლაც, ეკლესიის ამგვარი გაგების გამო, ჩვენ ძალგვიძს, დავინახოთ და კრიტიკულად განვიხილოთ ზემოაღნიშნული პრობლემები. მაგრამ, ეკლესიის გაგების ევქარისტიულ საკრებულოზე დაფუძნებით (განსაკუთრებით, როდესაც ის მდებარეობს ეპარქიაში, მიტროპოლიტ ზიზიულასის წარმოდგენით, და არა სამრევლოში, როგორც ამას მამა ნიკოლოზ აფანასიევი ამტკიცებდა), ჩვენ ტერიტორიას და, საბოლოო ჯამში, იერარქიას ვათავსებთ ეკლესიის ცენტრში. ამიტომ, არაა გასაკვირი, რომ ბოლო დროს ევქარისტიული ეკლესიოლოგია „ეპისკოპალურ ეკლესიოლოგიას“ შეერწყა: „სადაც არის ეპისკოპოსი, იქ არის ეკლესია!“; არ არის გასაკვირი, რომ დღეს, როდესაც „ეკლესიოლოგიაზე“ მიდის საუბარი, თითქმის ყოველთვის ყურადღებას იერარქზე და ტერიტორიაზე ამახვილებენ. მიგრაციის ტალღის ზრდასთან ერთად ეგზისტენციალურ (და ფინანსურ) საკითხად იქცა იმის გარკვევა, თუ ვინ ვის ეკუთვნის (ეროვნებიდან გამომდინარე), რათა გამოვლინდეს ან „რუსული სამყარო“ ან „ბერძნული ომოგენია“, ან სხვა ისეთი რამ, რითაც იერარქები ეთნარქებად იქცევიან და ეთნიკური ჯგუფების მსველობებს მათი დროშის ფრიალით მიუძღვებიან, ან „წმინდა ომის“ სახელით სხვებს აგზავნიან სასიკვდილოდ.

თუკი საეპისკოპოსო სტრუქტურები, როგორადაც ისინი ისტორიის განმავლობაში განვითარდნენ და როგორადაც გვერგო მემკვიდრეობით, არ წარმოადგენენ ეკლესიის არსს, არამედ ეკლესიის კეთილმოსაწყოსაყობად

არიან ჩამოყალიბებული, მაშინ ზემოაღნიშნული პრობლემის შუქზე უნდა დაისვას შემდეგი კითხვა: რა ხდება მაშინ, როდესაც ასეთი სტრუქტურები და პოზიციები აღარ მოქმედებენ ეკლესიის კეთილმოწყობის სასარგებლოდ?

ჩვენ უკვე აშკარად ვიმყოფებით გარდამავალ პერიოდში, რომელიც ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, როგორიც იყო კონსტანტინესა და იმპერიის მოქცევა, თუმცა საპირისპირო ნიშნით: ჩვენ აღარ ვცხოვრობთ საქრისტიანოში და ხელახლა ვსწავლობთ, როგორ ვიცხოვროთ ამქვეყნიერ დევნულებაში. ამიტომ, გასაკვირი არაა თუ ვხედავთ, რომ წინა ეპოქებში ჩამოყალიბებული ფორმები და სტრუქტურები კვლავ უნდა განვითარდეს, როგორც ეს ადრე უკვე მოხდა, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი მიზნობრივი გამოყენება. ამის გასაკეთებლად კარგი იქნებოდა საეკლესიო სტრუქტურების წარმოშობამდელ პერიოდში დაბრუნება, იმ პერიოდში, როდესაც მოღვაწეობდნენ ისეთი პიროვნებები, როგორებიც იყვნენ წმინდა ეგნატე და ირინეოსი, ზურგს კი მათ ახალი აღთქმა უმაგრებდა. ხსენებულ ეპოქაში ჩვენ ვხედავთ, რომ ეკლესია გაიგება არა როგორც სტრუქტურა და საეკლესიო ხარისხების წყება, არამედ როგორც დედა, როგორც სძალი და სხეული. ეკლესია არის ჩვენი ზეციური დედა, ახალი იერუსალიმი; მის წიაღში ჩვენ ვიშვებით ახალი ცხოვრებისათვის მაშინ, როდესაც ქრისტეს პასექის მისტერიაში შევდივართ და ქრისტეს სხეულად გარდავიქმნებით, რაც ამ სხეულში გაერთიანებულ ადგილობრივ კრებულში ხორციელდება. ასე წარმოჩნდება ეკლესია ამ ქვეყანად და ამ ქვეყნის ცხოვრებისთვის როგორც სძალი ერთი უფლისა, იესოსი, შეერთებული საკუთარ თავს როგორც მისი სხეული. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ როდესაც ეკლესიის შესახებ ამ ენით ვსაუბრობთ, არ ვგულისხმობთ იმ სტრუქტურებს, რომლებსაც, ჩვევისაებრ, „ეკლესიად“ მოვიხსენიებთ ხოლმე. დიდი სიფრთხილე გვმართებს სიტყვების შერჩევისას, რომ არ ერთ საგანს მეორის დამახასიათებელი თვისებები არ მივაწეროთ და ამ გზით თავიდან ავირიდოთ პასუხისმგებლობა.

სიტყვების ზუსტ გამოყენებას თუ ვისწავლით, თვალწინ წარმოგვიდგება ეკლესიის იმგვარი სახე, რომელიც გვაჩვენებს, – პასუხი კითხვაზე „ვინ საუბრობს ეკლესიის სახელით?“ უფრო ფართოა, ვიდრე ეს მანამდე გვეგონა. როდესაც გასულ საუკუნეს გავხედავთ იმის გასააზრებლად, თუ ვინ საუბრობდა ეკლესიის სასიკეთოდ, ჩვენს ყურადღებას მიიპყრობენ ისინი, ვისაც საკუთარი სიტყვით და ცხოვრებით ჰქონდათ რაიმე სათქმელი სხვების, – ქალებისა და კაცების, საერო და სასულიერო პირების (თვითკმაყოფილებაში რომ არ ჩავცვივდეთ, ასევე „მართლმადიდებლებისა და არამართლმადიდებლების“) შთასაგანობლად. მათი სიტყვა და საქმე, „ეკლესიის ოფიციალური განცხადებებისგან“ განსხვავებით, დღესაც შთაგვაგონებს. და ასე ჩვენ შევძლებთ ღვთის ხელში განსვენებას; ის თავისკენ გვიზიდავს გზებით, რომლებსაც ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ. მაგრამ, ამავე დროს, ამ გზაზე სიარულით ჩვენ შევძლებთ ხმა ავიმაღლოთ ეკლესიის სახელით და გავარჩიოთ ჭეშმარიტების სიტყვა სიცრუისგან, როგორც იმათთვის, ვინც ამ სიტყვას შეისმენს, ასევე იმათთვის, ვინც პრეტენზიას აცხადებს გუშაგის პოზიციაზე, მაგრამ ვერ ასრულებს მცველის ფუქციას.

თარგმნა ზურაბ ჯაშმა

ეპისკოპატს - „შენი ჭეშმარიტების მართებულად განმჭვრეტს“ (როგორც ვლოცულობთ ხოლმე ლიტურგიისას, რათა მან ეს როლი შეასრულოს და არა იმიტომ, რომ ნამდვილად ასრულებს), ჭეშმარიტების მცველისა და ეკლესიის სახელით მოსაუბრის უპირატესი ადგილი უკავია. ის ხშირად გაიგივებულიც კი არის ეკლესიასთან: „სადაც ეპისკოპოსია, იქ არის ეკლესია“. მუდამ მესმოდა ეს ფრაზა, რომელსაც ხშირად თვითონ ეპისკოპოსები მიმეორებდნენ, და ის წმინდა ეგნატე ანტიოქიელს მიეწერებოდა. მაგრამ ეს არ არის ის, რასაც წმინდა ეგნატე ამბობს. ის წერს: „სადაც არის ეპისკოპოსი, დაე, იქ იყოს ხალხი, ისევე როგორც, სადაც იესო ქრისტეა, იქ არის კათოლიკე ეკლესია“. ნებისმიერი წესის მიხედვით, შეცდომაა იესო ქრისტეს და ხალხის გამოტოვება! უფრო მეტიც, როდესაც წმინდა ეგნატე ამას წერდა, ეპისკოპოსს არ ჰქონდა ის პოზიცია, რომელიც მას დღეს უკავია: ის იყო კერძო სახლეულის კრებულის ეპისკოპოსი/ზედამხედველი (დღევანდელი სამრევლოს მღვდელი) და არა ეპარქიის ზედამხედველი. თავის დროზე, როდესაც კერძო საკრებულოები გეოგრაფიულად გამრავლდა, საჭირო გახდა მათი საქმიანობის კოორდინირება, ჯერ დიდ ქალაქებში, შემდეგ უფრო ფართო გეოგრაფიულ არეალებში. ასეთი საკრებულოების ერთ-ერთ წინამძღვარს, როგორც „პირველს თანასწორთა შორის“ (არასოდეს „პირველს თანასწორთა გარეშე“), ევალებოდა საკრებულოების სხვა წინამძღვართა შეკრება, რათა მოცემულ არეალში ზრუნველეყო ეკლესიების მშვიდობიანი და კოორდინირებული საქმიანობა.

დეკანოზი ჯონ ბერი

ზღვარი

ჟურნალი ეკონომიკისა და მენეჯმენტის